

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო*

*Sub-department of Ajara Autonomous Republic Government-
Archives Administration*

ISSN 2233-3541

ა რ ხ ე ი ე ნ ი

ARCHAEION

XII

თბილისი 2016 Tbilisi

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: მაია ივანიშვილი

რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე

სარედაქციო საბჭო:

თეონა იაშვილი (თბილისი), ნარგიზ ბასილაძე, თენგიზ სალუქვაძე, ელგუჯა გოგიბერიძე, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ნატო კიქავა, ფრიდონ ქარდავა, ოთარ გოგოლიშვილი (ბათუმი), მერაბ კეზევაძე (ქუთაისი)

Maia Ivanishvili– chairman of editorial board

Tamaz Putkaradze - editor

Editorial Board:

Teona Iashvili (Tbilisi), Nargiz Basiladze, Tengiz Salukvadze, Elguja Gogiberidze, Elguja Chaganava, Maia Rurua, Nato Kikava, Fridon Kardava, Otar Gogolishvili (Batumi), Merab Kezevadze (Kutaisi).

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებებს.

ავტორების სტილი დაცულია.

Any opinion expressed in the book belongs to the author and may not reflect the view of the editorial board.

Authors' style is retained.

აჭარის საარქივო სამმართველო, ტელეფონი: 27 52 10

ვებ გვერდი: <http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=2>

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

თეა ქათამაძე

თავადაზნაურთა განგში ღაბირავეზული მამულები ქალაქ ბათუმში (საქართველოს დემოკრატიის მიერ ოსმალეთისადმი 1918 წლის 8 ივნისს წარღებნილი ნუსხა)

1914 წლის 28 ივლისს დაწყებულმა მსოფლიო ომმა ბათუმი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდო. საომარი, ფრონტისპირა მდგომარეობიდან გამომდინარე, დაიხურა ბევრი საწარმო, მალე თურქეთის ომში ჩამბის შექმნა, მთლინად შეწყდა საზღვაო-სავაჭრო ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან, როგორც ვიცით, ომის საწყის ეტაპზე რუსეთის არმიამ განიცადა წაუმატებლობა, რის შედეგადაც მტერი ქ. ბათუმის მისადგომებს მიუახლოვდა.

1915 წლის თებერვლის შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა 1916 წლის თებერვალში დაეცა ერზერუმი, აპრილში კი რუსებმა აიღეს ტრაპიზონი. 1916 წლის ზაფხულში დაიწყო ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის მშენებლობა.

ბათუმი ცხოვრობდა ფრონტისპირა ქალაქისათვის დამახასიათებელი წესით, რაც თავისთავად ქმნიდა მრავალ სირთულეს. იკლო ბათუმის შემოსავლებმა, რაც მეტწილად საწარმოთა დახურვასა და საექსპერტო საქონლის ექსპორტ-იმპორტის შეწყვეტასთან იყო დაკავშირებული. შეიძლება ითქვას, რომ ქალაქში ეკონომიური კრიზისი იყო.

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთსა და გერმანიის ბლოკ სახელმწიფოთა შორის ხელი მოეწერა სამშვიდობო საზავო ხელშეკრულებას, რომლის საშუალებითაც სხვა ქართულ ტერიტორიებთან ერთად საბჭოთა რუსეთმა თურქეთს დაუთმო ბათუმის ოლქი ქ. ბათუმით.

1918 წლის 14 აპრილს ბათუმის თვითმართველობის შენობასთან შეიკრიბა ხმოსანთა და ქალაქის ინტელიგენციის ნაწილი, გადწყდა ოსმალებთან გაეგზავნათ დელეგაცია, ისინი თეთრი დროშით გაემართნენ მოწინააღმდეგის პოზიციებისაკენ. ოსმალთა არმიის პოლკოვნიკმა შეკრებილთ უთხრა: "არმიის მეთაურის ვეხიბ-ფაშას ბრძანებით, გიცხადებთ მადლობას პარლამენტარების გამოგზავნისათვის და პოლიციისათვის, რომელიც წესრიგს იცავს ქალაქში. ჩვენ ვთხოვთ პოლიციას დარჩეს თავის ადგილზე ხოლო სადამოთი დატოვოს პოსტი, რათა არ მოხდეს გაუთვალისწინებელი შემთხვევები. ჩვენი ჯარები შემოვლენ ქალაქში და თუ მოსახლეობის მხრივ იქნება ლოიალური დამოკიდებულება, მაშინ მცხოვრებთ არავითარი საშიშროება არ ემუქრებათ".

ამის შემდეგ დაიწყო ქალაქში ჯარის ნაწილების შემოსვლა. 14 აპრილს საოკუპაციო ჯარების სარდლობამ თურქულ, ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა ბრძანება, რომელიც სამი პუნქტისგან შედგებოდა. ახალი ხელმძღვანელობა მოსახლეობას მოუწოდებდა სიმშვიდის დაცვისაკენ, ურჩებს ემუქრებოდა სამხედრო-საველე სასამართლოთი. პირველი ღონისძიება, რითაც ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო ოლქის მართვა, იყო სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული ქონების აღწერა, სწორედ ამ ფაქტის ამსახველი დოკუმენტია დაცული.

ქუთაისის ცენტრალურ არქივში ქუთაისის მიხეილის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის ფონდში, სადაც N1348 -ით რეგისტრირებულია 1918 წლის 8 ივნისით დათარიღებული ქვემოთ წარმოდგენილი დოკუმენტი:

„საქართველოს რესპუბლიკის სამშვიდობო დელეგაციას ოსმალეთის მთავრობასთან 8 ივნისი 1918 წელი. მიხეილის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის გამგეობა ამასთანავე გაახლებს სიას მიხეილის ბანკში დაგირავებული მამულების, მდებარე ქალაქ ბათუმში, რომელშიდაც აღნიშნულია ვალის რაოდენობა თითოეულ მამულზე 1 ივლისამდე ამა წლისა და მათი მეპატრონეების სახელი და გვარი და გთხოვს ეს ცნობები დელეგაციამ მიიღოს მხედველობაში მოლაპარაკების დროს.

დოკუმენტს ხელს აწერს ფაღავა, ლორთქიფანიძე და ქარდავა.

#რეესტრის	სახელი, მამის სახელი და გვარი	სად მდებარეობს მამული	სულ	მეპატრონე
848	დურსუნ ალა ადალ ოლი	ბათუმი	5753,49	თავად
872	მუფტი და ზადე ისმაილ ეფენდი და მუფტი ზადე ფატიმა ხანუმ იუსუფოვ ალა ცუკუშბა	ბათუმი	2486,83	თავად
932	ვოდე ელისაბედი დიტონოვრა	ბათუმი	4175,22	თავად
760	ხეჩინოვა ელისაბედი ლუკას ასული	ბათუმი	14612,02	შელენგოვსკი ეგნატე იოსების ძე
998	ხუნწარია გიორგი ქრისტეფორეს ძე	ბათუმი	2704,32	თავად
1004	შპოლიანსკი ფეიველ (იგივე პავლე) ოსიპის ძე	ბათუმი	29035,02	შპოლიანსკი ეგნატე იოსების ძე
1026	კრასოვსკი ივანე სტანისლავის ძე	ბათუმი	9074,62	თავად
1028	სანაძე კონსტანტინე და რაჟდენ პავლეს ძენი	ბათუმი	2028,07	თავად
1036	ალი ხასანოვი	ბათუმი	22,083,99	თავად
1040	სოკოლოვსკაია ეფიმი პეტრეს ასული	ბათუმი	2768,02	თავად
1078	ჩილინგარიან არშაკ სიმონის ძე	ბათუმი	14,958,09	თავად

1080	ჩილინგარიან არშაკ და კარაპეტ (კარუმ) სიმონის ძე	ბათუმი	34.443.24	თავად
1090	პაპასკირი გიორგი დავითის ძე და დიხამინჯია თეიმურაზ სიმონის ძე	ბათუმი	2755	თავად
1096	როსტომ ალა ზადე ხატიჯი ხანუმ მუტი აგანუმ კიზი	ბათუმი	5220	თავად
1120	დისტიარენკო დარია გრიგოლის ასული	ბათუმი	2141	თავად
1138	კორძაია ხესეინ-ალა ხაჯი ეგენ ოღლი	ბათუმი	2106.48	თავად
1182	კრეტიზინი საველი სიმონის ძე	ბათუმი	5077.58	თავად
1188	ზაქარიან რიფსიმე იოსების ძე	ბათუმი	3850.36	თავად
1219	მეტაქსა გიორგი	ბათუმი	8832	თავად
1231	პუზიატინ დავით მიხეილის ძე	ბათუმი	7482.35	თავად
1247	ჭყონია გიულ-ხანუმ ოსმან ალა	ბათუმი	2360.89	თავად
1251	საბინ ნიკოლოზ ემელიანეს ძე	ბათუმი	1363.33	თავად
1253	შუტც პავლე კარპეს ძე	ბათუმი	30087	თავად
1255	კაკაბაძე ივანე დავითის ძე, ქუთატელაძე სარდიონ ლევანის ძე ქადიეშვილი სამოელ	ბათუმი	14494.41	თავად
1291	რიჟინაშვილი მიხეილ ელოს ძე	ბათუმი	2375	თავად
1293	ხაჩიკიან იოსებ, პოდოს ვარლამ ოგანჯანის ძე	ბათუმი	4752	თავად
1295	ფიხსაძე იაკობ, ისხაკ და ილია არონის ძე	ბათუმი	5985.83	თავად
1305	ბაკურიძე არიფ ალა	ბათუმი	2871	თავად
1329	ჩხეიძე ვალენტინა პეტრეს ასული	ბათუმი	7592	თავად
1335	ბედია ანტონ დავითის ძე	ბათუმი	2011	მელია ილია ანტონის ძე
1349	ონემენკო მარია ივანეს ასული	ბათუმი	2704	თავად

1373	კოსიან პოლოს ეზე- კის ძე	ბათუმი	3080	თავად
1403	შპოლიანსკი პავლე ოსიპის ძე	ბათუმი	51826.41	თავად
1423	ხაჩიკიან იოსებ, პო- ლოს ვართენ ოგაჯანის ძენი	ბათუმი	9239	ზაქარიან ი.
1435	მენადარიშვილი მისე- ილ მაღაქიას ძე	ბათუმი	10471.79	თავად
1459	დავიდოვა მარია გრი- გორის ასული	ბათუმი	7237.99	თავად
1471	ჭყონია არიფ ალა მე- მედ-ალა ზადე კაპუ- ზო ოღლი და ხასან ალა კარა ოღლი	ბათუმი	14820	პეტრე სატირ კაზანჯი და ლევან სარი- ბეგოვი
1523	არაქელიან არაქელ იაკობის ძე	ბათუმი	9365	თავად
1549	საულიდი ტალია (ფა- ლია) პერიკონის ასუ- ლი	ბათუმი	4528.65	თავად
1567	აბოან პოლოს სააკას ძე	ბათუმი	4441.37	თავად
1571	აბელოვ გრიგორი პავლეს ძე	ბათუმი	4249.63	თავად
1599	ჯიუმარტიან მამუკა არუთინის ძე	ბათუმი	4711.68	თავად
1617	კონსტანტინიდი ანეს- ტი და ხრისტო სტავ- როს ძე	ბათუმი	2731.69	თავად
1621	ვაშანიძე ალი ალა	ბათუმი	10814	დლოძე პრო- კოფი
1681	მჭედელოვი გრიგორი ლუკას ძე	ბათუმი	21188	მჭედელოვი მარია იოსე- ბის ასული
1695	კაპელლა უოზეფინა ვედავეის ასული	ბათუმი	4964.27	თავად
1775	გრიგოლია ილარიონ ერმილეს ძე	ბათუმი	2668.29	თავად
1841	ჩიკვაშვილი მისეილ იზრაილის ძე	ბათუმი	9762.47	თავად
1887	ხიმშიევა ზეკია ხანუმ	ბათუმი	4000.60	თავად
2295	აფანასიადი იორდანე ანტონის ძე	ბათუმი	4003.82	თავად
1969	შერტენსკაია ნადეჟდა ივანეს ასული	ბათუმი	12565.58	კემურჯიან გაიანე

2073	შაბანთან რუბენ გერასიმეს ძე ლუცია პეტრეს ასული	ბათუმი	10185.15	თავად
2087	ალასანია ერისტო ოქროპირის ძე და მილოიანც აცეტიკო ოსიპის ძე	ბათუმი	6483.48	თავად
2039	მამედ ბეკ სარეკ ბეკ ზადე ბეჟან ოღლი	ბათუმი	6848.02	აჭარსკი სიმშივე ჯიმაღ ბეკ
2149	გიგაშვილი ეგორ სიმონის ძე	ბათუმი	2951.78	თავად
2153	ბრელიძე ივანე ლუკას ძე	ბათუმი	7997.02	თავად
2169	გიორგიადი ივანე გიორგის ძე	ბათუმი	12299.12	თავად
2420	მავროპულო ეკატერინე სპირიდონის ასული	ბათუმი	26794.77	თავად
2565	დანიელოვი მაქსიმე, ვარდან და ვაგამ გრიგორის ძენი	ბათუმი	9139.47	თავად
2589	ჯინჭარაძე ანნა გაბრიელის ასული	ბათუმი	17868	თავად
2643	კაჯი მუსტაფა ეფენდი კურტ ოღლი ზეკია ხანუმ ბატალბეი კიზი	ბათუმი	35531.29	აბაშიძე ნესტორ ირაკლის ძე
2653	კურტ ოღლი ხაჯი მუსტაფა ეფენდი, ბიუკლი ოღლი (მუჰამედ) ეფენდი და მემედ ეფენდი ბუიკლი ზადე	ბათუმი	33333.98	თავად
2753	ალი ეფენდი ხაჯი იბრაგიმ ზადე	ბათუმი	3856.66	თავად
2751	კანდელაკი ოლგა ბეკოს ასული	ბათუმი	23322.16	თავად
2894	ელიავა გრიგოლი ლავრენტის ძე	ბათუმი	16031.56	თავად
2974	პატრუშინ პავლე თდორეს ძე	ბათუმი	34576.69	თავად
3026	ნაზაროვი პეტრე იოსების ძე	ბათუმი	4691.57	თავად
3050	ფელიაკოვ ივანე გრიგორის ძე	ბათუმი	13439.38	თავად

3094	კემს ოფლი თემის- თოკლე მიხეილის ძე	ბათუმი	23398.69	თავად
3140	ჭელიძე ფილიპე ნი- კოლოზის ძე	ბათუმი	13435.11	თავად
3236	ნეიმონ ირინა ივანეს ასული	ბათუმი	18700	თავად
3416	ქემოკლიძე მიხეილ ოქროპირის ძე	ბათუმი	5688.85	თავად
3514	გეგორკ ოფლი მელ- ქან კეროპოვი	ბათუმი	6228.39	თავად
3638	ღებედევი ალექსან- დრე ივანეს ძე	ბათუმი	2530.21	თავად
3726	ტერ პეტროსოვ ალექ- სანდრე სიმონის ძე	ბათუმი	6503.31	თავად
1244	ფეფელოვი ვასილი ტიტოს ძე	ბათუმი	549	თავად
1329	პიცალიდი ნიკოლოზ სტავროს ძე	ბათუმი	526	თავად
1455	რეიერ ფრიდრის ხრისტინის ძე	ბათუმი	5121	თავად
1469	პოსტოპულო იოანე პანაიოტის ძე	ბათუმი	1126	თავად
1627	მუავანაძე მამედ ეფენ- დი	ბათუმი	2412	თავად
1709	გოგელია ფილიპე დიმიტრის ძე	ბათუმი	1078	თავად
1791	შახნაზაროვი ანნა ანტონის ასული	ბათუმი	3103	თავად
3033	იუსუპ ოსმან ზარალ ოფლი	ბათუმი	2225	თავად
3081	ლომთაძე გიორგი სოფრომის ძე	ბათუმი	1860	თავად
3972	ბერძენიშვილი ეფიმი სიმონის ძე	ბათუმი, ზღვის ქუჩა	19183.45	თავად
3974	ბერძენიშვილი ეფიმი სიმონის ძე	ერისთავის ქ.	23827.08	თავად
4036	ბუნიათოვი ვიქტორ	იმერთის ქ.	9332.35	თავად
4124	კაიტმაზოვი ივანე გრიგორის ძე	ოლგინსკის ქ.	8440.12	თავად
5584	სანაძე კონსტანტინე და რაჟდენ პავლეს ძენი	ბათუმი	1887.95	თავად
5684	კვაჭაძე ამბაკო პაა- ტას ძე	ბათუმი	31151.44	გვარჯალაძე მოსე

6019	საბსტარაშვილი გიორგი და მიხეილ ალექსანდრეს ძენი	ბათუმი	2850.60	თავად
6035	ფატიმა ხანუმ იუსუფაღლა ცუკუბა კიზი	ბათუმი	2983.92	თავად
6097	ჩილინგირი (კეზბო) ოღლი	ბათუმი	3420.82	თავად
6588	აბხაზაღა ლევან პავლეს ძე	ბათუმი	3256	თავად
6735	წერეთელი ნესტორ ზაქარიას ძე	ბათუმი	19.451.36	თავად
6878	კოკონეგ ლეონ პეტრეს ძე ნიკიტინ გიორგი პავლეს ძე	ბათუმი	29475	თავად
6902	ბალუაშვილი ხავა მოშეს ძე	ბათუმი	7243	თავად
6963	ტერ-ბაღდასარიან აკილ აჯი	ბათუმი	16824	თავად
2451	ბურკოვსკი დიმიტრი პეტრეს ძე	ბათუმი	1530	ტოტიბაძე სიმონ გრიგორის ძე

1918 წლის შემოდგომაზე ანტანტის ქვეყნების გამარჯვებამ წერტილი დაუსვა ოსმალეთის ბატონობას ბათუმის ოლქში. 1918 წლის 30 ოქტომბერს ოსმალებმა მუდროსის ნავსადგურში ინგლისელებთან ხელი მოაწერეს დროებით ზავს, რითაც ოსმალეთი იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველოს კუთვნილი ქ. ბათუმი და ბათუმის ოლქი.

სამწუხაროდ, ჩვენთან დაცული დოკუმენტები აღარ იძლევა იმის დასკვნის საფუძველს, თუ რა ბედი ეწია ბანკში ჩადებულ ბათუმის მოქალაქეთა ქონებას, იმედია ეს საყოველთაო პრობლემა ყოველთვის ადამიანების სასარგებლოდ დასრულდება, ჩვენ სამშობლოსაც არასოდეს მოუწევს საკუთარი ტერიტორიებისათვის ბრძოლა, ვიქნებით პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქცა, ფონდი N 22, საქმე, N 8267
2. რევაზ უხნაძე, რამაზ სურმანიძე, ნუგზარ ზოსიძე, "ბათუმი", 2015 წელი

Tea Katamadze

In Batumi Nobles Bank mortgaged estates

Summary

In 1914 World War Batumi was in difficult economic situation. In Kutaisi Central Archives is protected document about Kutaisi Michael Nobility Real Estate Bank fund, where is registrated №1348 document dated 8 June, 1918. There is presented in Batumi in Michael Bank list of mortgaged estates, debt of each estate and their owners' names and surnames.

1989 წლის 26 მაისი საქართველოში

1918 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა (დე-ფაქტო). ქართველმა ხალხმა გადადგა თავისი ისტორიული ნაბიჯი თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა უმძიმეს საგარეო და საშინაო პირობებში, როდესაც თითქმის ყველასთვის გასაგები გახდა, რომ არსებული პრობლემების მოგვარება შესაძლებელი იყო მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის შემთხვევაში. (1) 1919 წლიდან დაწყებული საერთაშორისო აღიარების მიხედვით „საქართველო მთავარ მოკავშირეებმა იცნეს ფაქტიურად, ხოლო ზოგმა, მათ შორის საბჭოთა რუსეთმაც – იურიდიულადაც“... (2)

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს დაიდო საზავო შეთანხმება, რაც რეალურად საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს (3), რუსეთის მთავრობის მხრიდანვე იქნა 1921 წლის თებერვალში დარღვეული. რუსეთის არმია შემოიჭრა სუვერენული საქართველოს ფარგლებში და მოახდინა მისი ოკუპაცია. მას შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ ეწყობა სვანეთის და ხევსურეთის აჯანყებები. 1924 წლის აგვისტოში კიდევ ერთი მძლავრი აჯანყების მცდელობაა საქართველოში, რომელიც მსგავსად წინა მცდელობებისა მარცხით სრულდება და ქაიხოსრო(ქაქუცა) ჩოლოყაშვილი თავისი „შეფიცულთა რაზმით“ ფაქტობრივად წყვეტს პარტიზანულ ბრძოლას. ემიგრანტად ქცეული მთავრობის წევრები თუ საზოგადო მოღვაწენი ბევრს ცდილობდნენ, რათა შესძლებოდათ სამშობლოში დაბრუნება და დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენა, მაგრამ ამოდ. შემდგომში შვიდი ათეული წლის მანძილზეც არაერთი მცდელობა იყო საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის პირობებში ქართული ლეგიონების ბრძოლა გენერალ შალვა მაღლაკელიძის მეთაურობით. ასევე, ქართული დისიდენტური მოძრაობის დაწყება და სხვა. მაგრამ ყოველი ცდა მხოლოდ ქართველ საზოგადოებაში არსებული მუხტის შენარჩუნებას ეხმარებოდა. სხვა მხრივ, რუსული იმპერიული მანქანა ფხიზლად მოქმედებდა და უფრო ააქტიურებდა თავის მარწუხებს.

მე - 20 საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში განახლებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ნელ-ნელა დაუბრუნა ქართველ ხალხს რწმენა დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისა. 1989 წლის 4 აპრილს თბილისში მთავრობის სასახლის წინ დაწყებულ საპროტესტო აქციებზე გააღდერებულ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნას 9 აპრილის ცნობილი ტრაგედია მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ ამ ტრაგედიას საბჭოთა ხელისუფალთა გათვლით უნდა შედეგად მოჰყოლოდა ქართველ ხალხში დამოუკიდებლობის საკითხის უგულვებელყოფა. მაგრამ მოხდა პირიქით. სწორედ ამ ტრაგედიის შედეგი იყო ის, რომ მასობრივი ხასიათი მიიღო საპროტესტო მოძრაობამ მთელ საქართველოში.

1989 წელს სრულიად საქართველოში ფართედ აღინიშნა 26 მაისის დღესასწაული. ასე მაგალითად, საქართველოს დედაქალაქში „მიტინგები

გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში, ვაკის პარკში, ნარიყალაზე, რიყეზე, თავისუფლების მოედანზე, სადაც არაოფიციალური გაერთიანებებიდან სიტყვებით გამოვიდნენ მერაბ კოსტავა, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, ზვიად გამსახურდია და სხვ. მიტინგებს ესწრებოდნენ: რუსეთის, ბალტიისპირეთის, სომხეთის, უკრაინის წარმომადგენლები. სპეციალურად ამ დღისთვის თბილისში ჩამოვიდნენ უცხოეთის პრესის წარმომადგენლებიც. ოფიციალური შეცვალა წლები 26 მაისისათვის არაბუნებრივად სახეიმო ხასიათი მიეცა... საქმე იმაში იყო, რომ არსებულმა რეჟიმმა „ჩათრევას ჩაყოლა არჩია“ და 26 მაისი ოფიციალურად სადღესასწაულო დღედ გამოაცხადა. ისინი კარგად ხედავდნენ ქვეყანაში არსებულ სიტუაციას და ხვდებოდნენ რომ წინააღმდეგობის გაწევა მათი მხრიდან ნეგატიური მოვლენების განვითარების ხელშემწყობი პირობა იქნებოდა.

პარადოქსია, მაგრამ თვით მთავრობის წარმომადგენლებმაც კი მიიღეს მიტინგებზე მონაწილეობა. სწორედ იმ მთავრობის წარმომადგენლებმა, რომლებიც 25 თებერვალს სახეიმოდ აღნიშნავდნენ. იმავე დღეს, სიონის საკათედრო ტაძარში 26 მაისისადმი მიძღვნილი პარაკლისი იქნა გადახდილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს მიერ, რომელსაც დაახლოებით ასი ათასი მომიტინგე დაესწრო. (4) გურიაში 25-26 მაისის ღამეს მოეწყო ჩირადნებით მსვლელობა, „რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაიონის მცხოვრებლებმა. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ სამტრედიელები. მსვლელობის მონაწილეები გაემართნენ სოფელ ნაგომარისაკენ, რომელიც ოდიტგანვე თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა გურულთათვის. გაიმართა მიტინგი“ (5)

საქართველოში არ დარჩენილა რეგიონი სადაც არ აღინიშნა 26 მაისი სადღესასწაულოდ. ჩატარებული მიტინგები ძირითადად გარკვეული მოთხოვნების წამოყენებით და მიმართვებით სრულდებოდა. 9 აპრილის მოვლენებისადმი მიძღვნილი გრანდიოზული მანიფესტაცია-მიტინგებით აღინიშნა ბათუმში 1989 წლის 26 მაისი. ბათუმის ბულვარის ძველ შადრევნებთან გამართულ თითქმის 20-ათასიან მიტინგზე სხვა პრობლემებთან ერთად დაისვა აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხი. გამონაკლისს არც სოხუმისა და გულრიფშის მიტინგები წარმოადგენდა, საიდანაც მოსკოვში საქართველოდან არჩეულ დეპუტატებს გაეგზავნათ მოწოდება შემდეგი მოთხოვნების ე.წ. სსრ კავშირის სახალხო ყრილობაზე დასაყენებლად:

„1. აღიარებულ და აღდგენილ იქნას 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. 2. აღიარებულ და დაგმოხილ იქნას საქართველოს ანექსია - 1921 წლის 25 თებერვალს. 3. აღდგენილ იქნას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. დეპეშის ტექსტი მიღებულ იქნა ერთხმად“. (6) მაგრამ რატომ არსებობდა 26 მაისისადმი ასეთი საზოგადოებრივი ინტერესი? 26 მაისი საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების დღეა, რაც სიმბოლურია. ამ შემთხვევაში კი, გამოფხიზლებული ქართველი ერი იმ თარიღს აღნიშნავდა, რომელმაც საქართველოს გაერთიანებას შეუწყო ხელი და ქართველი ერი ეროვნული მონობისაგან გამოიხსნა. 26-მა მაისმა საქართველოს მოუტანა თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სუვერენობა. ამით, მან განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართველი ხალხის ცნობიერებაში. სწორედ ეს თარიღი იქცა თავისუფალი საქართველოს სიმბოლოდ. 1918 წლის 26 მაისს მიღებული დამოუკიდებლობის აქტით განისაზღვრა სა-

ქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის საფუძვლები. მას ეყრდნობოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც მიღებული იყო დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს. 26 მაისის აქტის მნიშვნელობა გაცილებით მასშტაბურია, რადგან მას არ მოუტანია სიკეთე მხოლოდ საქართველოსთვის. არამედ, სწორედ ამ აქტის მიღებას მოჰყვა ანალოგიური ნაბიჯის გადადგმა ჩვენი მეზობლების – სომხეთისა და აზერბაიჯანის მხრიდანაც. 28 მაისს მათ მიერ მიღებულ დამოუკიდებლობის აქტებს საფუძვლად ედო 2 დღის წინათ გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

უნდა ითქვას ისიც, რომ 1918-1921 წლების საქართველოს სამართლიანად აღარებდნენ დემოკრატიისა და სამოქალაქო წესიერების ოაზისს ყოფილი იმპერიის ანარქიულ უდაბნოში. საქართველო იმ დროისათვის რეალურად წარმოადგენდა ყველა ეროვნების დევნილთა, ლტოლვილთა და დამარცხებულთა თავშესაფარს. თურქების მიერ აწიოკებული სომხები და ბერძნები, სომეხთა მიერ შევიწროებული მაჰმადიანები, რუსთა მიერ დევნილი მთიელები, სამოქალაქო ომში დამარცხებული რუსები და მრავალი სხვანი, მიუხედავად მათი სარწმუნოებისა საქართველოში პოულობდნენ შევლასა და გადარჩენას. და ყოველივე ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თვით საქართველო ერთობ წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი კი შიმშილობდა. (7) ახლა ისევ მივაპყროთ ყურადღება 1989 წლის 26 მაისის საზეიმო განწყობას: „ქ.ოჩამჩირეში ილია ჭავჭავაძის სახ. N1 ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეები სხვა თანატოლთა მსგავსად შეძრა 9 აპრილის ტრაგედიაში. ბავშვებმა გადაწყვიტეს პატივი მიეგოთ დაღუპულთა ხსოვნისათვის. მათ 25 მაისს სკოლის ეზოში პატარა მემორიალური დაფა დადგეს. იქ, სურდათ დაეღვარათ ბავშვური ცრემლი, მიეტანათ ყვავილი, დაენტოთ სანთელი... მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი. უკვე მეორე დღეს, მთელი აფსუბა ფეხზე იდგა. ისინი მოითხოვდნენ ქართული სკოლის ეზოდან მემორიალის სასწრაფოდ აღებას, შეეცადნენ მის შებილწვასაც...“ (8) სამწუხაროდ, მათ შეძლეს და ქართველებს მემორიალი ააღებინეს, მაგრამ ეს მოხდა დიდი დაძაბულობის ფონზე. როგორც ჩანს, საბჭოთა მთავრობა ერთი მხრივ, თუ დათმობაზე მიდიოდა 26 მაისის საზეიმოდ აღნიშვნასთან დაკავშირებით, მეორე მხრივ ცდილობდა სხვა ბერკეტების ამოქმედებას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საწინააღმდეგოდ. ამ დროს, მათ ე.წ. ეთნოკონფლიქტების გაღვივება საუკეთესო გამოსავლად მიაჩნდათ.

ინციდენტი მოხდა ცხინვალშიც. კერძოდ, მეოთხე სკოლის პედაგოგებმა, ოფიციალურად საზეიმოდ გამოცხადებულ 26 მაისს დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვანი დროშა მიიტანეს სკოლაში და შენობაზე დაამაგრეს. ამას მოჰყვა მთელი რიგი უსიამოვნებანი. ხან ტელეფონის ყურმილში ისმოდა მუქარები თუ არ ჩამოხსნიდნენ ზემოხსენებულ დროშას, ხან კომკავშირის საქალაქო კომიტეტიდან, ანდაც ოსი ეროვნების მოქალაქეთა მხრიდან შეიმჩნეოდა მუქარები და ძალადობა ადგილზე. პედაგოგებმა დროშა მათ არ დაანებეს და მხოლოდ დათქმულ დროს ჩამოხსნეს (9) როგორც ჩანს, საქართველოს დამოუკიდებლობის თემა განსაკუთრებით აღიზიანებდათ იმ რეგიონებში, სადაც მალე სეპარატისტულმა მოძრაობამ ფრთები გაშალა.

ამრიგად, 1918 წლის 26 მაისს მთელი საქართველო დღესასწაულობდა ამ ისტორიულ მოვლენას. სამწუხაროდ, სწორედ ამ დღეს თურქეთმა წარუდგინა ამიერკავკასიის დელეგაციას ცნობილი ულტიმატუმი და მოითხოვა პასუხი 72 საათის განმავლობაში, რამაც გარკვეული დისონანსი შეიტანა საერთო განწყობილებაში. 1918 წლის 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში ღირსშესანიშნავი თარიღია. აღდგენილ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი სახელმწიფოებრიობა. აღსრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის წადილი. დაიწყო საქართველოს ისტორიის ახალი ერა. (10) 1989 წლის 26 მაისიც საღმრთო დღესასწაულო იყო. მიუხედავად ცალკეული უსიამოვნო ინციდენტისა, საქართველოს ყველა კუთხეში მაინც იზეიმა მოსახლეობამ. მას შემდეგ, ხსენებული თარიღი საქართველოში გრანდიოზული სამხედრო აღლუმებით, თუ სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებებით ყოველწლიურად აღინიშნება. რაც მთავარია, 1918 წლის 26 მაისის აქტი საფუძვლად დაედო 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებას და დღეს საქართველოს აქვს მეორე უმნიშვნელოვანესი თარიღიც დამოუკიდებლობის აღსანიშნავად – 9 აპრილი, რომელიც სიმბოლურია 1989 წლის 9 აპრილს ტრაგიკულად გარდაცვლილი ქართველი პატრიოტების თავგანწირვის დასაფასებლად.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 25.V.1991წ;
2. გაზეთი „სამშობლო“, #14,1989წ;
3. გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 21.V.1991წ;
4. გაზეთი „ივერია“, #8,1989წ;
5. გაზეთი „ქართული ქრონიკა“, 30.V.1989წ;
6. გაზეთი „ივერია“, #8,1989წ;
7. გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 06.VIII.1991წ;
8. გაზეთი „ივერია“, #8,1989წ;
9. გაზეთი „ქართველის დედა“, #2,1989წ;
10. გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 28.V.1991წ.

Aleksander Mosiashvili

26th May of 1989 in Georgia

Summary

National-Liberation Movement became particularly active in Georgia by the end of 80s in 20th of Century. In the beginning of April in 1989 there were protests for demanding independence in front of the Government Palace in Tbilisi. On this contrary, special punitive unit suppressed actions with unprecedented brutality that caused casualties. Despite the great efforts of the Soviet Government was not able to hide the incident. That resulted awakening and united of the nation around the ideal of independence and freedom. The regime was forced to had some sort of concession and 26th of May in 1989 has been officially announced as an Independence Day of Georgia. Despite some incidents this date was celebrated all over the country and is still celebrated.

ბათუმის საფორტიფიკაციო ნაგებობების ისტორიიდან
(XVII- XVIII სს.)

XVI საუკუნიდან მძიმე პერიოდი დაუდგა საქართველოს. სამხრეთიდან ქვეყანას მოადგა ოტომანთა იმპერია დიდძალი ჯარით. ოსმალებმა, სხვა ქართულ ტერიტორიებთან ერთად, XVI საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს დაიკავეს ბათუმი. **დაიწყო ბათუმის ისტორიის ოსმალთა ბატონობის პერიოდი.**

ოსმალებმა დაკავებულ ციხეებში ჩააყენეს გარნიზონები. ამ პერიოდისათვის ბათუმის ერთადერთ საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა ბათუმის (თამარის) ციხე. XIX ს-ის მეორე ნახევარში ძველი ბათუმის სამხრეთით, ასევე ყურეს ჩრდილოეთ ნაწილში ოსმალებმა ააგეს სარისუს და ბურუნთაბიეს ფორტები.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ბათუმის (თამარის) ციხის ისტორია XVII- XVIII საუკუნეებში. რაც დღემდე არ გამხდარა სპეციალური კვლევის ობიექტი.

ბათუმის ციხე მდებარეობს მდ.ყოროლისწყლის შესართავთან აღმართულ ბუნებრივ გორაკზე. იგი იცავდა ძვ.ბათუმს და მის შემოგარენს, - მდ.ყოროლისწყლის შესართავიდან სამხრეთ სანაპირო ზოლს, ბათუმის ყურეს ჩათვლით. საკვლევ პრობლემაში წვდომისათვის მოკლედ მიმოვიხილავთ მის წინა პერიოდს. ციხე აგებულია VI ს-ში (Леквинадзе В., 1973:171-172. დ. ხახუტაიშვილი, 1997:335; ნინიაშვილი, 2009:155). ფეოდალური ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში იგი წარმოადგენდა მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობას, რომელსაც საუცხოო ციტადელი ჰქონდა (ვ.ჯაოშვილი, ი.სიხარულიძე, 1997:329; რ.უზუნაძე, 2013). საკვლევ ობიექტის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებდა: „ციხე კარგი“ (ვ.ბატონიშვილი, 1973: 176 გვ.). ასევე, ძვ. ბათუმის დასახლებას უნდა ჰქონოდა ფეოდალური ხანის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ქალაქებისათვის დამახასიათებელი **„ერთი უმნიშვნელოვანესი სიმაგრე, - ქალაქის კედელი ანუ „გალავანი ქალაქისა“** (შ.მესხია, 1983:612)¹. ვფიქრობ, გალავნით შემოსაზღვრული იქნებოდა ქალაქის ცენტრალური ნაწილი, ძირითადად ხმელეთიდან. ხოლო, ზღვისა და ყოროლისწყლის შესართავის მონაკვეთი ბათუმისათვის ასრულებდა გარკვეულად მნიშვნელოვან ბუნებრივი სიმაგრის ფუნქციას². გვიან პერიოდამდე ყოფილა შემორჩენილი ქალაქის კედლის ნაშთები. დ.ბაქრაძე, რომელმაც 1873 წ. იმოგზაურა ბათუმში, წერდა: წარსულში ბათუმი მდებარეობდა დიდ მოვაკებულზე, ყოროლისწყლის მარცხნივ. ამ ადგილზე დღემდე შემორჩენილია დიდი კედლის ნაშთები (დ.ბაქრაძე, 1987:27). იგი აგრეთვე მიუთითებს: მდ. ყოროლისწყლის შესართავთან აღმართულ გორაკზე მდებარე ბეჟანოღლის (ბეჟანიძის) სახლიდან თვალი გაავადევნე მასიური კედლის ნაშთებს, რომელიც ალაგ-ალაგ წყდებოდა (დ.ბაქრაძე, 1987:28). ბათუმის ციხის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცუ-

ლი XIII-XVI ს.ს-ის ძველ ევროპულ საზღვაო რუკებზე (პორტოლანტები). მათზე ბათუმი გამოსახულია დიდი ციხე-ქალაქის აღმნიშვნელი ტოპოგრაფიული ნიშნით³ (რ.უზუნაძე,2013:23,25). ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე XV ს-ის ევროპელ მოგზაურთა თუ დიპლომატთა ჩანაწერები. პანს შილტბერგერი მიუთითებს: „მინგრელის მთავარი ქალაქი ბათუმი“ (ელ.მამისტვალის შვილი, 1980:108).⁴ იტალიელი დიპლომატი და მოგზაური იოსიფატ ბარბარო 1472 წ. ჩამოსულა ბათუმში. მისი დახასიათებით ბათუმი წარმოადგენდა საქართველოს ზღვისპირეთის მნიშვნელოვან ციხე-ქალაქს. ამდენად, ბათუმისა და მისი ციხე-სიმაგრის სახით, ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, კარგი საფორტიფიკაციო ნაგებობა. ფაქტობრივად XIX ს-ის მეორე ნახევრამდე იგი წარმოადგენდა ბათუმის ერთადერთ თავდაცვით სიმაგრეს.

როგორც ირკვევა, გარკვეულ დრომდე ოსმალთა ბატონობა ბათუმში ატარებდა ნომინალურ ხასიათს. 1614 წ. ბათუმს ეწვია ფრანგი მისიონერი ლუი გრანჟე. იგი შენიშნავს: „ბათუმი საქართველოს ნავსადგურია“ (Полиевктов М., 1935:51). რაც მიუთითებს, რომ ამ პერიოდისათვის ბათუმი გარკვეულად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას.⁵ ძირითადად შემოიფარგლებოდა ოსმალეთისათვის ხარკის გადახდით.⁶ მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო ზოგჯერ გადასახადის აკრეფაც ჭირდა (რ.უზუნაძე,2013:29). ოსმალური წყაროების მიხედვით ბათუმის ციხეში XVII ს-ის 90-იან წლებამდე არ ჩანს დამპყრობთა მუდმივი გარნიზონი (ნ.შენგელია, 2009:236-237). ამავ წყაროების ცნობით ბათუმში ოსმალთა მეციხოვნეები გამოჩნდნენ XVII ს-ის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან (რ.უზუნაძე, 2013:29-30). რაც უკავშირდებოდა ოტომანთა იმპერიის დაძაბულ საგარეო ვითარებას აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა ისარგებლეს იმპერიის შიგნით არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით და XVII- XVIII ს.ს-ის მიჯნაზე შეეცადნენ გამოსულიყვნენ სულთანის ხელქვეითობიდან. უარი თქვეს მის მორჩილებაზე. ოსმალეთს შეუწყვიტეს ხარკის გადახდა. აფხაზები თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ ოსმალთა სავაჭრო გემებს. ამას ემატებოდა XVII ს-ის 90-იანი წლებიდან რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ის აქტიური მზადება შავ ზღვაზე გაენადგურებინა ოსმალთა ფლოტი. ამ ბრძოლაში პეტრე I-ს ეიმედებოდა ქართველთა მხარდაჭერის. ბრწყინვალე პორტას კარზე დაინახეს მოსალოდნელი საფრთხე. გადაწყვიტეს დაესწროთ რუსებისათვის და დაეპყროთ საქართველო (ქჩხატარაიშვილი, 1973:456-457). თავის პოზიციების გასამტკიცებლად მიიღეს ზომები. შეუდგნენ, თითქოსდა მანამდე უყურადღებოდ დატოვებულ, ბათუმის ციხის გამაგრებას (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:80; ნ.შენგელია 2009:237). 1702-1703 წლებში ციხეს ჩაუტარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები. დააშენეს ახალი სიმაგრე. კედლები ნაშენებია რიყის ქვით (ი.სიხარულიძე, 1962:27). განახლებული ციხე-ციტადელი 1703-1704 წლების ოსმალთა წყაროებში მოხსენიებულია ტერმინებით: „განახლებული ბათუმის ციხე“, „ბათუმის ყურეში განახლებული ბათუმის ციხე“ (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:79-82...). 1703 წ. ოსმალებმა განახლებულ ბათუმის ციხეში ჩააყენეს

მრავალრიცხოვანი, კარგად შეიარაღებული გარნიზონი. დაიკავეს ბათუმის მხარე და ჩაქვის მხარის ნაწილი (ნ.შენგელია 1982:22-23; მისივე 2009: 237), 1703-1705 წლებში ბათუმის მეციხოვნეთა რაოდენობა შეადგენდა დაახლ. 500-დან 600 ჯარისკაცს. ციხე გამაგრებული იყო ზარბაზნებით. საქართველოს ზღვისპირეთში პოზიციების გასამტკიცებლად სულთანის კარმა 1703 წ. გამოგზავნა 45 დიდი და პატარა გემისაგან შემდგარი სამხედრო ფლოტი (ნ.ჯაველიძე, 1985:160). მათმა ნაწილმა ღუზა ჩაუშვა ბათუმის ყურეში. 1703 წ. ზაფხულში ოსმალებმა დალაშქრეს დასავლეთ საქართველო (ქჩხატარაიშვილი, 1973:456-458). ოსმალური წყაროების ცნობით სულთანის ხელისუფლებას „ბათუმის ციხის შესაკეთებლად“ სამუშაოები ჩაუტარებია აგრეთვე 1723-1924 წწ-ში, რაც უკავშირდება 1723 წ. ოსმალთა ლაშქრობას საქართველოში. რათა მათი გავლენა კიდევ უფრო გაეძლიერებინა დასავლეთ საქართველოში. 1723 წ. ზაფხულში ოსმალებმა დაიკავეს აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ციხეები და საქართველო ზღვას მოსწყვიტეს⁷ (ქჩხატარაიშვილი, 1973:402). გარნიზონები ჩააყენეს დაკავებულ ციხეებში. ხოლო ადრე მათ ხელში მყოფი ციხეები, მათ შორის ბათუმის ციხე გაამაგრეს (ქჩხატარაიშვილი, 1973:402; ნ.შენგელია, 2009-238). აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით ოსმალური წყარო გვაცნობს: ბათუმის ციხის შესაკეთებლად მნიშვნელოვანი თანხა გააგზავნა. 1723 წ. დაიხარჯა 2500 ყურუში ესედი⁸. 1724 წ. დამატებით გამოიყო 2635 ყურუში ესედი. (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:136-137). ბათუმის ციხის გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობდა აგრეთვე შემდგომ წლებშიც. რაც წყაროებთან ერთად დასტურდება ციხის არქეოლოგიური მასალებით (ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, 1989:49).

განმარტებისათვის, აქვე მოკლედ მინდა შევეხო საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მოსაზრებებს. გამოთქმულია მოსაზრებები რომ: „1703 წ. ოსმალებმა ააგო ბათუმის ციხე.“ „1703 წ. ოსმალებმა ბათუმის ახალი სიმაგრე ააგეს“ (ქჩხატარაიშვილი, 1972:11; მისივე 1972:58; მისივე 1973:458; მისივე 1976:273; იბეჭირიშვილი, 1991:86). როგორც საკითხის საფუძვლიანმა შესწავლამ გვიჩვენა ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ოსმალების მიერ ბათუმის ციხეზე განხორციელებულ სამშენებლო-განახლებით სამუშაოებთან. აზრთა სხვადასხვაობა მომდინარეობს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობიდან: ოსმალებმა ბათუმში დაიწყეს „შენება ციხისა“ (ვ.ბატონიშვილი, 1973:814). ამკარაა, რომ აქ საუბარია საკვლევ საფორტიფიკაციო ნაგებობის მიმართ ზემოთ მითითებულ სამუშაოებზე (ლ.ურუშაძე, 1989:69; დ.კომახიძე, 1977:16)⁹. ზედაპირზე დღემდე შემორჩენილია XVIII საუკუნის ციხის კედელთა ნაშთები (ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, 1989:29,49). ოსმალეთის სულთან აჰმედ III-ის მიერ 1712 წ. გაცემულ ფირმანში მითითებულია „ძველი ციხე ბათუმი“ და „ახალი ციხე ბათუმი“ (ქჩხატარაიშვილი, 1976:276). პროფესორ ქჩხატარაიშვილის მოსაზრებით: დოკუმენტში მოხსენებული „ძველი ციხე ბათუმი“ უნდა იყოს „თამარის ციხე“ მდ.ყოროლისწყლის შესართავთან, ხოლო „ახალი

ციხე ბათუმი“ ის სიმაგრეა, რომელსაც საფუძველი 1703 წ. ჩაეყარა და რომელთანაც თანდათან ქალაქი გაშენდა“ (ქჩხატარაიშვილი, 1976:273). საკითხის საფუძვლიანი შესწავლიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც ოსმალურ წყაროში საუბარია ბათუმის (თამარის) ციხე-სიმაგრეზე. როგორც ითქვა იგი აკონტროლებდა მდ.ყოროლისწყლიდან ყურეს ჩათვლით მონაკვეთს. ვინაიდან ოსმალეთის გემები ღუზას უშვებდნენ ბათუმის ყურეში ამიტომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალურ წყაროებში იგი მოხსენიებულია „ბათუმის ყურეში განახლებულ ბათუმის ციხედ“. წყაროების ანალიზი გვაძლევს საფუძველს მიუთითოთ, რომ „ახალ ციხედ“ ოსმალეები მიიჩნევდნენ მათ მიერ განახლებულ ბათუმის ციხე-ციტადელს. რაც შეეხება „ბათუმის ძველ ციხეს“, ვფიქრობთ მასში მოიაზრებოდა ძველი ბათუმის ქალაქის გაღავანი. რომელიც იცავდა იმ დროინდელი ბათუმის საქალაქო დასახლებას და გარკვეულად ასრულებდა სასამაგრო ნაგებობის ფუნქციას.¹⁰ ასე, რომ აღნიშნულ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ძველი ბათუმის საფორტიფიკაციო ნაგებობასთან, - თავისი ციხე-ციტადელითა და გაღავნით.¹¹

საინტერესოა საკვლევე პერიოდში ბათუმის გამგებლობის წესი, ციხეში ჩაყენებული ოსმალთა გარნიზონის სტრუქტურა, შემადგენლობა, მათი რაოდენობა, შეიარაღება, გარნიზონში არსებული მდგომარეობა.

ციხეს ჰყავდა დიზდარი (ციხისთავი), იგივე „ციხის ანუ ბათუმის ბეგი“ ინიშნებოდა სულთანის უმაღლესი ხელისუფლების ბრძანებით (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:96,263). დიზდარის მოვალეობას შეადგენდა ხსენებული ციხისა და ბათუმის მიმდებარე ტერიტორიის დაცვის უზრუნველყოფა. ექვემდებარებოდა ციხის გარნიზონი. მისი წარდგინებით ინიშნებოდა გარნიზონის სამხედრო ნაწილთა მეთაურები. სულთანის კარს წარუდგენდა მოხსენებებს, არზას (თხოვნა) ციხეში არსებული მდგომარეობის და გარნიზონთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:93).

1709 წ. სულთანის უმაღლესი ხელისუფლების მიერ გაცემული ბერათით (ბარათი) ბათუმის ციხის დიზდარი ყოფილა მეჰმედი (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:83-84). 1716 წ. წყაროს ცნობით იგი ინარჩუნებს დიზდარის (ციხისთავი) თანამდებობას (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:83-85). მეჰმედი წარმომოხებით ყოფილა გამუსლიმანებული ქართველი¹². 1721 წლისათვის ბათუმის ციხის დიზდარის (ციხისთავი) თანამდებობაზე ჩანს ვინმე აბულ კასიმი (შენგელია, 1987:93). იგი ყოფილა გედიქი (წარჩინებული პირი, რომელიც სამხედრო სამსახურისათვის იყო თიმარის თუ ზიამეთის კატეგორიის მიწის მფლობელი. (იხ.XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:262).

იმ პერიოდის ბათუმის მხარეში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაბამისი მასალების ანალიზიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ 1744 წლამდე ბათუმის ციხისთავები (ბეგი) უნდა ყოფილიყვნენ თავდგირიძეთა გვარიდან. მათ ეკავათ ძველი ბათუმი და ბათუმის მხარე (Д. Бакрадзе, 1889:13; ო.სოსელია, 1981:179; ლ.ურუშაძე, 1989:73; ო.თურმანიძე, 1981:44; რ.სურმანიძე, 2007:91). ატარებდნენ გედიქის წოდებას.



ბათუმის ციხე

Batumi Fortress Батумская крепость

XVIII ს-ის 40-იან წლებიდან ბათუმის ციხისთავის თანამდებობას (ბეგის ტიტულით) იკავებენ შერვაშიძეთა გვარის წარმომადგენლები. 1744 წელს სულთანმა მაჰმუდ I (1730-1754) ბათუმის ციხისთავად (ბეგად) დასვა ოსმალეთს გადასახლებული, აფხაზთა სამთავრო გვარის წარმომადგენელი, მანუჩარ (სულეიმან) შერვაშიძე (კაკვაშილავა, 2015:113; რ.შერვაშიძე, 2016 :45). ისინი ამ თანამდებობას ინარჩუნებდნენ XIX ს-ის 20-იან წლებამდე.¹³ ვიდრე ციხე ფუნქციონირებდა (რ.უზუნაძე 2013:33).

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სიტუაციიდან გამომდინარე ციხის გარნიზონის ჯარისკაცთა რაოდენობა ცვალებადი იყო. XVIII ს-ში, წლების მიხედვით, გარნიზონის ჯარისკაცები შეადგენდნენ: 1703-1705 წწ.-ში - 600: 1706-1607 წ.წ.-ში-378: 1708-1709 წ.წ.-334; 1727-1728 წ.წ.-157: 1731 წ.-187; 1732-1733-184; 1745 წ. -250 (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:69-70, 75,78, 178,186,221,229-230,251). მსგავსი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო XVIII ს-ის მეორე ნახევარში. გასათვალისწინებელია ამ პერიოდის რუსეთ-თურქეთის ომები და ქართველ მეფე-მთავართა ანტიოსმალური პოზიციები.

XIX ს-ის დამდეგიდან ვითარება იცვლება. კერძოდ, ბათუმის საქალაქო დასახლების ყურეს მიმართულებით გადანაცვლება ასუსტებს ბათუმის ციხის პოზიციებს. 1804 წ. მონაცემით ბათუმის ციხეში იდგა ოსმალთა 121 კაციანი გარნიზონი (Акты, 1868:876: რ.უზუნაძე, 1997:8). 20-იანი წლებიდან ციხემ დაკარგა საფორტიფიკაციო ნაგებობის ფუნქცია.

ბათუმის ციხის გარნიზონს შეადგენდნენ ოსმალური ჯარის შემდეგი ნაწილები: ბეშლუიანები, აზაბები, მუსთაფაზები, ჯებეჯიები, თოფჩიები¹⁴. შემდეგში მათ დაემატა იერლუიანების რაზმი.

ბათუმის ციხეში გამწესებულ ბეშლუიანებს ევალებოდათ ზრუნვა ციხეში „წესრიგსა და თავდაცვისუნარიანობაზე“, ლაშქრობის დროს ჯარისათვის გზის გაწმენდა, მეგზურობის გაწევა (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:260). ბეშლუიანები იყვნენ დაქირავებული ჯარისკაცები. მათი დღიური ანაზღაურება შეადგენდა 5 ახნა ულუფას. ბეშლუიანთა ნაწილი შედგებოდა გამუსულმანებული ადგილობრივი ჯარისკაცებისაგან (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:198). მათ მეთაურობდა ბეშლუიანების ალა. ნაწილს ყავდა აგრეთვე ბოლუქბაში (რაზმის მეთაური) და ალამდარი (მედროშე). სამივე თანამდებობა ეკავათ გარნიზონში მომსახურე ადგილობრივებს. ბეშლუიანების ალას დღიური ანაზღაურება უდრიდა 30 ახნა ულუფას, ბოლუქბაშის -8 ახნას, ალამდარის (მედროშე) კი -12 ახნას. ცნობილია ზოგიერთი „ჩინოსნის“ ვინაობა. 1719 წ. ცნობით ბეშლუიანების ალა ყოფილა ვინმე საბა ომერი. იგი წარმოშობით იყო ადგილობრივი, კერძოდ ნიგალის ხეობიდან. წყაროს ცნობით ომერი არ ასრულებდა თავის მოვალეობას. „ციხის შიგნით არ ცხოვრობდა. ძირითადად დროს ატარებდა სოფელში თავის სახლში, მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცთა დისციპლინა დაკანონებული იყო“ (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ.,1987:89). ბრალად მას ისიც ედებოდა, რომ მიუთვისებია ჯარისკაცებისათვის განკუთვნილი სარგოები¹⁵. ამიტომ ომერი თანამდებობიდან გაუთავისუფლებიათ და 1719 წ. 22 ივლისს ბეშლუიანების ალად დაინიშნა ვინმე

სულეიმან იბნი. 1731 წ. ცნობით ბეშლუიანების ნაწილის ალა ყოფილა მეჭმედ-ალა (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:89,216).

ბეშლუიანების ნაწილში უმცროს ჩინოსანს წარმოადგენდა სერ ბოლუქი, იგივე ბოლუქაში (რაზმის მეთაური), 8 ახნა ულუფით. საჭიროების შემთხვევაში ასრულებდა ბეშლუიანების ალას მოვალეობას. ზოგიერთ ბოლუქაშას ენიშნებოდა 10 ახნა ულუფა.

1726 წ. წყაროს ცნობით ბათუმის ციხის ბეშლუიანების სერ ბოლუქი ყოფილა ვინმე ისმაილო ბენ იუსუფი. რომელსაც ციხე მიუტოვებია და სხვაგან დასახლებულა. თვითნებობის გამო იგი გაუნთავისუფლებიათ სამსახურიდან. ბეშლუიანთა ნაწილიდან თანამდებობა ებოძა ომერ აბდულაჰს (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:197). დანიშნის თაობაზე სულთანის კარზე არზა წარუდგენია „ბათუმის სანჯაყის მფლობელს მეჭმედ-ბეგს“ (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:197). 1731 წ. აგვისტოდან ბეშლუიანების სერ ბოლუქი 8 ახნა ულუფით, ყოფილა ვინმე აბდულლაჰი. წყაროს ცნობით იგი ბოლო პერიოდში თვითნებობდა „დაუტოვებია ციხე, სავალდებულო სამსახურს არ ასრულებდა“. ურჩობის გამო გაუნთავისუფლებიათ სამსახურიდან. მის ნაცვლად დაუნიშნავთ ვინმე იბრაჰიმ აჰმედი. ამის შესახებ სულთანის კარზე არზა წარუდგენია ბეშლუიანების ნაწილის მეთაურს მეჭმედ ალას (ნ.შენგელია, 1987:216-218). თუ გავითვალისწინებთ ბეშლუიანების დაკომპლექტების წეს, ეროვნულ შემადგენლობას, მეჭმედ-ალა იყო ადგილობრივი წარმოშობის. ზემოთ ნახსენები ბოლუქაშებიც უნდა ყოფილიყვნენ ადგილობრივები.

ბეშლუიანთა ნაწილში მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა ბაირაქთარი (ალამდარი, იგივე მედროშე). ბათუმის ციხის ბეშლუიანთა პირველი ალამდარი ყოფილა ვინმე ჰაჯი ასანი. შემდეგ მის ადგილს იკავებს ჰასან იუსუფი, გასამრჯელოდ დღეში 12 ახნა ულუფით. 1720 წ. ცნობით იგი „ბათუმის ციხეში არ ცხოვრობდა, საჭირო სამსახურს არ ასრულებდა“ (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:198). საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო იუსუფი გაუნთავისუფლებიათ თანამდებობიდან. ალამდარად კვლავ ჰაჯი ჰასანი დაუნიშნავთ. ამის შესახებ სულთანის კარზე არზა წარუდგენია ბათუმისა და გონიოს მირლივას (სანჯაყბეგი) აჰმედ ბეგს (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:198). ჩანს, ბაირაქთარი ყოფილა ადგილობრივი წარმოშობის.

ბათუმის ციხეში ჩაყენებული აზაბთა ნაწილი შედგებოდა ცხენოსანი მოლაშქრეებისაგან. ისინ იყვნენ დაქირავებული მეზობლები.¹⁷ მათ ფუნქციას შეადგენდა ციხის მიმდებარე ტერიტორიის უსაფრთხოების დაცვა. ციხეში აზაბთა გამწესება ხდებოდა სულთანის უმაღლესი კარის ბრძანებით. დასტურად გაიცემოდა ბერათი (ბარათი). რიგითი აზაბის ანაზღაურება შეადგენდა დღიურად 5 ახნა ულუფას. 1704 წ. მონცემებით აზაბთა ნაწილი შედგებოდა სამი რაზმისაგან (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:79-81). თითოეულ რაზმს ყავდა უფროსი (რაზმის სერ ბოლუქი). მათი დღიური ანაზღაურება შეადგენდა 8 ახნა ულუფას.

აზაბთა ნაწილს მეთაურობდა აზაბთა ალა. მისი დღიური ანაზღაურება უდრიდა 45 ახნას. გარნიზონში ციხისთავის (დიზდარი) შემდეგ, „აზაბთა ალა“ იყო ერთ-ერთ წამყვანი ფიგურა. იგი ზოგჯერ დიზდართან (ციხის-

თავი) ერთად აწერდა ხელს ბათუმის გარნიზონის არზას. 1716-1721 წლებში ბათუმის გარნიზონის აზაბთა ალა ყოფილა ვინმე მუსტაფა (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987: 85,135).

აზაბთა ნაწილს ყავდა ქედხუდი (მოურავი). ასრულებდა აზაბთა ალას დავალებებს, უძღვებოდა აზაბთა ნაწილის სამეურნეო საქმიანობას. მისი დღიური ანაზღაურება იყო 18 ახია ულუფა. 1729 წ. ცნობით ბათუმის ციხეში აზაბთა მოურავი (ქედხუდი) ყოფილა ვინმე ომერი. მას ჰქონდა გედიქის წოდება¹⁸. წყაროს ცნობით „ომერი არც მოსახლეობას, არც სამართალს არ დაექვემდებარა და საჭირო სამსახური არ შეასრულა“ (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ.,1987:99). იგი გაუთავისუფლებიათ თანამდებობიდან და ქედხუდობა ებოძა ბათუმის ციხეში მცხოვრებ ვინმე მუსტაფა ბენ მეჰმედს. საინტერესოა, რომ ამ საკითხზე უმაღლესი ხელიუფლების კარზე არზა წარუდგენია ბათუმის სანჯაყებგ აჰმედ ბეგს¹⁹.

ბათუმის ციხის მუსთაფაზების ნაწილი მნიშვნელოვნად კომპლექტებოდა ადგილობრივი მოლაშქრეებისაგან. რომლებიც თიმარის წესით ფლობდნენ მიწის ნაკვეთებს. ევალებოდათ ციხის დაცვა. რიგითი მუსთაფაზის დღიური ანაზღაურება შეადგენდა 5 ახიას. მუსთაფაზებს ყავდათ რაზმის უფროსი (მუსთაფაზების ალა), მეციხოვნე და ალამდარი.

მუსთაფაზების ალა ფლობდა მამულებს თიმარის წესით. გარნიზონში წარმოადგენდა გავლენიან პირს. ცნობილია ბათუმის ციხის მუსთაფაზების ალა მეჰმედი. რომელიც 1709 წ. დაინიშნა ბათუმის ციხისთავად (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:84). იგი იყო წარმოშობით ქართველი.

მუსთაფაზების მეციხოვნე ასრულებდა ხაზინადარის მოვალეობას. ცნობილია ბათუმის ციხის მუსთაფაზების მეციხოვნე **მურთაზი**. წყაროს ცნობით 1706 წელს მას მიუთვისებია „აღნიშნული ციხის ჯარისკაცების სარგო 5-6 ქისა²⁰ ახია და გაქცეულა. ორ წელიწად ნახევარი დაკარგული იყო. მას შემდეგ რაც ხსენებულ ციხეში მოსვლის თაობაზე მტკიცე გაფრთხილება მიიღო 30 დღის განმავლობაში დაბრუნების შესახებ, სამსახურში არ მოსულა“ (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:83). იგი თანამდებობიდან გაუთავისუფლებიათ. სულთანის უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილებით 1709 წ. 1 ნოემბრიდან გაუქმებულა ბათუმის ციხის მეციხოვნეობა (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:84).

მუსთაფაზების ალამდარის დღიური ანაზღაურება უდრიდა 12 ახია ულუფას. ალამდარად ინიშნებოდნენ ქართული წარმოშობის ადგილობრივი მოლაშქრეები.²¹ იგი ყოფილა საკმაოდ ტიტულიანი თანამდებობა. ატარებდა გედიქის წოდებას. მუსტაფაზების ალამდარი ყოფილა ვინმე ისმაილ აბდულაჰი. 1721 წ. წყაროში მის შესახებ ვკითხულობთ: ისმაილ აბულაჰმა დაკარგა ჭკუა, დატოვა ციხე, სამსახური და მუდამ შორიშორს დახეტიალობდა. ჯარისკაცებთან კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა, ციხეში არ ცხოვრობდა და არც კანონირებას იცავდა“. იმავე ცნობით „რადგანაც სამსახურში არ იმყოფებოდა და თავის საქმისადმი“ გულგრილობა გამოამჟღავნა იგი გადაყენებული იქნა თანამდებობიდან (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ.,1987:93).1721 წ. ნოემბერში მუსთაფაზების ალამდარის თანამდებობა

ებოდა „ბათუმის ციხის შიგნით მცხოვრებ მურთაზს“. ამის შესახებ სულთანის სამეფო კარზე არზა წარადგინა ბათუმის ციხისთავმა (დიხდარი) აბულ კასიმმა (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:93).

ჩანს, ისმაილ აბდულაჰის შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ადგილობრივი ქართველის გულგრილ დამოკიდებულებას ოსმალებისადმი სამსახურის მიმართ. ვეჭვობ, აღნიშნული ქმედება იყო პროტესტის ერთ-ერთი გამოსატყულება ოსმალო დამპყრობლებისადმი.

ჯებეჯიების ჯარის ნაწილის (ოსმალოთა ჯარის ერთ-ერთი სახეობა) მოვალეობას შეადგენდა ბათუმის ციხის გარნიზონის საბრძოლო მასალის, იარაღის დაცვა-განაწილება. იგი ასევე წყაროებში მოხსენიებულია „გარნიზონის დაცვის“ სახელწოდებით. რიგითი ჯებეჯის დღიური ანაზღაურება შეადგენდა 3 ახნას (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:96:191).

ჯებეჯიების მეთაურს წარმოადგენდა ჯებეჯი-აღა. 1723 წ. ბათუმის ციხის ჯებეჯიების მეთაური (აღა) ყოფილა ვინმე ომერი (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:96). ჯებეჯიების ნაწილი შედგებოდა დანაყოფებისაგან. მათ მეთაურობდა დანაყოფის უფროსი (სერ ბოლუქი). რომლის დღიური ანაზღაურება შეადგენდა 10 ახნა ულუფას. ცნობილია დანაყოფის უფროსი ვინმე ჰუსეინ ჰასანი (1703-1712 წწ.). 1712 წ. თანამდებობაზე დაუნიშნავთ ვინმე ჰუსეინ აბდულაჰი. ამ უკანასკნელის აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის არზა სულთანის კარზე წარუდგინა ბათუმის მირლივა (სანჯაყბეგი) მუსტაფას (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:190-191).

ჯებეჯიების ნაწილს ყავდა მედროშე (ბაირაქთარი), დღიურად 12 ახნა ულუფით. ბათუმის გარნიზონის ჯებეჯიების პირველი მედროშე ყოფილა ვინმე მუსტაფა აჰმედ სეფიდი. აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნა 1703 წ. სულთან აჰმედ III ბრძანებით. სულთანის კარზე მისი დანიშვნის არზა წარუდგინა არზრუმის ფაშას (ნ.შენგელია, 1987:81). ყოველივე ეს მიუთითებს, რომ აღნიშნული ნაწილის მედროშეობა ყოფილა მნიშვნელოვანი თანამდებობა.

ჯებეჯიების ნაწილს ექვემდებარებოდა **სანაპირო დაცვის (იერლუიანების) რაზმი**. ამ უკანასკნელს ევალებოდა ზღვისპირა მონაკვეთის დაცვა, - ბათუმის ციხიდან ყურეს ჩათვლით. მათ ჰყავდათ საერთო მეთაური (აღა), დღიურად 45 ახნა ულუფით. 1723 წ. ცნობით ბათუმის ციხეში ჯებეჯიების და იერლუიანების აღა ყოფილა ვინმე მუსა ბეგი. იგი საინტერესო პიროვნება ჩანს. ოსმალოური წყარო მის შესახებ გვამცნობს: მუსა ბეგი წარმოშობით ქართველი იყო. უმეტეს დროს საქართველოში ატარებდა²² და დაცვის სამსახურს არ ასრულებდა. ასევე, წყარო მოგვითხრობს: იმის გამო, რომ მუსა ბეგი ხსენებულ ციხესა და მის სანახებთან დაკავშირებული იყო ისლამის სხვა მოსახლეობის (არაქართველების) ენის (ოსმალოურის) ცოდნა მისთვის სასიცოცხელი იყო“ (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:96). იგი მაინც ქართულ ენაზე ეწეოდა საქმიანობას. ყოველივე ამის გამო მუსა ბეგი ჩამოუქვეთებიათ და დაუნიშნავთ დაცვის ერთ-ერთ რაზმის უფროსად (კულაღა). იგი იმდენად დიდი გავლენით სარგებლობდა, რომ მისი შუამდგომლობით ჯებეჯიების და იერლუიანების აღას თანამდებობა ებოდა ომერს, რომე-

ლიც იყო ჯებეჯიების ალა. მუსა-ბეგის შესახებ ზემოთ მოტანილი ცნობა მიუთითებს, რამდენიმე საყურადღებო ფაქტზე: მიუხედავად ოსმალთა ძალდატანებისა, მოსახლეობა ცდილობდა შეენარჩუნებინა ქართული ენა და არ უშინდებოდა წინააღმდეგობის გაწევას.

მუსა ბეგი ყოფილა ადგილობრივი გავლენიანი გვარის წარმომადგენელი. ინარჩუნებდა ქართველობას. თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდის რეგიონს და ბათუმში არსებულ მდგომარეობას, გარკვეულ პირთა დაწინაურება-წარჩინებულობას, მუსა ბეგი უნდა ყოფილიყო თავდგირიძის თუ ბეჟანიძის გვარიდან. ასევე, ომერი უნდა ყოფილიყო ქართველი. მის დანიშვნის არხა სულთანის კარზე წარუდგენია ბათუმის სანჯაყბეგ მუსტაფას.

ბათუმის გარიზონის შეიარაღებაში შედიოდა არტილერია. ციხის სტატეგიული მდგომარეობიდან გამომდინარე ზარბაზნები ძირითადად მიმართული იყო ზღვის, ყურესა და ჩაქვი-ციხისძირის მიმართულებით. მას ემსახურებოდა მეზარბაზნეთა (თოფჩიების) ნაწილი. ნაწილს მეთაურობდა მეზარბაზნეთა უფროსი (თოფჩიბაში). მისი დღიური ანაზღაურება უდრიდა 45 ახჩა ულუფას (ე.ჩელები, 1973:141-142; XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:85). მეზარბაზნეთა ნაწილის მეთაურობა ბათუმის ციხეში ყოფილა ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა. ატარებდა გედიქის წოდებას. რაც ენიჭებოდათ წარჩინებულ, მაღალი თანამდებობის პირებს. სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ ფლობდნენ თიმარისა და ზიამეთის კატეგორიის მიწის ნაკვეთებს.

1716 წ. მაისში ბათუმის ციხის მეზარბაზნეთა უფროსად დაინიშნა ვინმე მეჰმედი (ნ.შენგელია 1987:85). წყაროს ცნობით იგი ყოფილა ადგილობრივი წარმოშობის მაღალი წრის წარმომადგენელი, რომელსაც ებოძა გედიქის წოდება. სულთანის კარზე მისი დანიშვნის არხა წარუდგენია ბათუმის ციხის უფროსი (დიზდარი) მეჰმედს (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:85). მეზარბაზნეთა უფროსი მეჰმედი, მისი წარმომავლობისა და წოდებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, უნდა ყოფილიყო თავდგირიძეთა ან ბეჟანიძეთა გვარიდან. საკვლევი პერიოდის ბათუმის მხარეში ბეჟანიძეები წარმომადგენდნენ გავლენიან გვარს. ფლობდნენ მამულებს ყოროლისწყლის ხეობასა და ჩაქვის მხარეში (ი.ბეჭირიშვილი, 1996:55; ო.თურმანიძე, 2001:16,55). მათ ბათუმის ციხის ტერიტორიაზე ჰქონდათ სასახლე (დ.ბაქრაძე, 1987:27-28)²³. როგორც ჩანს ბათუმის ციხეში წამყვანი თანამდებობები თავდგირიძეებთან ერთად ეკავათ ბეჟანიძეებს. შემდეგ მეზარბაზნეთა უფროსებად (თოფჩიბაში) ინიშნებიან - მუსა, სულეიმანი (წყაროს ცნობით ყოფილა ადგილობრივი. გარდაიცვალა 1726 წ.), მაჰმუდი²⁴ (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:193-198).

მეზარბაზნეთა ნაწილს ყავდა მოურავი (ქედხუდა). მისი ანაზღაურება იყო დღიურად 20 ახჩა ულუფა. მოურავის მოვალეობას შეადგენდა სამეურნეო საქმიანობის გაძღოლა, „ნაწილში დისციპლინის და სამოქმედო ტერიტორიაზე (რაიონში) წერივის დაცვა“. 1716 წ. ცნობით ბათუმის ციხის მეზარბაზნეთა მოურავი (ქედხუდა) ყოფილა ვინმე ომერ სამი (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:84-85).

მეზარბაზნეთა ნაწილი რაზმებად იყოფოდა. რაზმს ყავდა უფროსი (თოფი ბოლუქ ბაში). მისი დღიური ანაზღაურება უდრიდა 10 ახნა ულუფას (ნ.შენგელია, 1987:193).

ბათუმის ციხის გარნიზონს ემსახურებოდა ქათიბი (მდივანი). მის მოვალეობაში შედიოდა საჭირო დოკუმენტების წარმოება, გასაგზავნი არზას მომზადება. იგი იღებდა 25 ახნა დღიურ ულუფას. 1718 წ. ცნობით ბათუმის ციხის მდივანი (ქათიბი) ყოფილა ვინმე ოსმან ეფენდი (გონიოს ყოფილი ყადი). შემდეგ მდივნის თანამდებობას იკავებს ვინმე იბრაჰიმი. წყაროს ცნობით იგი „სხვა მხარეში ცხოვრობდა.²⁵ დიდ მონღომებს არ იჩენდა და სამსახურს არ ასრულებდა“ (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:85,87,90). იბრაჰიმი გაუთავისუფლებიათ და ბათუმის ციხის მდივნად დაუნიშნავეთ ვინმე ჰუსეინი. მისი დანიშვნის არზა სულთანის კარზე წარუდგენია გონიოსა და ბათუმის სანჯაყებზე მეჰმედს (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:90-91).

შემორჩენილია ცნობები ბათუმის ციხის გარნიზონის შენახვაზე გაწეული ხარჯების შესახებ. ბათუმის სანჯაყში ამოღებული საადგილმამულო გადასახადებიდან ბათუმის ციხის გარნიზონი მარაგდებოდა სურსათით, ძირითადად ხორბლეულით და ხორცეულით (ო.თურმანიძე, 2001:12). ოსმალური წყაროს ცნობით 1707 წლის 28 სექტემბრიდან - 1708 წლის 22 მარტამდე პერიოდისათვის ბათუმის ციხის 378 მეციხოვნეზე გამოყოფილი ყოფილა: დღეში ხორცი - 75,5 ოყა,²⁶ თვეში ხორბალი 189 ქილა.²⁷ 1708 წლის 22 მარტიდან - 1709 წლის 17 აგვისტომდე პერიოდში გარნიზონის 334 ჯარისკაცს გამოეყო: ხორცი - დღეში 66,5 ოყა, თვეში ხორბლეული - 167 ქილა (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:186-187). ასევე, საომარი მდგომარეობის შესაბამისად, ბათუმის ციხის გარნიზონი მარაგდებოდა ტყვია-წამლით, საჭირო მასალებით. 1721 წ. 22 სექტემბერს სულთანის კარის გამოცემული ბრძანებით ბათუმის ციხეში გაიგზავნა: შავი თოფის წამალი - 15 ყანთარი²⁸, ტყვია - 8 ყანთარი, ტყავის ძირი - 1 ცალი, მოსასხამი ქეჩა - 15 ცალი, ტყავის ქისა - 15 ცალი, შემოსახვევი 2 თოფი²⁹ იალქნის ბიაზი, ეგვიპტის პატრუქი - 1,5 ყანთარი (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:134-135).

საკვლევი პერიოდის თემასთან დაკავშირებით საინტერესოა სანჯაყბეგის ინსტიტუტი. სანჯაყი წარმოადგენდა სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს. მას სათავეში ედგა სანჯაყბეგი. იგი იყო სანჯაყის სამხედრო-ადმინისტრაციული გამგებელი (ნ.შენგელია, 1987:280). თავისი სტატუსიდან გამომდინარე ბათუმის, იგივე გონიოს სანჯაყბეგი ჩართული იყო ბათუმის ციხის გარნიზონის საკითხების გადაწყვეტაში, სულთანის კარზე წარადგენდა არზას თანამდებობაზე დანიშვნა-განთავისუფლების, გარნიზონის მომარაგების შესახებ. იგი ოსმალურ წყაროებში გვხვდება ბათუმის, გონიოს, ხან კიდევ ბათუმისა და გონიოს სანჯაყბეგის სახელწოდებით (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:90,96,99,109-110,134-135,137).

სანჯაყი მოიცავდა ბათუმისა და გონიოს მხარეს. XIX ს-ის 20 წლებამდე სანჯაყის ცენტრი იყო გონიოში. აქ იმყოფებოდა სანჯაყბეგი და ადმინისტრაციის სხვა მოხელეები. აქვე იყო სასაზღვრო საბაჟო (ქჩხატარაიშვილი, 1976:273). XIX ს-ის 30-იან წლებში, ყურეს სამხრეთ-დასავლეთით

საქალაქო დასახლების გადანაცვლების შემდეგ, ბათუმი გახდა სანჯაყის ცენტრი.

საინტერესოა ასევე, საკვლევი პერიოდის ბათუმის ანუ გონიოს სანჯაყბეგების ვინაობა. როგორც ირკვევა სანჯაყბეგები ყოფილან აბაშიძის გვარიდან (სცსსა, ფ.231, ანაწ.I, ს.99,ფურც.7; ო.სოსელია, 1973:208-209; ო.თურმანიძე, 2001:44; ნ.შენგელია, 2009:242). აბაშიძეები ბათუმის მხარეში ჩამოსახლებულან XVII- XVIII სს-ის მიჯნაზე. ისინი ოსმალეთის მთავრობის სამსახურში ჩადგნენ და სანჯაყბეგის წოდებაც მიიღეს, ბათუმელი აბაშიძეები ზღვისპირა მიდამოებში ფლობდნენ დიდ მამულებს, - გონიოდან დაწყებული ჩაქვამდე (ო.თურმანიძე, 2001:44,58). ბათუმის ანუ გონიოს პირველი სანჯაყბეგები იყვნენ: აჰმედი³⁰. მეჰმედი (XVI- XVIII სს.-ოდწ., 1987:90,109-110), მუსტაფა³¹. 1729 წლის ცნობით სანჯაყბეგი ყოფილა აჰმედი (XVI- XVIII სს. - ოდწ., 1987:99).

საკვლევი პრობლემატიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასაკვნა:

- ბათუმის ერთადერთ საფორტიფიკაციო ნაგებობას XIX ს-ის 20-იან წლებამდე წარმოადგენდა ბათუმის (თამარის) ციხე.
- სტრატეგიული მდგომარეობიდან გამომდინარე ოსმალები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ ბათუმის ციხის გამაგრებას და დაცვის უზრუნველყოფას.
- ბათუმის ციხის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ოსმალებმა ჩაატარეს 1702-1703, 1723-1724 წლებში. 1703 წლიდან ბათუმის ციხეში ჩაყენებული იქნა გარნიზონი. მისი რაოდენობა იცვლებოდა სიტუაციის შესაბამისად.
- გარნიზონი შედგებოდა ოსმალთა ჯარის ხუთი ნაწილისა (ბემლუიანები, აზაბები, მუსთაფაზები, ჯებეჯიები, თოფჩიები) და სანაპირო დაცვის (იერლუიანები) რაზმისაგან.
- გარნიზონის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა ბათუმის სანჯაყის გამუსლიმანებული მოსახლეობა. ეკავათ წამყვანი თანამდებობები.
- ნაშრომში მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ გარნიზონის ქართველი მომსახურე პერსონალი გულგრილად ეკიდებოდა მოვალეობის შესრულებას. რაც, მათი მხივ, უნდა ჩაითვალოს ოსმალო დამპყრობთა მიმართ პროტესტის გამოხატულებად.³²
- 1709 წლიდან - 1744 წლამდე ბათუმის ციხისთავები (დიზდარი/ბეგი) იყვნენ თავდგირიძეები. 1744 წლიდან მათ ადგილს იკავებენ შერვაშიძეები.
- საკვლევი პერიოდში ბათუმის/გონიოს სანჯაყბეგები იყვნენ აბაშიძეები. XIX ს-ის 20-იან წლებამდე სანჯაყბეგის რეზიდენცია მდებარეობდა გონიოში.

შენიშვნები:

1. ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების ისტორიის ცნობილი მკვლევარი, პროფ. შ.მესხია ასევე მიუთითებდა: ქალაქის ციხე-ციტადელი, ქალაქის კედლები ფეოდალური ხანის ქალაქების გარეგანი სახისათვის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს (შ.მესხია, 1983:610,667).
2. პროფ.შ.მესხიას გამოკვლევით: საქართველოს ქალაქები, მდინარეთა ნაპირებზე ან კიდევ მდინარეთა შესართავებზე იყო გაშენებული. ისინი ქალაქებს წყლით ამარაგებდნენ და რაც მთავარია ფეოდალური ქალაქებისათვის მდინარეები მნიშვნელოვან ბუნებრივ სიმაგრეებს წარმოადგენდნენ“ (შ.მესხია, 1983:607).
3. პორტოლანებზე მსგავსი ტოპოგრაფიული ნიშნითაა გამოსახული საქართველოს ციხე-ქალაქები: ქუთაისი, ახალციხე, სებასტოპოლისი (სოხუმი).
4. XV ს-ის 20-30-იან წლების სამეგრელოს სამთავრო მოიცავდა საქართველოს თითქმის მთელ შავი ზღვისპირეთს (ივ.ჯავახიშვილი, 1982:435-436). თავისთავად ბათუმის მოხსენიება საქართველოს შავი ზღვისპირეთის მთვარ ქალაქად, მიუთითებს მის დაწინაურებულ მდგომარეობაზე. ასევე, - ბათუმს ჰქონდა მთავარი ქალაქისათვის დამახასიათებელი ციხე-ციტადელი, „გალავანი ქალაქისა“.
5. აჭარის მოსახლეობის მამაცობისა და შეუპოვარი წინააღმდეგობის წყალობით XVIII ს-ში „ბათუმი და მთელი სამუსლიმანო საქართველო ოსმალთაგან იყო დამოუკიდებელი და თავისუფალი“ (ზ.ჭიჭინაძე, 1918:11).
6. 1610-1611 წლებში ოსმალებს მოუხდენიათ ბათუმის ღივას აღწერა. შესაბამისად შეუდგენიათ 1610-1611 წლების ბათუმის ღივას აღწერის დავთარი (ნ.შენგელია, 1974:174).
7. ოსმალური წყაროს მიხედვით ლაშქრობაში ჩართული იყო საზღვაო ფლოტი. „შავი ზღვის მხარეში გონიოსა და ბათუმის რაიონებში დაცვის სამსხურის პირობით გამოიგზავნა 5 სამხედრო გემისაგან შემდგარი ფლოტი“ (ნ.შენგელია, 1987:200).
8. ესელი ყურეში - ოსმალური მონეტის ერთი სახეობა. შეადგენდა 70 ახჩას. ახჩა ოსმალური წვრილი ვერცხლის ფული.
9. ვატიონიშვილის ცნობას არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებდნენ ასევე ლუკა ისარლიშვილი (Исарлов Л., 1899:251); ვლადიმერ ლისოვსკი (Лисовский В., 1886:30); ჟან მურიე (ჟ. მურიე, 1962:32). ამიტომ ისინი ოსმალებს მიიჩნევდნენ ბათუმის ციხის ამგებლებად.
10. ოსმალთა ბატონობის პერიოდში ქალაქის გალავანმა დაკარგა ფუნქცია და დროთა ვითარებაში დაინგრა. ძვ.ბათუმის მოსახლეობა დიდად შემცირდა. ვინც დარჩა დასახლდნენ ციხის ტერიტორიაზე.
11. რაც შეეხება ქ. ჩხატარაიშვილის მიერ ბათუმის ყურეში მითითებულ სიმაგრეს, რომელსაც, - როგორც თავად მიუთითებს, საფუძველი

1703 წ. ჩაეყარა (ქჩხატარაიშვილი, 1976:273). უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ფაქტი არ დასტურდება როგორც ოსმალური თუ სხვა წერილობითი წყაროებით, ასევე საკითხთან დაკავშირებით მატერიალური და არქეოლოგიური მონაცემებით. დავაწლმოსილი მეცნიერის მიერ ბათუმის ყურეში მინიშნებული სასამაგრო ნაგებობა ოსმალებმა ააგეს XIX ს-ის მეორე ნახევარში.

12. ციხის უფროსად დანიშნულად მეჰმედს ეკავა გარიზონში მუსთაფაზების რაზმის მეთაურის თანამდებობა. გასათვალისწინებელია, რომ მუსატაფაზები იყვნენ თიმარის კატეგორიის მიწის მფლობელი მეომრები. მას შეადგენდნენ ძირითადად ადგილობრივი გამუსლიმანებული მაღალი წრის წარმომადგენლები. რაც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ მეჰმედი ყოფილა ადგილობრივი წარმოშობის.
13. XIX ს-ის დამდეგის უცხოურ წყაროებში შერვაშიძეები მოიხსენიებიან ბათუმის კომენდანტებად (ე.ფ. გამბა, 1993:263; რ.უზუნაძე, 2001:70).
14. ჯარის ნაწილების ჩამონათვალი გაკეთებულია წყაროში მითითებული თანმიმდევრობით (იხ.XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:87).
15. ოსმალური წესით გვარი არ იწერებოდა. იხსენიებიან სახელით და მამის სახელით. ამიტომ უცნობი რჩება საკვლევ ციხესა და რეგიონთან დაკავშირებით ოსმალურ წყაროებში მოხსენიებული ქართული წარმოშობის პირთა გვარები.
16. საბა ომერის მამა ალი ყოფილა სერდენგის (ოსმალთა ლაშქრის ერთი კატეგორია) რაზმის მეთაური (ალა). მათ თავსებულაღებულთ უწოდებდნენ. ალი წყაროში მოხსენიებულია „უსამართლო კაცის“ სახელით (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:89,281).
17. აზაბები ძირითადად თავმოყრილი იყვნენ ოსმალთა მიერ დაპყრობილ ამა თუ იმ ციხე-სიმაგრეში, განსაკუთრებით ზღვისპირა ადგილებში (ნ.შენგელია, 1987:255).
18. გელიქი ხდებოდნენ წარჩინებული მაღალი თანამდებობის პირები. მათ სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ ეძლეოდათ თიმარები.
19. აჰმედ ბეგი იყო ადგილობრივი წარჩინებული ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.
20. ქისა - ფულის საზომი ერთეული. ერთი ქისა უდრიდა 400 ათას ახჩას
21. აჭარაში, განსაკუთრებით ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე, ფიქსირდება გვარები, რომელთა წინაპრები იყვნენ მეღოშეები. ამიტომ ოსმალთა დროს შთამომავლები იწოდებოდნენ ბაირაქტაროლღებად, ბეირაქტაროლღებად (ხ.ახვლედიანი, 1944:242-243; რ.უზუნაძე, 2011:46).
22. საუბარი უნდა იყოს, რომ მუსაბეგი უმეტეს დროს თავის საცხოვრებელ ადგილზე, ოჯახში ატარებდა.
23. XIX ს-ის 30-იან წლების შუა ხანებამდე, ბეჟანიძეები თავიანთ გავლენას ინარჩუნებდნენ ასევე, ახლად გადმონაცვლებულ, თანამედროვე ბათუმ-ქალაქის ტერიტორიაზე (მ.კასაბი, 2014 :45)

24. ამ უკანასკნელის დანიშვნის შესახებ სულთანის კარზე არზა წარუდგენია ფოთის ციხის უფროსს, ვეზირ მირზა მეჰმედ ფაშას (ნ.შენგელია, 1987:98).
25. იბრაჰიმი უნდა ყოფილიყო ბათუმის გონიოს სანჯაყის მაცხოვრებელი.
26. ერთი ოყა = 1283 გრ.
27. ერთი ქილა= დაახლ. 25 კგ.
28. ყანთარი - წონის ერთეული, დაახლ. 56,4 კგ.
29. თოფი - ქსოვილის საზომი ერთეული უდრიდა 8-10 მ.
30. იგი ფიქსირდება 1712 წ. ოსმალურ დოკუმენტებში (ქ.ჩხატარაიშვილი, 1976:272). 1715 წ. ცნობით სანჯაყებზე ახმედის წლიური გასამრჯელო შეადგენდა დაახლ. 190 ათას ახჩას (ო.თურმანიძე, 2001:44).
31. მუსტაფა ოსმალურ წყაროში მოხსენიებულია ფაშას ტიტულით (XVI-XVIII ს.ს. -ოდწ.,1987:96,137). 1723 წლის ცნობით სანჯაყებზე თანამდებობაზე, მისი წლიური გასამრჯელო შეადგენდა 3,200 ათას ახჩას (ო.თურმანიძე, 2001:38). მუსტაფა ფაშა საინტერესო პიროვნება ჩანს. ეკავა ქართული ორიენტაცია. როგორც ითქვა მხარი დაუჭირა ზემოთხსენებულ მუსა ბეგის კანდიდატურას, ჯებუჯიების და სანაპირო დაცვის (იერლუიანები) აღად დაენიშნათ წარმოშობით ადგილობრივი ქართველი.
32. საკვლევი პერიოდის ბათუმის მხარეში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ინარჩუნებდა ქრისტიანობას. სარგებლობის წესით, ქრისტიან ქართველებზე გაცივულ მიწის ნაკვეთებს ოსმალები ბაშთინებს უწოდებდნენ. როგორც გამოკვლეულია „ბაშთინებით იყო მოფენილი მთელი ბათუმის სანჯაყი“ (ნ.შენგელია, 2009:243). ეკისრებოდათ სხვადასხვა მძიმე გადასახადის გადახდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ხ. ახვლედიანი, 1944. - ახვლედიანი ხ., ნარკვევები აჭარის ისტორიიდან (მე-16 - მე-19 ს.ს.-ები), ბათუმი 1944;
2. Акты, 1868. – Акты (собранные Кавказской археографической комиссией), т. 2, Тифлис, 1868.
3. დ. ბაქრაძე, 1987. - ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987;
4. Берадзе Т., - 1989. - Беридзе Т., Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989;
5. ი. ბექირიშვილი, 1991. - ბექირიშვილი ი., როდის დაიპყრეს ოსმალებმა აჭარა? - ჟურნ. „ჭოროხი, ბათ. 1991.N3;

6. ი. ბეჭერიშვილი, 1996. - ბეჭერიშვილი ი., აჭარის ისტორია გვარსახელებში, ბათუმი, 1996;
7. თ. თურმანიძე, 2001. - თურმანიძე თ., საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში, ბათუმი, 2001;
8. ნ. ინაიშვილი, 2009. - ინაიშვილი ნ., ბათუმი ადრე ბიზანტიურ ხანაში. - ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა) I, ბათუმი, 2009;
9. Исарлов Л., 1899. - Исарлов Л., Письма о Грузии, Тифлис, 1899;
10. ა. კახიძე, დ. ხახუტაიშვილი, 1989 - კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ., მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის (წინა ანტიკური და ანტიკური ხანა). - სლსძ., XVIII, თბ., 1989;
11. კ. კვაშილავა, 2015. - კვაშილავა კ., ოსმალთა ბატონობისაგან ბათუმის განთავისუფლების ერთი გეგმის შესახებ. - ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა) VI, ბათუმი, 2015;
12. მ. კასაბი, 2014. - კასაბი მ., XIX საუკუნეში ბათუმის ცენტრში რეკონსტრუქციული საქმიანობა და მოსახლეობა. ბათუმი, (წარსული და თანამედროვეობა);
13. დ. კომახიძე, 1977. - კომახიძე დ., ბათუმი გუშინ, დღეს და ხვალ, ბათუმი, 1977;
14. Леквинадзе В.А. 1973. - Леквинадзе В.А. О постройках Юстиниана в западной Грузии. Византийский временник, 34, 1973;
15. Лисовский В, 1886. - Лисовский В, Чорохский край, Тифлис, 1886;
16. ე. მამისთვალიშვილი, 1980. - მამისთვალიშვილი ე., საქართველი ჰანს შელტბერგერის „მოგზაურობის წიგნი“. - მაცნე (ისტორიის სერია), თბ., 1980, N2;
17. შ. მესხია, 1983. - მესხია შ., ქალაქები და საქალაქო წესწყობილება საქართველოში XVIII ს-ის დასასრულამდე. საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბ., 1983;
18. XVI-XVII ს.ს. ოღწ., - XVI-XVII ს.ს. ოსმალური დოკუმენტური წყაროები. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, ლექსიკონით და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, წ. I, თბ., 1987;
19. ე. მურიე 1962. - მურიე ე., ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი, 1962;
20. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII ს.ს.). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბ., 1982;
21. Полиевктов М., 1935. - Полиевктов М., Европейские путешественники XIII-XVIII в.в. по Кавказу, Тифлис, 1935;
22. სცსსა, ფ. 231, ანაწ. I, ს. 29, ფურც. 7;
23. რ. სურმანიძე, 1998 - 2007. სურმანიძე რ., თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში 1912 წ., ბათუმი, 2007;
24. რ. სურმანიძე, - სურმანიძე რ., ყადირ შერვაშიძე, ბათუმი, 1998;

25. ი. სიხარულიძე, 1962. - სიხარულიძე ი., აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათუმი, 1962;
26. თ. სოსელია, 1973. - სოსელია თ., ნარკვევი ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, I, თბ., 1973;
27. რ. უზუნაძე, 1977. - უზუნაძე რ., ბათუმის ისტორიიდან (XIX ს-ის დამდეგი - 70-იანი წლები), ბათუმი, 1997;
28. რ. უზუნაძე, 2001. - უზუნაძე რ., ნაოსნობა ბათუმის ოლქში. ბათუმი, 2001;
29. რ. უზუნაძე, 2013. - უზუნაძე რ., სურმანიძე რ., ზოსიძე ნ., ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა), თბ., 2013;
30. ლ.ურუშაძე, 1982. - ურუშაძე ლ., ბათუმში ოსმალთა ბატონობის ისტორიისათვის. ჟურნ. „ჭოროხი“, 1982 N2;
31. ვ. ბატონიშვილი, 1973. - ქართლის ცხოვრება, ტ.IV, თბ.1973;
32. ზ. შაშიკაძე, 2009 ~. - შაშიკაძე ზ., ბათუმი XVI ს-ის მეორე ნახევარში. - ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა), I, ბათუმი, 2009;
33. ნ. შენგელია, 1974. - შენგელია ნ., XV-XVIII ს.ს. საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974;
34. ნ. შენგელია, 2009. - შენგელია ნ., სამცხე-საათაბაგოს და აჭარის მიტაცება ოსმალეთის მიერ. - სდსინ (აჭარა), II ბათუმი, 2009;
35. ნ. შენგელია, 2009. - შენგელია ნ., ოსმალური მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში XVI-XVIII ს.ს-ში. სდსინ (აჭარა), II ბათუმი, 2009;
36. ე. ჩელები - 1973. - ჩელები ე., მოგზაურობის წიგნი (თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ.ფუთურაძემ), II, თბ., 1973.
37. ქ. ჩხატარაიშვილი, 1973. - ჩხატარაიშვილი ქ., დასავლეთ საქართველო XVIII ს-ის პირველ ნახევარში. სინ, IV, თბ., 1973;
38. ქ. ჩხატარაიშვილი, 1972. - ჩხატარაიშვილი ქ. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან XVIII ს-ის პირველ მეოთხედში. - საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972;
39. ქ. ჩხატარაიშვილი 1976 - ჩხატარაიშვილი ქ. საყურადღებო დოკუმენტი საქართველოს თურქეთის ურთიერთობის ისტორიისათვის. კრ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976;
40. ივ. ჯავახიშვილი, 1982. - ჯავახიშვილი ივ., თხზ., ტ. III, თბ. 1982;
41. დ. ხახუტაიშვილი, 1997. - ხახუტაიშვილი დ., ბათუმის ციხე. - საქართველოს ენციკლოპედია, I, თბ., 1997;
42. ნ. ჯაველიძე, 1985. - ჯაველიძე ნ., ოსმალთა ისტორიკოსი ფუნდუკლუღუ მეჰმედ ალა დასავლეთ საქართველოს შესახებ. - თსუ შრომები (აღმოსავლეთ მცოდნეობის სერია), ტ. 250, თბ., 1985;
43. ვ. ჯაოშვილი, ი. სიხარულიძე, ა.სურგულაძე, 2009 - ჯაოშვილი ვ, სიხარულიძე ი, სურგულაძე ა, ბათუმი, - საქართველოს ენციკლოპედია, თბ., 2009.

Revaz Uzunadze
Merab uzunadze

From the History of the Batumi (Tamari) Fortresses
(XVII-XVIII cc)

Summary

During the period under study Batumi (Tamari) Fortress was the only fortification construction in Batumi. At this time Batumi was conquered by the Ottomans. Because of the strategic position, the Ottomans paid great attention to the strengthening and defense of the Batumi Fortress. The Ottomans conducted the reconstruction works on the Fortress in 1702-1703. From 1703 they have stationed a garrison in the Batumi Fortress. Its number used to change in accordance with the situation along the Black Sea littoral. The garrison consisted of five parts of the Ottoman army and a detachment of coastal guard.

A significant part of the garrison was the local population of Batumi sanjaki that became Muslims. They hold leading positions. The Georgian personnel of the garrison neglected their responsibilities, showing by this their protest against the Ottoman invaders.

ქართული ემიგრაცია საბერძნეთში

ძნელია ემოციის გარეშე ისაუბრო იმ ადამიანებზე, რომლებიც ისტორიული ბედუკუდმართობის გამო საქართველოს პოლიტიკური საზღვრების გარეთ აღმოჩნდნენ. მათ თვალეში აშკარად ჩანს ნოსტალგია და სამშობლოს დაშორებით (თუნდაც დროებით) გამოწვეული ტკივილი, რაც ვერ გაანელა დრომ და მანძილმა. ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ ენა, კულტურა, ტრადიციები, ეთნიკური თავისთავადობა. საქართველოს ხსენებაზე თვალეზე ცრემლი ადგებათ მონატრებისა და სიყვარულის ნიშნად. მათ შორის არიან საბერძნეთში მუდმივ საცხოვრებლად თუ დროებით სამუშაოზე წასული ქართველებიც.

სამწუხაროდ, ოფიციალური მონაცემები, თუ რამდენი ქართველი იმყოფება საზღვრებს მიღმა, უცნობია. ამის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი, არალეგალურად მცხოვრებნი არიან. თუმცა, საქართველოში მიგრაციის მანქენებლის ზრდაზე საუბრობენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც.

საქართველოში დარჩენილი ოჯახების სარჩენად საზღვარგარეთ გადახვეწილი ქართველების ძირითადი სამუშაო მოხუცებისა და ბავშვების მოვლა-პატრონობაა. უმუშევარი მამაკაცები ხშირ შემთხვევაში წერილმანი ქურდობით ირჩენენ თავს.

ქართველების საკმაოდ მრავალრიცხოვანი დიასპორაა წარმოდგენილი საბერძნეთში. ქართულთა რაოდენობა საბერძნეთის მთელ ტერიტორიაზე არაზუსტი მონაცემებით, სავარაუდოდ, 150 ათასზე მეტ ადამიანს ითვლის. ქართველები ცხოვრობენ საბერძნეთის თითქმის ყველა ქალაქსა თუ სოფელში, ასევე კუნძულებზე. საბერძნეთში მცხოვრები ქართველები ინარჩუნებენ მშობლიურ ენასა და სარწმუნოებას. საბერძნეთის ქართული დიასპორისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ქართული კერების (სათვისტომო, კულტურის ცენტრი, საკვირაო სკოლა) არსებობა. სწორედ ამ მიზნით, საელჩოს, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერითა და საკუთრივ სათვისტომოს ინიციატივით, საბერძნეთის სხვადასხვა რეგიონში შექმნილია დიასპორული ორგანიზაციები.

ქართველ ემიგრანტთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მუშაობს პროფესიით, ძირითადი ნაწილი კი (აღბათ 90 პროცენტი) მძიმე ფიზიკური შრომითაა დაკავებული. ისინი უარს ამბობენ პირად ცხოვრებაზე, საკუთარ სიამოვნებაზე, სრულად იხარჯებიან მათი ოჯახებისა და შვილებისათვის და სხვისი ნების აღმსრულებელნი და თავისუფლებაჩამორთმეულნი დარდში, ტირილში ატარებენ ბნელ ღამეებს.

საბერძნეთის ტერიტორიაზე არის რამდენიმე ოფიციალურად დარეგისტრირებული სათვისტომო და ორგანიზაცია. საკუთრივ ათენში რამდენიმე ათეული ასეთი ორგანიზაციაა, კერძოდ:

1. ქართველთა სათვისტომო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი" და ქართული გაზეთი „ელადა“ (დამფუძნებელი და რედაქტორი: ანა ყურშავიშვილი);

2. ქართველ ქალთა კავშირი; საინფორმაციო და შემოქმედებითი ჟურნალი „ემიგრანტი ქალი“(თავმჯდომარე: ნუნუ ღურჭუმალიძე);
3. ქართული გაზეთი "გეორგიანი ეფიმერიდა", ათენის ქართული ინსტიტუტი (დირექტორი: ავთანდილ მიქაბერიძე);
4. ბერძნულ-ქართული გაერთიანება "კავკასია" (თავმჯდომარე: თეოდოროს სტოლტიდი);
5. ბერძნულ-ქართული კულტურული კავშირი- "დიოსკურია"(თავმჯდომარე: ავთანდილ მიქაბერიძე);
6. ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრი "კავკასია" (თავმჯდომარე: ავთანდილ მიქაბერიძე);
7. წმ. ნინოს სახელობის ქართული პოლიფონიური მუსიკის გუნდი (ხელმძღვანელი: ნინო მესხიშვილი);
8. ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლი „კავკასია“ და მისი სასწავლო სტუდია (სამხატვრო ხელმძღვანელი: ეკა გიგოლაშვილი-მაცკარი);
9. კომპიუტერული და თანამედროვე ტექნოლოგიების შემსწავლელი კაბინეტი (ხელმძღვანელი: ბესო ცეცხლაძე);
10. ქართული საბავშვო ბაღი „ანი და ბანი“(ხელმძღვანელი: დალი ბრეგვაძე);
11. ათენის ქართული სკოლა (პედაგოგები: თამარ ტარტარაშვილი და ნატალია ბოჭორიშვილი);
12. ხელთნაკეთი სამკაულების, აქსესუარებისა და დეკორატიული ნივთების დამზადების წრე (ხელმძღვანელი: მაია სააკაძე);
13. ქართულენოვანი რადიო „ივერია“ საბერძნეთის სახელმწიფო არხზე (EPT: „Filia“, FM 106.7) (ხელმძღვანელი: ავთ. მიქაბერიძე);
14. ათენის ქართული ბიბლიოთეკა (პასუხისმგებელი: ნატალია ბოჭორიშვილი);
15. სამედიცინო კონსულტაციები და ლაბორატორიული გამოკვლევები (ექიმები: ირინე მათურელი და გია კვარაცხელია);
16. სათვისტომო-ემიგრანტთა კავშირი „იბერია“ (ხელმძღვანელი: დარეჯან ღამბაშიძე);
17. საბერძნეთ - საქართველოს სტუდენტთა და ახალგაზრდობის ასოციაცია (პრეზიდენტი: ავთანდილ გიუნაშვილი) და მრავალი სხვა.

ასეთივე ორგანიზაციები არის ხანიაში, ნავპლიოში, აგიოს ნიკოლაოსში, კალამატასა და სხვა ქალაქებში, რომლებიც ეხმარებიან ქართველ ემიგრანტებს პრობლემების მოგვარებაში. დახმარება კი უცხო ქვეყანაში სამუშაოდ წასულ და უსაბუთობის გამო მუდმივად სტრესში მყოფ ქართველებს ნამდვილად სჭირდებათ...

ქართველები მრავლად არიან ჩრდილოეთ საბერძნეთის დედაქალაქად წოდებულ ქალაქ სალონიკში.



ქართული ორგანიზაციებით მდიდარია ეს ქალაქიც, სადაც დარეგისტრირებულია შემდეგი ორგანიზაციები:

1. „თესალონიკის ქართული საზოგადოება „საქართველო“ (თავმჯდომარე ელგუჯა მინაძე);
2. საზოგადოება „თესალონიკის ქართველობა“ (დამფუძნებელი ზაზა სულამანიძე);
3. თესალონიკის ქართული დიასპორის კონფედერაცია (დამფუძნებელი მ. რაზმაძე) (ერმუს ქ. N 23+306996567181);
4. ქართული სათვისტომოები: „ივერია“ (დამფუძნ. დიმიტრი კველიშვილი);
5. „ახალი საქართველო“ (დამფუძნ. ზოია სულხანიშვილი);
6. ხელოვნების მუშაკთა ასოციაციები, ქორეოგრაფიული ანსამბლები („კოლხი“, „ფესვები“, „მამული“...);
7. ლიტერატურული გაერთიანებები და საკვირაო სკოლები და ა. შ.

არაზუსტი მონაცემებით სალონიკში 15 ათასზე მეტი ქართველი ცხოვრობს. „ცხოვრობს“ - პირობითი ნათქვამია, რადგან მათი დიდი ნაწილი ნამდვილ ჯოჯოხეთშია. მათ იქ ცხოვრებას თან ახლავს თავდაუზოგავი შრომა (დამლაგებლად, მოსამსახურედ, ბავშვებისა და მოხუცების მომვლელად), დამცირება და შეურაცხყოფა. ბევრი მიგრანტი ქუჩაში გამოსვლასაც ერიდება, რადგან არაღებულურადაა შესული ქვეყანაში და მუდმივი დეპორტის საფრთხის წინაშე დგას. სწორედ ამიტომაც იქ ხშირი პატრულის რეიდები. ვისაც არ აქვს საბუთები, იჭერენ, შემდეგ კი ჯარიმის გადახდის შემთხვევაში უკან უშვებენ ან სამშობლოში აბრუნებენ.

საბერძნეთის „ქართველ მონებს“ იშვიათად აქვთ დასვენების უფლება. თუ კი ასეთი დღე გამოუჩნდებათ, ცდილობენ ერთდღიანი სამუშაო იშოვონ. ქართველთა ნაწილი გაურბის ერთმანეთს შეხვედრას, მეორე ნაწილი კი ზოგჯერ ახერხებს თავშეფრას, რათა ერთმანეთს დარდი და სიხარული გაუზიარონ. აქ დარჩენილ ქართველებს ჰგონიათ, რომ უცხოეთში ფული ციდან ცვივა და იოლად შეუძლიათ გამდიდრება. ეს ნამდვილად არაა ასე. ამაში დარწმუნდება ნებისმიერი ქართველი, ვისაც უცხოეთში გადახვეწილ თანამემამულესთან შეხვედრის შესაძლებლობა ექნება.

მართლაც მძიმე ყოფილა საშოვარის საძებრად სამშობლოსაგან შორს გადახვეწილ ქართველ ემიგრანტთა ბედი. როცა მათთან საუბრობ, კარგად გრძნობ, რა ზუსტად ასახავს ქართული ფილმი „წუთისოფელი“ მათ განწყო-

ბას. უმეტესი ნაწილი აქ უკვე 20–25 წელია ცხოვრობს, მაგრამ საქართველოში ერთხელაც კი ვერ ჩამოსულან, რადგან უკან ვეღარ დაბრუნდებიან. ვინ რას აკეთებს და ვინ კიდევ რას. უმრავლესობა წესიერად და პატიოსნად ცხოვრობს. დიდად მაინცა და მაინც თითქოს არ უჭირთ, მაგრამ არცერთი არ გრძნობს ბედნიერად თავს. ნოსტალგიით ცხოვრობენ. ნოსტალგია, ეკლესია, ქართული ტელეარხები, სკაიპი და ახლობელთა სურათებია მათი ყველაზე დიდი სულიერი საზრდო. ბევრი ოჯახითაა ჩამოსული, ბევრიც კიდევ. მარტო, ეულად ...

წლების მანძილზე მრავალ ემოგრანტ ქართველთან გვქონდა და ამჟამადაც გვქვს ახლო ურთიერთობა. მათ შორის არიან სალონიკელი ქართველებიც. სალონიკს 2015 წლის 6 აპრილს ვეწვიეთ ევროკავშირის საგრანტო პროექტის „MEMOROW“ -ს ფარგლებში. ჩვენი პირველი მასპინძლები თბილისიდან წასული მირიანი და ბოლნისელი მამუკა... იყვნენ. მირიანი დილის 6 საათზე დაგვხდა ქალაქის ცენტრში, არისტოტელედ წოდებულ მთავარ მოედანზე. წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ბატონი მირიანი მთელი დღის განმავლობაში (ბატონ მამუკასთან ერთად) არ მოგვეშორებია მანამდე, სანამ არ დაგვაბინავა. ბედად, ისევ გადახვეწული ქართველი ქალბატონის მანანა წერეთლის ბინაში მოვხვდით. ქართველებთან შეხვედრით გახალისებულმა ქალბატონმა მანანამ სიამოვნებით დაგვითმო საცხოვრებელი და შემდეგ დღეებშიც არ მოუკლია ჩვენთვის მზრუნველობა და მხარდაჭერა.

საბურძნეთში ჩვენი იქ ყოფნის განმავლობაში მრავალ ადამიანთან შეხვედრის შესაძლებლობა მოგვეცა. შევხვდით ისეთებსაც, რომლებიც მათი სამშობლოს - საქართველოს მიმართ აბსოლუტურად გულგრილნი გვეჩვენა. ანაზღად ჩაგვესმის გულისტკივილით ნათქვამი მათი სიტყვები: „მარტო ჩვენ კი არ უნდა გვიყვარდეს სამშობლო, სამშობლოსაც უნდა ვუყვარდეთ ჩვენ“.

მეტად შთამბეჭდავი აღმოჩნდა ჩვენი შეხვედრა 1990-იან წლებში საქართველოდან გადახვეწილი, დებივით შეზრდილი ორი ქალბატონის ეკასა და დოდოს „ოჯახში“. ქალაქის ცენტრიდან ორიოდ კოლომეტრზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის მეოთხე სართულზე უქირავებიან ერთოთახიანი ბინა. ალაგებენ სახლებს და უფლიან მოხუცებს. ქალბატონი დოდო სამსართულიანი სახლის მოვლა-დალაგებაში გასამრჯელოდ იღებს 400 ევროს. პარალელურად უფლის მოხუცს, რაშიც 300 ევროს უხდიან. ამ თანხის დიდ ნაწილს თავის ახლობლებს უგზავნის საქართველოში.



სწორედ ამ ქალბატონებმა მიგვიპატივეს მათთან მე, კახაბერ სურგულაძე, თემურ ავალიანი და მარინე არაშვიდი. შეხვედრა მეტად ემოციური იყო და გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. გაიშალა ქართული სუფრა. თითოეული ჩვენგანი თავს მშობლიურ საქართველოში ვგრძნობდით. საუბარი შეეხო ჩვენს ტრაგიკულ ისტორიას, ქართველთა მიმე ხვედრს, ბედუკუდმართობის შედეგად უცხოეთში გადახვეწილ ადამიანთა ტრაგიკულ თავგადასავალს. თითოეული მათგანის ბედი ცალკე აღებული ორიგინალური ისტორია, ჩვენი ქვეყნის შესაბამისი პერიოდის ისტორიის ერთგვარი სარკეა. ალბათ, ეს დღევ მოვა და დაინტერესდება ვინმე უახლესი ისტორიის ქართული ემიგრაციის ფენომენით. ამ სურათებზე ჩვენი მასპინძელი ქალბატონების - ქალბატონ დოდოსა და ქალბატონ ეკასთან ერთად წარმოდგენილნი არიან ჩვენი პირველი გზამკვლევეები და მასპინძლები: ბატონი მირიანი და ბატონი მამუკა. ეს ქალბატონები 70-ს უახლოვდებიან, 25 წელია აქ არიან. ქალბატონ დოდოს მარტოს მოუხდა ცხოვრების ამ გზის გავლა. ოჯახი ვერ შექმნა, მაგრამ საკუთარ ძმისშვილებს იქედან უდგას მხარში. მეორე, ქალბატონი ეკა, არც თუ ისე მცირერიცხოვანი ოჯახის პატრონია, მაგრამ ზოგი მათგანი ძალიან ადრეულ ადრეულ ასაკში, უდროოდ ყავს დაღუპული. დარდის გასაქარვებლად თითქოს მხიარულად მოაქვს თავი, რათა თავისი მწუხარებით სხვებს განწყობა არ „გაუფუჭოს“, მაგრამ თვალეში აშკარად ჩანს უდიდესი სევდა, გულისტკივილი და მწუხარება. ვხვდებოდით, რატომ უბრწყინავდათ თვალეები ჩვენი დანახვისას და რატომ გვიკრავდნენ ასე თბილად გულში. ვფიქრობდით, როგორ შეიძლებოდა ასე ძალიან ვყვარებოდით სრულიად უცნობ ადამიანებს. მივხვდით, მათი ასეთი ემოციების მიზეზი - ჩვენი დანახვისას მათ თავიანთი შვილები და ახლობლები ახსენდებოდათ და იმედი უჩნდებოდათ, რომ მალე დადგებოდა მათთვის უსაყვარლეს ადამიანებთან შეხვედრის დღე.

ქართველ ემიგრანტ ქალებთან ურთიერთობისას მაქსიმალურად ვცდილობდით მშვიდად ვყოფილიყავით და ჩვენი განცდები არ გამოგვეხატა. ძნელი წარმოსადგენია გააცნობიერო მატერიალური გაჭირვების გამო იძულებით საკუთარი ოჯახის მიტოვება და სამუშაოდ სხვა ქვეყანაში წასვლა. ეს საშინელი ტრაგედიაა, მაგრამ უმეტესობას, ალბათ, არ უნახავს იქ მყოფი ემიგრანტების თვალეები, რომლებიც ყოველთვის ცრემლით ივსებოდა ჩვენი დანახვისას. წამოსვლისას ისინიც ისევე დარდობდნენ ჩვენზე, როგორც საკუთარი მშობლები.

წარმოდგენაც ძნელია, როგორ ძლებენ ემიგრანტი ქალები უცხო ქვეყანაში, თუმცა, ფაქტია, რომ უამრავი ქართველი დედაა იქ და თუ რამე აძლებინებთ, ეს შვილების, ოჯახის სიყვარულია, რომელთა უმეტესობა მალევე ივიწყებს მათ და მხოლოდ ფულის გამო უხარიათ მათი არსებობა. ფულის გამო უხარიათ ქმრებს ცოლების წასვლა საზღვარგარეთ და ფულის გამო უხარიათ ნათესავებსაც. ძალზე მცირეა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც გული შესტკივით საბერძნეთში მყოფ მშობლებზე. ფაქტის უტრირებას არ ვახდენთ, მაგრამ ეს ყველაფერი მართლაც ასეა და უამრავი მსგავსი მაგალითია ცნობილი.

საუბარი შეეხო ზოგიერთი ქართველის მიერ ჩადენილ უღირს საქციელსაც, საკუთარ სამშობლოს ასე ურცხვად რომ უტყვენ სახელს. ზოგიერთი ქართველი ქართველის უბედურების ხარჯზე ცდილობს ხელის მოთბობას. ბევრისთვის უცხო არაა უმადურობა, ქურდობა და ყაჩაღობა. ზოგიერთებს ქურდული მენტალიტეტის დამკვიდრებაც კი უცდიათ. სამწუხარ-

როდ ცხოვრების წესად ქცეულა სალონიკში მყოფი ქართველების ქიშპობა და გაუტანლობა. გულდასაწყვეტია, რომ ხშირ შემთხვევაში სამშობლოდან შორს მყოფი ქართველები ერთმანეთს გვერდში დგომის ნაცვლად მტრობენ და ფულს ძალავენ. ამიტომაც არ მიკვირს ბერძნების მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება ქართველი ემიგრანტების მიმართ. ნიშანდობლივად გვეჩვენა მათ მიერ მოთხრობილი სევედიანი ისტორია, როცა ერთ-ერთმა ბერძენმა 88 წლის ხაბი იოანიდისმა საკუთარ ოჯახში შეიკედლა მურად (თუ მარად) არხოშაშვილისა და ფიქრია არხოშაშვილ-ოკმელაშვილის სამშვილიანი ოჯახი. მთელი ოთხი წლის განმავლობაში საკუთარ ლუკმას უყოფდა, მშობლიურ მზრუნველობას არ აკლებდა ბედისაგან ჩაწიხლულ ადამიანებს, თუმცა მათმა უმადურობამ ჩვენი მასპინძელი ქალბატონებიც აღაშფოთა. მათ არ დაუშურებიათ თბილი სიტყვები ბატონი ხაბის მიმართ, რომელიც მოიწვიეს ჩვენთან სუფრაზე და მასთან გაცნობის შესაძლებლობა მოგვეცეს. ბატონმა ხაბიმ ამის შესახებ საუბარი არ ისურვა, თუმცა შეგვპირდა, რომ მაისში აუცილებლად წავგიყვანდა საკუთარ „დაჩაზე“, ვენახის ბაღში და გაგვიმასპინძლდებოდა. ჩვენ იმ უმადური ქართველების ნაცვლად ბოდიში მოვუხადეთ კეთილშობილ ადამიანს და მადლობა მოვახსენეთ ქართველების მიმართ გამოჩენილი მზრუნველობისა და თანადგომისათვის. რას იზამ, დადებითი ემოციებთან ერთად დამთრგუნველი ფაქტების მომსწრეც გავხდით.



ჩვენი მასპინძლები საკმაოდ განათლებული ქალბატონები აღმოჩნდნენ. საუბრის თემატიკაც მეტად მრავალფეროვანი იყო: ქართული ხელოვნება, კულტურა, ლიტერატურა, ისტორია, ღვაწლმოსილი ადამიანები და სხვა საკითხები, თუმცა მთავარი მაინც ჩვენი ტრაგიკული ისტორია იყო. ქალბატონმა დოდომ გაიხსენა საქართველოდან საბერძნეთში წასვლის პერიოდი, გაიხსენა ისიც, როგორ ცდილობდა სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში შემხვედრი ერთ-ერთი ქართველი ტაქსისტი გაუბედურებული ქალის ხარჯზე ხელის მოთბობას. ქალბატონმა დოდომ მადლიერებით გაიხსენა მეორე ქართველიც, რომელმაც გაჭირვებაში ჩავარდნილი ქალბატონის გასაჭირი

გულთან ახლოს მიიტანა და 100 დოლარიც აჩუქა უცხოეთში ბედის საძიებლად მიმავალს, თუმცა თავმოყვარე ქალბატონმა ვერ იკადრა ამ ფულის აღება.

როგორც ითქვა, ქართველ ემიგრანტებს ჩამოყალიბებული აქვთ სათვისტომო-საზოგადოებები, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდები, შემოქმედებითი კავშირები, ისინი დიდ ინტერესს იჩენენ ქართული კულტურის, ისტორიის, ფოლკლორის შესწავლისადმი, სათვისტომოებში მოქმედებს ქართული ფოლკლორული ანსამბლები. ჩვენი ვალია დავეხმაროთ ასეთ ქართველებს, მოვეფეროთ და გულში ჩავიკრათ ისინი. ამ რწმენით დაფორდით ქართველ ემიგრანტებს და უდიდესი შთაბეჭდილებებით დატვირთულებმა გამოვეშურეთ საქართველოსაკენ იმ იმედით, რომ კვლავ მოგვეცემა მათთან შეხვედრის შესაძლებლობა.

***Махаджирство абхазов:
миграционные и социально-политические аспекты***

На всем протяжении многовековой истории цивилизации процесс миграции выступает как неотделимая составная часть жизни народов, способом и возможностью существования людей в быстро развивающемся мире. Фактически, вся история человечества представляет собой историю миграции, под ее влиянием формировались регионы и государства, развивалась социальная структура общества, экономическая, политическая и культурная сфера жизни. Миграция людей представляет, в первую очередь, неотделимую часть общественных отношений, а с другой, показатель проблем во всех сферах жизни.

Общеизвестно, что не бывает абсолютной неподвижности населения, как и полной его изоляции. С древних времен люди группами и в одиночку переходили с места на место, переселялись в дальние края. Однако абхазы, как и многие кавказские народы, в целом не отличались миграционной активностью, за исключением вынужденного махаджирства в XIX веке.

Однако, нельзя утверждать, что вообще не было никаких передвижений. Следует отметить, что не столь частые миграции в абхазском социуме, имели место. В основном они происходили в пределах своей этнической территории. Здесь необходимо выделить несколько моментов: среди горских народов Кавказа бытовало такое понятие как гостевание. Это когда пастухи, которые приходили зимовать из Северного Кавказа на Южный или наоборот, оставались на постоянное место жительства. Очевидно, в одной этнической среде эти передвижения были легче и безболезненны, т.к. они не встречали особого языкового барьера, т.е. передвижения носили внутриэтнический характер. Например, у абхазов было несколько причин переселения на Северный Кавказ: дефицит пастбищных угодий (именно горных), засухи, природные катаклизмы. Также необходимо отметить, что «большую роль в сдерживании переселения играли традиционные общественные формы и связи, религиозные представления и родовые отношения (хотя, с другой стороны, тот же традиционализм, в особенности обычай кровной мести, выступал иногда причиной одиночных и даже групповых переселений). Этнические факторы миграций — язык, быт, духовная и материальная культура, обычаи, привычки, навыки, одним словом, комплекс ценностей и ориентаций в общественной и бытовой сфере, обхватываемых термином «абхазство» (апсуара), были основными факторами традиционно малой миграционной активности абхазов. Но всего этого оказалось совершенно недостаточно для сохранения этнической монолитности в собственной

стране. И волею неумолимых исторических судеб, в течение очень короткого промежутка времени карта национального состава населения Абхазии оказалась в корне перекроенной».

Миграция, как социокультурное явление является носителем как конструктивного, так и деструктивного начала. С одной стороны, она способствует развитию социума, с другой – часто является одной из самых острых и трагичных моментов его истории.

Деструктивного характера миграцией было махаджирство начатое в XIX веке, в основном, насильственное переселение кавказских народов в страны Ближнего востока.

Слово «махаджир» на арабском языке означает «вынужденный переселенец». Оно, в первую очередь, связано с переселением Пророка Мухаммеда и его сподвижников из Мекки в Медину. События XIX века на Кавказе придали этому слову новую нагрузку – например, в абхазском языке этот термин (амхаджьыр) приобрел значение «беженец, изгнанный с родины». Часто в связи с данным процессом употребляют термин «хиджра», что значит переселение из одного места на другое. В качестве религиозного термина, слово «хиджра» используется в случаях переселения верующих, которых угнетают на своей родине и лишают свободы вероисповедания.

Тысячи абхазов были вынуждены покинуть свою родину. Выселялись в основном борцы против русского присутствия в регионе, те, кто неоднократно поднимал восстания против царской России и поддерживал протурецки настроенных абхазских князей. В 1866 году прошла самая крупная волна махаджирства в связи с антирусским восстанием, охватившим больше половины территории Абхазии. За оружие взялись более 20 тысяч человек, которые в 1867 году были высланы в Турцию. Уже в 1808 году, а потом к завершению войны - в 1862 г. в Петербурге была создана специальная комиссия по кавказскому вопросу, основными положениями которой были следующие пункты:

1. Полностью очистить Кавказ от оружия и продолжать военные действия до тех пор, пока будет оказываться вооруженное сопротивление.
2. Заставить горцев спуститься с гор на равнину, т. к. в горах они очень искусны в ведении боевых действий. А живя на равнине, они со временем утратят свои боевые способности.
3. Вынудить горцев покинуть родные земли и переселиться в Турцию.
4. Колонизировать Кавказ лояльным и благонравным населением, чтобы растворить в нем коренное население.

Начиная с 1866 г., после упразднения Абхазского княжества и Лыхненского восстания, жизнь всего абхазского народа, и в особенности сохранившей мусульманское вероисповедание части, становится все более

тяжелой. Один из самых вопиющих при этом фактов - придание всему абхазскому народу статуса «виновного», ставящего в вину простым людям то, что они хотели спасти свою родную землю от власти царских интервентов и сохранить свободу. Ярлык «виновных» еще долго будет тяготеть над абхазами, а чиновники царской администрации использовать это обвинение при любом случае.

Однако, причиной массового переселения абхазов была не только агрессивная политика царизма. Отдельным и особенно важным мотивом переселения стала турецкая пропаганда. На провокационную роль Османской империи, заинтересованной в получении для своей слабеющей армии боеспособных, а главное, ненавидящих Россию и христиан горцев, указывает, например, французский историк Эрик Осли в своем труде «Покорение Кавказа». В разделе под многозначительным названием «Великий исход» автор дает следующую трактовку причин и идеологических источников махаджирства: «Идея о том, чтобы просить убежище на землях турецкого султана, предводителя правоверных, родилась у самих кавказских религиозных деятелей. Некоторые духовные лидеры призвали правоверных уйти из-под власти неверных и попытаться найти прибежище у братьев по вере. Они опасаются, что русские заставят их нарушать мусульманские заповеди и тем самым обрекут на вечное проклятие». В работе Э. Осли приводятся интересные свидетельства современников, выявляющие подлинную мотивацию «единоверной» Турции, – в частности, слова польского военнослужащего Теофиля Лапинского, воевавшего в составе черкесских отрядов против русских войск: «...для привлечения черкесов и татар из Крыма и Казани в Турцию развернута мощная пропагандистская кампания».

На провокационную деятельность части исламского духовенства, ведущего пропаганду переселения в единоверную Турцию, обращали внимание и многие другие историки. Эта деятельность стала предметом забот царской администрации. Некоторые представители мусульманского духовенства были высланы с данной территории, после чего число переселенцев резко сократилось.

Немало важную роль в массовой миграции абхазского народа сыграли, возглавившие переселение, местные князья и дворяне. По мнению историка Г.А. Дзидзария, «патриархальные отношения, тяготение вековой традиции, маскировавшие действительно сословные отношения, приводили к тому, что если «влиятельное» лицо переселялось в Турцию, то за ним следовали не только близкие люди и вообще родственники, но и многие псевдородственники... и зависимые крестьяне». Другой историк В.В. Дегоев в своем труде «Кавказ и великие державы в 1829-1864 гг. Политика, война, дипломатия» писал, что «вдохновители грандиозной кампании переселения,

опирались, прежде всего, на настроения ... знати, которую волновали не столько военные или политические проблемы, сколько личные социально-экономические перспективы при русской власти».

Согласно научным данным, число покинувших Абхазию до конца XIX века, составило 180 тысяч человек. Для абхазского этноса, по общим количественным показателям, это была демографическая катастрофа.

В целом, для малочисленного абхазского народа трагический период махаджирства – изгнания или бегства с родной земли приобрел характер и масштабы не только демографической, но и национальной катастрофы. Результатом вынужденной эмиграции стало появление в ряде стран Ближнего Востока – в пределах прежней Османской (Османской) империи – многочисленной абхазской диаспоры. Попав на чужбину, абхазы стали называть вновь обжитые места старыми именами. Так, около Измита есть Ачандара, Аацы, Дудрипш, Лыхны.

Согласно данным турецко-адыгского исследователя Бытырая Ёзбека (Batiray Ozbek) опубликованным в коллективном труде «Этнические группы в Республике Турция», сейчас в Турции имеется около 900 сел с абхазским населением (Andrews, 1967). Уровень сохранения абхазского языка в различных областях Турции различен. Он пока высок в больших абхазских селах, и намного слабее в маленьких или этнически смешанных поселениях. В таких провинциях, как Биледжик, Болу, Бурса, Дюздже и Сакаръя, абхазский язык еще хорошо известен людям старше тридцати лет, а в провинциях Самсун, Синоп и далее на северо-восток процесс языковой ассимиляции более очевиден. В целом, старшее и среднее поколение абхазов отлично владеют родным языком и пользуются им в общении друг с другом.

Абхазы сегодня проживают в 40 странах мира. Только в Сирии абхазо-адыгская община составляет восемь тысяч человек, чуть меньше проживают в Иордании. Абхазские диаспоры имеются также в Швейцарии (в основном в районе Цюриха), Нидерландах (в основном в районе Роттердама и Амстердама), Великобритании (в основном в Лондоне), Бельгии и Франции (в окрестностях Страсбурга). Меньшее число переехало в Америку, Канаду и Австралию.

Использованная литература:

1. Хорава Б. К. Махаджирство 1867 года в Абхазии Тб., : Артануджи, 2004;
2. Дегоев В.В. Кавказ и великие державы 1829-1864 гг. Политика, война, дипломатия. М.: Рубежи XXI, 2009;
3. Инал-ипа Ш.Д. Зарубежные абхазы. (Историко-этнографические этюды), 1990.

4. Дзидзария Г.А. Труды, 1990;
5. Осли Э. Покорение Кавказа. Геополитическая эпопея и войны за влияние. М.: Плюс-Минус, 2008;
6. Шинкуба Б.Б. Народы Западного Кавказа и Османская империя во второй половине XIX – первой половине XX вв. Махаджирство и его последствия // Кавказ: история, культура, традиции, языки, 2004;
7. Татарба А. Ислам в Абхазии (взгляд сквозь историю)», 2008.

Natalia Lazba

Abkhazian Mukhajirs: migration and socio-political aspects

Summary

Throughout the long history of civilization, the migration process acts as an integral part of the life of nations, as a way of human existence in a rapidly developing world. In fact, the whole history of mankind is a history of migration by the influence of which regions and states formed, social structure developed as well as economic, political and cultural spheres of life. Migration of people is first of all an inseparable part of social relations and on the other hand, an indicator of problems in all spheres of life.

It is well-known that absolute immobility of population cannot occur as well as its complete isolation. Since ancient times, people in groups and alone went from place to place, moved to distant lands. However, Abkhazians like many Caucasian nations did not show much migration activeness with the exception of forced Mukhajiropa in the XIX century.

კველი ნასოფლარი ჰანაკის რაიონიდან

**ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის (F R/196/2-105/14)
„არტაანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები“-ს
ფარგლებში)**

ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა და მიკროკლიმატის განსხვავება-კონტრასტულობა უხსოვარი დროიდან ადამიანისათვის სხვადასხვა საცხოვრებელ გარემო პირობებს ქმნიდა. აღნიშნულმა ფაქტორებმა ხელი შეუწყო თანამედროვე და ისტორიული საქართველოს საკმაოდ მცირე ტერიტორიაზე დასახლების ტიპებისა თუ სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი ნაგებობების წარმოშობა-განვითარებას (ადამია ი., 1967:3). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს **ჰანაკის რაიონის სოფელი აფჯილარი** (არტაანის პროვინციაში). საისტორიო საბუთებში იგი ქვ. ჰანაკის სახელით მოიხსენიება (აფჯი//მონადირე). ჩვენთვის საინტერესო ნასოფლარი მდებარეობს სოფლის ცენტრიდან 0,5 კმ-ს მოშორებით, მდ. თემისწყლის (ეხლ. აფჯილარის წყალი) სანაპიროზე.



მდ. თემისწყალი //აფჯილარისწყალი

მთხრობელთა ერთი ნაწილი ნასოფლარს **თემი-ს** სახელით მოიხსენიებს. ნასოფლარში შემონახულია ძველ საცხოვრებელთა საძირკვლის ნაშთები, რომლებიც ჩვენი ვარაუდით გვიანდელ შუასაუკუნეებს უნდა განე-

კუთვნილებს. შესაბამისად დასახლება მიწურბანიანი სახლებით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.



საპირკვლის ნაშთები (თემი)

სოფელი გაშენებული იყო თემისწყლის ორივე ნაპირზე, თუმცა ძირითადი დასახლება მარცხენა სანაპიროზე ყოფილა, რაც ვიზუალურადაც კარგად ჩანს.



თემი, ნასოფლარი

ნასოფლარი მთებს შორის ვაკე და თანმიმდევრული შეფერდების მდებარე იყო გაშენებული. სოფლის ორივე მხარეს მთებია, ხოლო ხეობა სოფელში შესასვლელსა და გასასვლელში ვიწროვდება და ქმნის ოთხივე მხრიდან მთებით შემოსაზღვრულობის შთაბეჭდილებას. მთებს შორის, ტაფობზე, მდინარის ვაკე ზედაპირსა და მარცხენა სანაპიროს შეფერდებაზე ყოფილა გაშენებული სოფელი. ჩრდილო-დასავლეთიდან, შემადგენულ გორაკზე არის ყიშლა - ყონადის (ეხლ. აფჯილარის) ციხე. მცენარეული საფა-

რი თითქმის არაა, თუ არ ჩავთვლით ბუჩქოვანი და ფოთლოვანი მცენარეების უმნიშვნელო რაოდენობას.

საინტერესოა სოფლის ძველი სახელწოდება „თემი“. იგი დასახლების ერთეულისა და ორგანიზაციული სტრუქტურის მიმანიშნებელ ტოპონიმად გვესახება. ერთ-ერთი მთხრობელის ინფორმაციით, „ადრე აქ ქართველებს უცხოვრიათ, თურქები მათი წასვლის შემდეგ მოვიდნენ (თუმცა ახლა უმრავლესობა ქურთების შთამომავლები უნდა იყვნენ), ეს ციხეც „გურჯი უსტას“ აშენებულია“. ქართველების ცხოვრების კვალს ადასტურებს სოფ. ჩაიადაზის (ძვ. ორადაზი) მცხოვრები ერთ-ერთი რესპონდენტი. მთხრობელის თქმით მისი აბლა (ბიცოლა) გურჯი ყოფილა. ამჟამად ამ სოფელში ცხოვრობენ აქთაშები, ოჯახები, იურთები, თაშდემები, ქილიჩები, ქომურჯები, გუნდუზები, აქფაები და სხვა საგვარეულოს წარმომადგენლები.



მთხრობელი იბრაიმ ჩობანი

მთხრობელთა მეორე ნაწილი უარყოფს ქართველების აქ ცხოვრების კვალს და არც „თემს“ ადასტურებს სოფლის სახელწოდებად. მათი ინფორმაციით ამ ნასოფლარს ადრე ესკი ქლი/ყიშლა ჰანი ერქვა. „მიწისძვრის შემდეგ გადავიდნენ საცხოვრებლად ამჟამინდელ ავჯილარში იქ მაცხოვრებლები“. რესპონდენტი ნასოფლარს „სოფლის სასაფლაოების“ სახელით მოიხსენიებს, ციხის აშენებას კი რუსებს მიაწერს (მთხრობელი სინაშ ჩახმახი).

როგორც ჩანს, მათი კულტურული მეხსიერება შორს ვერ მიდის. რეგიონის დემოგრაფიული სურათის შეცვლის შემდეგ მათ მეხსიერებაში ქართველების ცხოვრების კვალი წაშლილია.

სოფელ ავჯილარში ამჟამად 70-მდე ოჯახი ცხოვრობს. გავრცელებული გვარებია: ჩობანი, აიდენირი, იშაკი, ქემბრიქი, ოზთურქი, აიდამირი, თოროღლუ. რესპონდენტ იბრაიმ ჩობანის თქმით მისმა წინაპრებმა იცოდნენ ქურთული, მაგრამ ეხლა მათ აღარ იციან და თავს თურქებად მიიჩნევენ. მთხრობელები რატომღაც ერიდებიან მათი ქურთული წარმომავლობის და-

ფიქსირებას, რაც ცხადია, ამჟამინდელ პოლიტიკურ პროცესებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

საინტერესოდ გვესახება იქაურთა **კულტურული მენსიერების საკითხები. ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალები ჩაგიწერეთ** კოდისწყაროსა და ჭინჭრობაში. მოსახლეობაში ფართოდაა გავრცელებული მეტსახელები: **ქორ ისმაილი, დამანი, თოსაბერგილი, ობოლი** და ა. შ. ზოგიერთი მეტსახელის ქართული მნიშვნელობა მათთვის უცნობია, თუმცა ადასტურებენ, რომ მეტსახელები „ფოსოვიდანაა წამოღებული“.

ჭანჭრობელებს და კოდისწყაროელებს სრულყოფილი წარმოდგენა არ აქვთ თარაქამებზე, რომლებიც არტაანის რამოდენიმე სოფელში ცხოვრობენ. ისინი თვლიან, რომ თარაქამები თურქული მოდგმის ხალხია, ოღონდ **„ცოტა განსხვავებული“**, ყარაფაფახელები კი ჩილდირის რაიონში ცხოვრობენო.

მთხრობელთა გადმოცემით, აქ ადრე სომხები//ერმენები ცხოვრობდნენ, მაგრამ ვერ ხსნიან მიზეზს, თუ რატომ ჰქვია სოფელს ქართული სახელი. იქაურები საკუთარ თავს მიაკუთვნებენ თურქებს.

მთხრობელთა მეორე ნაწილი ადასტურებს ამ სოფლებში ქართველების ცხოვრების კვალს. იმასაც აღნიშნავენ, რომ ათათურქის მოსვლამდე გურჯების მიერ აშენებული ეკლესიის ნანგრევებზე ააშენეს დღეს არსებული მეჩეთიო.

კოდისწყაროელები და ჭინჭრობელები ადასტურებენ მათი წინაპრების „ახისკიდან ფოსოვში, ფოსოვიდან კი არტაანში“ მოსულობას. გადმოსახლების მიზეზად ასახელებენ ომებს. როგორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთის ომებს თან ახლდა მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა. 1828-1829 წწ. ომის შემდეგ, ქრისტიანების რეგიონში დამკვიდრების შიშით მოსახლეობა, როგორც ჩანს, გადასახლდა ამ რეგიონში. ერთმა მთხრობელმა გადმოსახლების თარიღად 1877-1878 წწ. ომი დაასახელა: „ამ ომის შემდეგ გამოვიქცით ვალედანო“, აღნიშნა რესპონდენტმა. იმ დროისათვის ისინი მუსულმანები იყვნენ. როგორც ცნობილია, ახალციხეში ცხოვრობდა შერეული მოსახლეობა: ყარაფაფახელები, თარაქამები, გამუსლიმანებული ქართველები და ა.შ. სწორედ მათი შთამომავლები უნდა იყვნენ ამ სოფლების მაცხოვრებლები.

აღნიშნული მოსაზრება კიდევ უფრო გაამყარა **ზემო ჭინჭრობელ (ეხლ. აგზეტიპი) რესპონდენტ აიერსოი ათენისთან** საუბარმა. ჭინჭრობი 75 კომლიანი სოფელია არტაანთან ახლოს. ამჟამად სოფელი ძირითადად თურქებით და ქურთებითაა დასახლებული. ძირითადი საქმიანობა მემინდვრობა და მესაქონლეობაა. მასპინძელმა **აიერსოი ათენისთან** შეგვიპატიუა სახლში და აღნიშნა, რომ მისი „წინაპრები საქართველოდან იყვნენ. აქ ყველა საქართველოდანაა მოსული“. მისი თქმით ერთ „ხოჯას“ ეს აღუწერია კიდევ, მაგრამ ჩანაწერები ეხლა დაკარგულია. საინტერესოა, რომ წინაპრებს ისინი ქართველებად თვლიან, საკუთარ თავს კი არა. სამეურნეო კულტურის მაღალი დონეც ქართველებთან თანაცხოვრებით უნდა იყოს განპირობებული (თუმცა ბევრი თავადაც ქართველი იყო).

აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს ეთნოგრაფი ნოდარ შოშიტაშვილიც. ის შეხვედრია კიდევ ამ სოფელში ქართული ცნობიერების ცოლ-

ქმარს ისმეთ თოფრუსა და ფათმა ქესქინ თოფრუს. მათი ინფორმაციით სოფელში ქართველების სამი ოჯახი დარჩენილა.



ისმეთ თოფრუ და ფათმა ქესქინ თოფრუ

მათი წინაპრები აქ ფოცხოვიდან გადმოსულან. ჰყავთ სამი შვილი ჰყავთ, რომლებიც ბურსაში ცხოვრობენ (შოშიტაშვილი ნ. 2015:57)

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ დასახლებაში დავაფიქსირეთ ტერმინი „კავკასიელი თურქი“. გარკვეული ნაწილი იმ მოსახლეობისა, რომლებიც თავს კავკასიიდან, კერძოდ ახალციხიდან გადასახლებულსად მიიჩნევენ, თავს კავკასიელ თურქად მოიხსენიებს. ქვ. ჭინჭრობელი რესპონდენტები ამტკიცებდნენ, რომ აქ ადრე ქართველებს, მოგვიანებით მაღაკენებსაც („თეთრ რუსებს“) უცხოვრიათო. მაღაკენებს ისინი წესიერ, სამართლიან და შრომისმოყვარე ხალხად ახასიათებენ, რომლებიც 1950-იანი წლებიდან წავიდნენ სოფლიდან, „ქართველები კი არსად არ წასულანო“. კითხვაზე „თუ არსად წასულან, ახლა სადღა არიანო?“ რესპონდენტმა პასუხის გაცემისაგან თავი შეიკავა. როგორც ჩანს, ვერ ბედავენ, ან თავს მიიჩნევენ საქართველოდან გადმოსახლებული თურქული მოდემის ხალხად. აჭარა მათი წარმოდგენით რუსეთის ნაწილია. იქ მცხოვრებთა ნაწილის კულტურულ მემსიერებაში რუსების შესახებ ხსოვნა უფრო გამოკვეთილია, ვიდრე სხვა ეთნიკური ჯგუფებისა. მეტყველებაშიც ზოგჯერ რუსულ სიტყვებს ურევენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადამია ი., ქართული საცხოვრებელი სახლების უძველესი ტიპები აჭარაში, „ძეგლის მეგობარი“, № 12, თბ. 1967;

2. თამაზ ფუტკარაძე, საეკლესიო ეთნოგრაფიული ექსპედიცია არტაანში 2015 წლის აგვისტო;
3. ნოდარ შოშიტაშვილი, ღამაში სოფლები ძველქართული სახელებით, ჟურნ. „ისტორიანი“, N 11, ნოემბერი, 2015;
4. Gundoglu h., Serhat Sehri Ardahan, Hazilik, 2002

Tamaz Phutkaradze

Tsiuri Katamadze

Ketevan Phutkaradze

Old ruins from Hanaki district

Summary

From ancient times, natural-geographical conditions and contrast-difference of microclimate created various living environment conditions for people. These factors contributed development and emerge of the various type buildings on a small territory of modern and historical Georgia (Adamia I., 1967:3). In this regard, special interest is caused village Avjilari of Hanaki district (Ardahan province). The paper deals with some issues of cultural memory.

ტაო-კლარჯეთში ეროვნული მემსიერების ზოგიერთი ასპექტი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაუწერია. როგორც ილია ჭავჭავაძე წერდა : „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენ სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამებებული სიყვარული იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთ დროსა“. (ჭავჭავაძე, 1987:102). სამწუხაროდ, ეს წარსულში იყო. ისტორიული ბედუკუდმართობის გამო დაიკარგა სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი და მათ შორის ტაო - კლარჯეთიც. მართალია, დღეს დაკარგულია დიდი ისტორიული წარსულის მქონე კუთხე, მაგრამ იქ ქართული სული, ქართული გენი არ აღმოფხვრილა და იქ მცხოვრებთა ცნობიერებაში ქართული ჯიშის, ქართული ადათის, ტრადიციის გამოძახილი კვლავ ისმის, მათ მემსიერებას კი არაერთი ისტორიული რეალიები შემოუნახავს.

ბუნებრივია, რომ უცხო ენობრივი გარემო, განსხვავებული ზნე - ჩვეულებები პიროვნების ცნობიერებაში თანდათან იწვევს ეროვნულის დავიწყებას ან სრულად დაკარგვას. ჩვენდა საბედნიეროდ, ისტორიული საქართველოს ბევრ კუთხეში დღესაც ისმის ქართული ენა, დაცულია ქართული ადათ - წესები, ზნე-ჩვეულებები, დაკონსერვებულია არაერთი ყოფითი დეტალი.



**ბსუ-ის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ექსპედიცია ამიერტაოში. სოფელი ელიასხევი. 2014.**

ეროვნული სულის გამოხატულება მაინც ენაა. ის ეროვნული გენის კოდია. მშობლიური ენის დავიწყება არის კავშირის გაწყვეტა პიროვნებასა და მშობლიურ ფესვებს შორის. ეს კარგად ესმით თურქეთში მცხოვრებ

ქართველებს. თურქთის ქართველობაში ეროვნული იდენტობის ყველაზე მძლავრი ფაქტორი, მყარი ნიშანი ენაა. ქართული ენა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მცხოვრებ ქართველთა ცნობიერებაში არის ეროვნული კუთვნილების გამომხატველი არსებითი ნიშანი, მათი იდენტობის განმსაზღვრელი. საყურადღებო და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ისინი ქართველად, „გურჯად“ არ თვლიან იმას, ვინც დაივიწყა დედის ენა - ანა დილი, ქართული ენა: „ღმერთმა ენა მოგვცა, შენი დილი, ის დიგივწყნია, რაფერი საქმეა, ანა დილი დიგივიწყნია, რამე აღარ ხარ, რაფერი კაცი ხარ, გამოცლილ-ხარ, ქართული აღარ დარჩენილხარ (ფუტკარაძე, 2013: 51); „ვინცხამ რომ გურჯიჯა არ იცის, იმა ქართულ კაცათ არ ვთვლით. ქართულმა მისი ანა დილინა იცოდეს“ (ფუტკარაძე, 1993:155).

ტაო-კლარჯეთათვის ქართველობა უმნიშვნელოვანესი ღირებულება, განსაკუთრებული ფასეულობაა. მათ ეამაყებათ თავიანთი ქართველობა, თავმომწონებენ გურჯობით: „რაცხა გემრიელობა არი, ქართველობაში არი, ჩემი მემლექეთი კაია“ - სიამაყით ამბობდა ჯვარისხეველი; „ქართული ლაპარიკობა ენ კაი ლაპარიკობაა“ (ფუტკარაძე, 2014: 60). არაერთგზის გაიგონებ მათგან: „ქართველობა არნა დევივიწყოთ, არველი ხართ თქვენა. ჩვენა მართალი ქართველები ვართ“ (ფუტკარაძე, 2014: 65), დიახ, ასეა. მართალ ანუ ნამდვილ ქართველებად თვლიან საკუთარ თავებს და ამიტომაცაა, რომ ენის დავიწყებას ქართველობის დაკარგვად მიიხნევენ. ენადავიწყებულ, ქართულის უცოდინარ პიროვნებას „გარცხილ“, „გადაბრუნებულ“, „გამოცლილ“ ან „გადათურქებულ“ ადამიანად მოიხსენებენ. სამართლიანადაც მიანნიათ, რომ ქართველი თუ ხარ, „გურჯიჯა უნდა იცოდე. გურჯიჯა აღარ ილაპარიკა, გამეიცვალა კაცი. არ დაივიწყონ ქართული ენა, მთლად არ გადაბრუნდნენ თურქულზე“ (ფაღავა, 2013: 140).

ტაო-კლარჯელ ქართველებს ეამაყებათ ქართველობა, მაგრამ სამწუხარო რეალობასაც კარგად ხედავენ, წუხან ქართული ენის დაკარგვის გამო: „ჩვენ მოვედეთ, პატარები არ იციან, გურჯიჯა დეიკარგვის“ (ფუტკარაძე, 2013:22). განსაკუთრებით ხანდაზმულებს შესტკივთ გული, რომ „ქართული ლაპარაკი აბლი დარჩაო, დიდრუანი ლაპარაკობენ, წურილნი - წურილნი აღარ ლაპარაკობენ (ფაღავა, 2013: 279).

ტაო-კლარჯელი ქართველები ცდილობენ შთამომავლობამ არ დაივიწყოს ენა: „მე ქართული თუ არ ვიქნები, მე ვერ დავდგები სხვაგან, ვერ გევეთხვები, ჩემმა ბაღებმა იცოდენნა ქართული“ (ფუტკარაძე, 2013: 57). არ მოსწონთ, რომ შთამომავლებს არ ასწავლიან ენას: „ცუდია, რომ თორუნებს არ დააწავლეს თავისი აღამობა“ (ფაღავა, 2013: 168), მაგრამ შერეული ოჯახი, არაქართველზე ქორწინება, ბუნებრივია, რომ ენის დავიწყების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია.

ტაო-კლარჯელთა მესხიერებაში, მათ ეროვნულ ცნობიერებაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ისტორიული წარსულის ცოდნა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კარგად იციან, რა ისტორიული ფესვებიდან არიან ამოზრდილნი. აშკარად, ღიად იტყვიან: „ძველად რომ ქრისტიანი ყოფილან, მერე მუს-

ლიმანი გამხდარან, მარიობისთვის უჩუმალი მიდიოდენ, ჩუმათ ელოცათ“ (ფუტკარაძე, 2013: 17).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მათთვის ტრადიციულს, ისტორიულს დიდი დატვირთვა აქვს. მათთვის ყოველი ისტორიული ფასდაუდებელია: „ არ გინდანან ისტორიული სახლის დანახვა?“ (ფუტკარაძე, 2013: 47) - ნიშნისმოგებით და უდიდესი თავმოწონება - სიამაყის გრძობით გვითხრა ექსპედიციაში ყოფნის დროს გიორგი მაღაყმაძემ. წარსულის მიმართ ასეთი მოკრძალებული პატივისცემა ერთი კონკრეტული პიროვნების კი არა, მეტნაკლებად, ზოგადად იქაურთა დამოკიდებულებაა. ისტორიული სახლი მისთვის უბრალო საცხოვრისი გარემო როდია მხოლოდ, ის ქართულის, ეროვნულის სიმბოლოა, ეროვნული სიამაყეა, ისტორიული სამშობლოს სიმბოლური სახეა.

ტაო-კლარჯეთში განსაკუთრებით ცოცხლობს თამარ მეფის სახელი და ღვაწლი. არაერთი ღამაში თქმულება თუ ლეგენდაა დაცული და შემონახული მათი ზეპირსიტყვიერებით. უყვართ და უდიდესი კრძალებით იხსენიებენ „დიდ ანას, დიდ დედოფალს“ თამარს. თამარი ერთადერთი მეფეა, რომლის ხსოვნა დაცულია ისტორიული საქართველოს მცხოვრებთა მეხსიერებაში. უფრო მეტიც, ზოგჯერ დარღვეულია ისტორიული რეალობა და ყველაფერს თამარს უკავშირებენ. თამარის აგებულად თვლიან ტაძრებს, ხიდებს. ასე რომ, მათ ისტორიულ მეხსიერებას ყველაზე მყარად თამარ მეფის სახელი შემორჩა. იქ საყოველთაოდ გავრცელებულია საკრიათის წყლის გაყვანასთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემა. თითქმის ყველა მოგვიყვება თქმულება-გადმოცემის ნაცნობ სიუჟეტს: „თამარა დედოფალსა რუ უშენებია. ფარა გათავებია. აღთუნის შაშპალიები ქონია და ისინი გუუყიღია (ფუტკარაძე, 2014: 17; მიქელაძე, 2014:12) დედოფალს ძალიან გასჭირვებია კლდოვან ადგილას არხის გაყვანა. „უთქვია თამარ ქალსა: - ამას გუერთა პარხალი ქილისა ადვილი იყო. საკრიათის რუმა ათავებამდინ, წყალი წაგდებამდინ, კიბილი ტვინები გამაყრენიაო“ (ფუტკარაძე, 1993:178). აღნიშნულთან დაკავშირებით ერთი საინტერესო დეტალია. 2014 წელს, სოფელ იეთში ექსპედიციისას ფემფეი ულუტადმა (იღმაზმა) გვიამბო: „საკრიათი რუდან გუდუუყელია თამარ დოდოფალსა. იმა სიმღერა ქონებია, გიმიგონია, მღერობდენ უწინდელები“ (ფუტკარაძე, 2014: 64) სამწუხაროდ, მთქმელმა ვერ აღიდგინა სიმღერა. შესაძლებელია, ნათქვამი მთქმელის ფანტაზიის ნაყოფი არ იყოს და მართლაც სცოდნოდათ აღნიშნულთან დაკავშირებული სიმღერა.

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ თამარი ღვთის მოშიში, მორწმუნე, ქველმოქმედი, სიკეთის მქმნელი მეფე ყოფილა. მემატიანე წერს: „ეკლესიათა და მონაზონთა მოყუარე, გლახაკთა და მოჩივართა განმკითხველი“ (ქართლის ცხოვრება, 1995: 368). ანალოგიურად იცნობენ თამარ მეფეს ტაო-კლარჯეთშიც. აქაური ქართველები დიდი მოწიწებით პყვებინ პარხლის ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებულ გადმოცემებს: „თამარ დედოფალსა პარხალი ქილისა რომ გუუყეთებია, იმდენი დუუხარჯია, ოქრო აღარ დახრომია. ასკრებითუნ, პური გამოცხობითუნ ქერი და თივა-ჭუავაი არ დაგვიე ამ სოფელშიო. იქ ერთი აღა ყოფილა: - ნაწუელით მე დეგეშვე-

ლები, ნამუშავთ მიაღწევი, მაგრამ ამუშავებო. ზე რითნა ჩეიტანო, მე არ გეგერევიო. დედოფალმა უთხრა: - ეგ ადვილია, მაგას მე მუაფერებო. მიცა ცულები ასკერებს, ღარები გააკეთეს. დასჭრეს წმინდა ჭერები, ამეიღეს გული, ღარი გააკეთეს, დუუსართეს ერთმანეთზე. ეიდა, თიდან პარხალ ნაწუელი ჩამეიტანეს. იქ მოწუელა კაცმა, გამოდინდა პარხალში, რხის წყარომ ამაშენებია პარხალიო - უთქუამს თამარსა (ფუტკარაძე, 1993: 176).

პარხლის ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა გადმოცემაა გავრცელებული: „ძნელი მისავალი ადგილი იყო, ასკერები დუწკარებია, თამარა ყოფილა, ქვები ქომოდან უზიდიან, დაწკარებულ ასკერებ ხელიდან ხელში გუდუცემიან ქვიები, ამფრა უშენებია ქილისა პარხლისა“ (ფუტკარაძე, 2014: 32).

როგორც აღვნიშნეთ, ტაო-კლარჯელები დიდი სიყვარულით ყვებიან თმარ მეფესთან დაკავშირებულ არაერთ ამბავს. ერთ-ერთი გადმოცემით, ღვთისმოყვარული მეფის დაწყობილ ქვის ფილებსაც კი წმინდა ადგილად მიიჩნევენ და სასწაულებრივ ძალას მიაწერენ. ქუაბელები, ბალხელები, ხეველები და სხვებიც, ამ ქვებზე პატარებს ფეხს მოასმევიანებდნენ. სწამდათ, რომ ფეხით სიარულის დროს აღარ დაიღლებოდნენ: „ძიძასთან ერთად თამარი ქუაბიდან წამოსულა. ძიძა მოხუცი ყოფილა, ღარჭი ახუტებული ყოლია. მოღალულან გზაში. ბიჭი ძიძითვინ მუეცემია. თვითან ამ ქვების ერთმანებზე შეწკარება დაუწყია. ქუის ნიშით გუეკათებია და იმაზე დუწკვინია ბიჭი... წასლიხან ბიჭი ქუებზე ფეხით შუეყენებია. ზაფხული ყოფილა. ქუა თბილი ყოფილა. დანადგამ ადგილზე ქუა გაცომებულა, დამბიღებულა. თამარი გაჰკვირებულა, ზეზე უწუევია ბიჭი, ფეხის კვალი ქუაზე დარჩომილა. ქუა ისევ გაცივებულა. პაწა ბიჭის პატიტვანე ფეხების კვალი კარქა ჩანს დღესაც“ (ფუტკარაძე, 1993:173). იქაურები დღესაც ყვებიან, პატარაობისას როგორ მოასმევიანებდნენ ნატერფალ ადგილს ფეხს. დღესაც სწამთ, რომ მაღლიანი ქვებია, „თამარ დედოფლის დაწყობილიაო, ფეხების კვალი ღმერთის ნებით არის გაკეთებული და ადამის შვილებს ძალას აძლევსო“ (ფუტკარაძე, მალაყმაძე, 2014: 112).

აქაც და ისტორიულ საქართველოშიც არაერთი წყაროს სახელი თამართან არის დაკავშირებული: „ჩიხორული თა არი, იქ არი დოდოფლი წყარო. ასე იტყვიან, რომ თამარ მეფეს დასვენების დროს წყალი უსვამს და იმითვინ ქვია დოდოფლი წყარო“ (ფუტკარაძე, 2013: 42).

თქმულება-გადმოცემებში თამარს ღვთისმოყვარულ, წმინდა, ქველმოქმედ მეფედ მოიხსენებენ. ასევე, საუბრობენ მის გამჭრიახ გონიერებაზე, საზრისიანობასა და მოხერხებულობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებული ერთი საინტერესო გადმოცემაა დაცული ამიერტაოში. სოფელ იეთის მკვიდრი, 76 წლის ფემფეი ულუტადის გადმოცემით, „თამარა დედოფალსა ერთი დარშიყებია. თამარს უთქვამს, რომ წამოი ხიდზე გევიაროთო, გეიარეს, დაბგერებია კაც და გუდუგდია. ამფერი მომფერეც იყო თამარაი“ (ფუტკარაძე, 2014: 65). იმავე შინაარსით, ოლონდ ცოტათი განსხვავებული ვარიანტითაა დაცული თქმულება გაღმა ქობაში: „თამარაი ასკერების უმფოს მოწონებია. ბევრი იყვენ, რამეს ვერ იზამდა. ჭკვიანი იყო ზოვლი და მეიფიქრა და უთხრა, რომ ხიდ იქით გეგდეთო. ხიდზე რო გეგდენ, ხელი კრა და გადააგდო“ (მიქელაძე, 2014: 27).

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ თამარი ბრძოლის წინ გზას ულოცავდა მეომრებს, უფალს შეავედრებდა ჯარს, თავად კი დღე-ღამე ტაძარში ლოცულობდა, უფალს სამშობლოს ხსნას შესთხოვდა. ტაო-კლარჯეთა ისტორიულ მეხსიერებას დღემდე შემორჩა მლოცველი, მავედრებელი მეფის სახე. ამაზე მოვითხრობს ტაოში შემორჩენილი ერთ-ერთი თქმულება-გადმოცემა. ტაო ხშირად იყო მტერთა სათარეშო კუთხე. ერთხელ თამარ მეფე მიშველებია ადგილობრივ ერისთავ კავკასიძეებს... ჯარს ქუაბაგის ხევში სიარული გასჭირვებია. ციცაბო ფერდობები ქვავნარი ყოფილა და ქვები ცვიოდა. თამარი წინამძღოლობდა თურმე ჯარს. სოფელ პარისხევისკენ რომ მიდიოდნენ, დაღმართში ჩამოსვლისას ქვები აგორებულა. უცბად მთელი კლდე დაშლილა და აგორებულა მოზრდილი ბეღლის ოდენა ორი ქუა. „თამარ დედოფალმა შეშინდა, ჯარი უნდა გემიჯღუროსო? და ღმერთ შეეხუეწა, ლოცვა დეიწყო: - ღმერთო, დიღო გამჩენელო ჩვენო, შეგვიბრალე, ე ქუები მან დააყენე, ესენი მშვიდობიანად გამაბრუნებე, დიღო გამჩენელო, შენ გეხვეწებით. ღმერთმა უსმინა თამარ დედოფალსა, ქუები ადგილზე დადგა, ორი ბეღლინერთი ქვა კონჭოხის თავიდან მოწყვეტილი, ადგილზე დაყენდა, აღარ გამოგორდა. დღესაც იქა დგას; არვინ იცის, რა აკავებს იმათა. დგას ასე ცარიელა, წინ არაფერი უდგია, რამე არ იკავებს ამ ქუებსა ღმერთის მეტი. გეიხედავ, დეინახავ ამ ქუებსა კონჭოხის ქუეიდამ კიბესავეთ დაკიდულ გვერდში და მიხდები, რა ძალა ჰქონია თამარ დედოფლის ლოცვასა“ (ფუტკარაძე, მალაყმაძე, 2014: 113).

ჩვენებურები ყვებიან მათ მეხსიერებაში დაღეჭილ ამბებს და თან სიამაყით ამბობენ, რომ თამარ დედოფლის ქართულით ვლაპარაკობთო, „ჩვენა თამარ დედოფლის გურჯიჯა მაქუანო“ (ფუტკარაძე, 1993: 175).

მნიშვნელოვანია ერთი გარემოებაც. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში დაცულია ქართული ტოპონიმი. უფრო მეტიც, შეიძლება ქართული დავიწყებული ჰქონდათ, მაგრამ მათ მეხსიერებას შემოუნახავს ადგილის ისტორიული ქართული სახელები.

ამრიგად, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში გადარჩენილი ქართული სიტყვა ბგერათა უბრალო შეერთება კი არა, იქ დაცული თქმულება-გადმოცემები ფანტაზიის ნაყოფი კი არა, გადარჩენილი ქართული სული, გადარჩენილი ეროვნული ცნობიერებაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიქელაძე, 2014: - მიქელაძე ნ., ექსპედიციის მასალები, ამიერტაო, პირადი არქივი;
2. ფაღავა, 2013: - ფაღავა მ., შავშური ჩანაწერები, თბილისი;
3. ფუტკარაძე, 1993: - ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ტ. 1-ლი, ბათუმი;

4. ფუტკარაძე, მაღაყმაძე 2014: - ფუტკარაძე შ., მაღაყმაძე რ., ჩვენებურების ლეგენდებში გაცოცხლებული თამარი, გამონათლევნი, ტ. I, 2015, ბათუმი;
5. ფუტკარაძე, 2013: - ფუტკარაძე ე., ექსპედიციის მასალები, იმერხევი, პირადი არქივი;
6. ფუტკარაძე, 2014: - ფუტკარაძე ე., ექსპედიციის მასალები, ამიერტაო, პირადი არქივი;
7. ქართლის ცხოვრება, 1995: - ქართლის ცხოვრება, თბილისი;
8. ჭავჭავაძე, 1987: - ჭავჭავაძე ი., ოსმალის საქართველო, ტ.4, თბილისი.

Elza Putkaradze

Naile Mikeladze

Some Aspects of National Memory (Consciousness) of Tao-Klarjetians

Summary

The land of Tao-Klarjeti contributed the history of Georgia with great heroism. Because of historical misfortune the great part of South-West Georgia, including Tao-Klarjeti, has been conquered. However, the Georgian spirit and national consciousness has been survived in spite of foreign environment and different habits, which may cause the gradual oblivion or perfect loss of national custom, and this is very significant.

Fortunately, in many parts of historical Georgia the Georgian speech is alive, Georgian habits are survived; a number of common details are preserved. All these facts are represented in the given work.

ადრე რკინის ხანის სამარხი სოფელ მახვილაურთან

2015 წელს მახვილაურში მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა წინა წელს დაზვერვითი სამუშაოების შედეგად მიკვლეულ უბანზე. თხრილის ზომა: 8X2 მ. აიგემა NO სექტორის 42-ე, 52-ე, 62-ე და 72-ე კვადრატები. 10-15 სმ სიმაღლის ჰუმუსის ფენაში ჩნდებოდა თანამედროვე მინისა და ე. წ. მარსელის კრამიტის ნატეხები. მომდევნო, ღია ნაცრისფერ ლორღნარევი ფენაში (60 სმ) მეტ-ნაკლები რაოდენობით შეგროვდა კაჟის ანატკეცები, შურდულის ქვები და საკმაოდ მრავლად ჯერჯერობით მხოლოდ მახვილაურისათვის დამახასიათებელი ცალგვერდამოღარული ბადის საძირავად გამოყენებული საწაფები. გამოჩნდა საკმაოდ არქაული თიხის ჭურჭლის ნატეხები. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა მესამე, 40-45 სმ სიმაღლის მოყვითალო თიხანარევი ფენა. დასაწყისიდანვე თავი იჩინა ქვაყრილებმა, მაგრამ არა ისე გამოკვეთილად, როგორც წინა წლებში, როცა ქვაყრილი უშუალოდ სამარხზე იყო მიწყობილი. პრეპარაციის დროს ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ნატეხები და კაჟის ანატკეცები. სათანადო ფიქსაციის შემდეგ სამარხეული ორმოს მკვეთრად გამოყოფილი კონტური არ გამოკვეთილა. სამარხის კონტურების დადგენის მიზნით ერთმეტრიანი შენაჭერი გაკეთდა როგორც სამხრეთის (63-ე და 73-ე კვადრატები), ისე ჩრდილოეთის მიმართულებითაც (61-ე და 71-ე კვადრატები). გამოიკვეთა საკმაოდ რთული სურათი. ყველა ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ კოლხეთის სხვა ძეგლების მსგავსად ამ მონაკვეთში საქმე უნდა გვქონდეს კოლექტიურ სამარხთან, თუმცა მეორადი დაკრძალვის წესი ნაწილობრივი კრემაციით არ ჩანს, არ ჩანს ძვლოვანი მასალაც (თუ არ ჩავთვლით ნახშირისა და ერთ უბანზე კალცირებული ძვლის წვრილ ნამცეცებს). წრიული მოყვანილობის კოლექტიური სამარხის ცენტრალური მონაკვეთი 62-ე კვადრატში ექცევა, ნაწილობრივ გადადის მომდევნო კვადრატებშიც (ტაბ. I).

52-ე კვადრატში თანამედროვე ზედაპირიდან 45-50 სმ სიღრმეზე პირველად გამოჩნდა ყურმილიანი დოქის ნატეხი, 3-4 ქვა. პრეპარაციისას 57-60 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა დამუშავებული სარდიონის, გიშრის, ქარვისა და მთის ბროლის მძივები. გამოჩნდა მინის კოპებიანი მძივიც. აქაც გვხვდებოდა კაჟისა და ობსიდიანის ანატკეცები. შეინიშნებოდა წვრილი თუ მოზრდილი ნახშირის ნატეხების არსებობა. გამოჩნდა ურეკის მსგავსი თიხის ტოლჩა, მასთან ახლოს - ბრინჯაოს მინიატურული ცული და რკინის ნალისებრი ნივთი. აღწერილი ინვენტარი განლაგებული იყო კვადრატის სამხრეთ მონაკვეთზე.

კვადრატი 62. კვადრატის აღმოსავლეთ კედელთან გამოიკვეთა რკინის სატევარი. მასთან ახლოს იდო ყურმილიანი დოქი და ჯამი, თიხის ორი ჭურჭელი, რკინის ნივთი, კიდევ ერთი ყურმილიანი დოქი და კვირისტავი. მიემატა სამი დოქი, დასავლეთ გაგრძელებაზე რკინის ნივთი, მასთან ახლოს ბრინჯაოს ჯაჭვი. ჩრდილოეთის მიმართულებით გაკეთებული შენაჭერი 61, 71, 58

72 და 62 კვადრატების გადაკვეთაზე აღმოჩნდა ბრინჯაოს კოლხური ცული. მასზე პერპენდიკულარულად იდო წამახულობლოიანი რკინის ნივთი. სამარხის საზღვარი სრულდება ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთზე. კვადრატის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა ქოთნის ნატეხები, მათთან ახლოს პრეპარირებულ იქნა პირქვე ჩამსობილი თიხის ჭურჭლის ნახევარი, თიხის დოქი და სხვა ნატეხები, იქვე პასტის მძივი, სარდიონის წვეთისებრი მძივსაკიდი, დოქის პირი და ბრინჯაოს უსახური ნატეხები. არის ნახშირის ნატეხებიც. სამხრეთით გაკეთებულ შენაჭერში წარმოდგენილი იყო რკინის ორი მუჯირა, ამდენივე დანა, ბრინჯაოს თოხი და სევმენტი, გიშრისა და სარდიონის მძივების ცალკეული ცალეები.

მეორე დონეზე კვადრატის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა რკინის მოზრდილი დანა. მის გვერდით დაფიქსირდა ბრინჯაოს ჯაჭვის გრძელი ასხმა დანის ტარის ქვემოთ გამოჩნდა ბრინჯაოს კირკალი. ამ უკანასკნელისაგან 10 სმ მოშორებით ვერცხლის ვერცხლის წყვილი რგოლსაკიდი ოქროს გარსაკრავის ფრაგმენტებით. სატევართანვე გაიწმინდა ძელის მოზრდილი ნაშთი. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს დელის კულტთან დაკავშირებული მხედარი ქალის ბრინჯაოს სკულპტურული მინიატურული ფიგურა. მისგან სამხრეთით, 10 სმ მოშორებით სხვადასხვა დონეზე გაიწმინდა ვერცხლის წყვილი სამაჯური. 62-ე კვადრატის დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა 50 სმ სიგრძის რკინის შუბისპირი. მის ქვემოთ განლაგებული იყო თიხის ორი ჭურჭელი. მათგან მოშორებით – რკინის დანა.

კვადრატი 61 (ნახევარკვადრატი, შენაჭერი). ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ზედაპირიდან 0.75 სმ სიღრმეზე დევს რკინის ცული. ზედაპირი მოფენილი იყო თიხის ჭურჭლის ნატეხებით. ნატეხებს შორის მოქცეული იყო დიდი ზომის შესანიშნავი შევრონებიანი წყვილყურბანი ჭურჭელი. საკმაოდ მრავლად ჩნდება მძივები. უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებს ნახშირიანი ფენა. ნატეხები რამდენიმე ჭურჭელს ეკუთვნის, აქვეა რკინის რკალი, როგორც ჩანს, სამაჯური.

52-ე და 62-ე კვადრატების მიჯნაზე აღმოჩნდა ჭრაქისებური მომცრო ჭურჭელი. 62-ე და 63-ე კვადრატების მიჯნაზე, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იდო ბრინჯაოს ორი საკინძი, იქვე შურდულის ქვა მრავლადაა ქარვის, გიშრისა და სარდიონის მძივები. აღმოჩნდა ყვითელი ძაფებით შემკული მინის მძივი, ოქროს მძივები.

გარდა ზემოთ აღწერილი სამარხეული ორმოსა, ყურადღებას მიიქცია თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დაწყობილი ქვაყრილმა: ქვებს შორის მოქცეული იყო შესანიშნავი ფორმის ზოლომორფულყურბანი და სამკუთხა შევრონებით შემკული თიხის მოზრდილი დოქი. შესაძლოა, ეს სამარხეულ ორმოსთან დაკავშირებული საკრალური დანიშნულების ნიშა იყოს.

კერამიკა. უახლოეს მონაპოვარს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ადრე უკეთესად გვექონდა შესწავლილი ანტიკური ხანის სამეთუნეო ნაკეთობანი ფიჭვნარისა და ციხისძირის სამაროვნების მიხედვით. მათ ემატება მახოს რომაული ხანის აღმოჩენები. მახვილაური კი შესაძლებლობას იძლევა ვისაუბროთ ამ დიდი ეპოქებისათვის დამახასიათებელი ფორმების საწყისი

ეტაპების შესახებ. პირველ რიგში აღსანიშნავია კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ყურმილიანი ჭურჭელი.

ყურმილიანი დოქი. თითქმის მთლიანად აღდგენილი. პირი გარეთკენ გადაშლილი. მკვეთრად გამოყოფილი. ყელი ცილინდრული, პირისკენ ოდნავ გაფართოებული. ფართო ტანის ზედა ნახევარი მომრგვალებული, ქვედა – სწორი, ბრტყელი ძირისაკენ თანაბრად შევიწროებული. ყური ტიპური; ზედა ბოლო პირის ქვემოთაა მიძერწილი, ქვედა – ტანის შუაწელზე. კეცი მოშავო-მონაცრისფრო. ზედა ნახევარი მთლიანადაა დაფარული ბადისებრი ორნამენტით, რომელიც ბოლოვდება პარალელურ ზოლებს შორის მოქცეული დახრილი ხაზებით სიმეტრიულ, მჭიდროდ განლაგებულ მონაკვეთებად დაყოფილი წერტილოვანი სარტყლით. ტანის ქვედა ნახევარს თითქმის ძირამდე მიუყვება სადა ვერტიკალური ზოლები.

ყურმილიანი დოქი. პირი და ყელი აკლია. შედარებით პატარა ზომის. ფორმის მიხედვით მსგავსი ზემოთ აღნიშნული ნიმუშისა. მსგავსება შეინიშნება სამკაულის მიხედვითაც. ოღონდაც ამის ტანის ზედა ნახევრის ბადისებრი ორნამენტი სრულდება სადა ჰორიზონტალური ზოლით. აქაც ტანის ქვედა ნახევარს მოუყვება ვერტიკალური ღარები. კეცი შავზედაპირიანი.

ყურმილიანი დოქის ნატეხები. მხრის არეს შემოუყვება ზოლებით შემოფარგლული მცენარეული (წიწვოვანი) ორნამენტის ფართო სარტყელი. ყელის არეს მოუყვება ვერტიკალური არამკვეთი ზოლები. კეცი შავზედაპირიანი.

ყურმილიანი დოქის ზედა ნახევარი. სამკუთხაგანიკვეთიანი პირი ოდნავ გარეთკენ გადაშლილი. შუა კალთას მოუყვება წიბო. გარეთა კალთა ყელისაგან ჰორიზონტალური ზოლითაა გამოყოფილი. ტანის ზედა ნახევარი მთლიანადაა დაფარული დასაწყისში ოთხი, დასასრულს – წყვილი ჰორიზონტალური ზოლით შემოფარგლული ბადისებრი ორნამენტით. ყურის ზედა ბოლო შემკულია ორი მეჭკეცისებრი კოპით.

ყურმილიანი დოქი. მთლიანად დაცული პირი. ყელი მთლიანი, ოდნავ გარეთკენ მიმართული, მომადლო, ტანი სფეროსებრი. კეცი მოყავისფრო-მოყვითალო, ალაგ-ალაგ მოშავო. ტანის ზედა ნახევრის შუა მონაკვეთი შემკულია ჰორიზონტალური ზოლებით შემოფარგლული საკმაოდ დაუდევრად დატანილი ბადისებრი ორნამენტის ვიწრო სარტყლით.

ყურმილიანი დოქი. პირი არაა შერჩენილი. ყელი ცილინდრული, ტანი ბიკონუსური (ზედა ნახევარი მომრგვალებული). შუა წელს შემოუყვება ზოლებით შემოფარგლული ბადისებრი ორნამენტის სარტყელი. გადამკვეთი ხაზები წერტილოვანი ორნამენტითაა დაფარული. კეცი ყავისფერი.

ყურმილიანი დოქის ზედა ნახევარი. მხრის დასაწყისსა და ტანის შუას წელს ურთიერთდაშორებული წყვილი პარალელური ზოლი მიუყვება. კეცი მოყავისფრო. ასეთივეა მეორე ყურმილიანი დოქის ნატეხები, ოღონდაც ამის ყურის ზედა ბოლოზე წყვილი კოპია დაძერწილი. დოქის პირი, ყელი და მხრის მონაკვეთი. ყური აკლია. არაა გამორიცხული, რომ ეკუთვნოდეს ყურმილიანებს. მაღალი ცილინდრული ყელი ოდნავ გარეთკენ მიმართული, პირისგან სადა ღართაა გამოყოფილი. მხრის არე მთლიანადაა დაფარული არც თუ ისე სიმეტრიულად დატანილი ბადისებრი სამკაულით, რომელსაც ბოლოში ზოლი შემოუყვება. კეცი ყავისფერი, ალაგ-ალაგ მოშავო (მახვ.108).

ყურმილიანი დოქი (ტაბ. II, 2). პირი და ყელის ნაწილი აკლია. ბიკონუსური – ზედა ოდნავ ამობურცული ზედაპირი დაფარულია სამკუთხა შევრონებით, რომელთა ბოლოში სადა წყვილი ზოლი შემოუყვება. თვით შევრონები შევსებულია ბადისებრი ორნამენტით. მათი რიცხვი 6 უდრის. მილიანი ყურის ქვედა ბოლო გადადის ერთ-ერთ შევრონზე. ტანის ქვედა ნახევარს თითქმის ბოლომდე შემოუყვება საკმაოდ მჭიდროდ განლაგებული ზოლები. კეცი მუქი ყავისფერი.

ყურმილიანი დოქი (მახვ.97). ქმნის განსხვავებულ ვარიანტს. აქვს სხვებთან შედარებით სადა, გარეთკენ მიმართული პირი, ფართო დაბალი ყელი. მკვეთრად ბიკონუსური ტანი. ზედა და ქვედა ნახევარი დაკავშირებულია სწორი სარტყლით, რომელზეც დატანილია დახრილი ჭდეები. აქვს მაღალი ფეხი.

აღმოჩენილია ამ ტიპის დოქების რამდენიმე ყური.

თიხის ორყურიანი ჭურჭელი (ტაბ. II, 1). თითქმის მთლიანად დაცული. ორგან აკლია პირის მცირე მონაკვეთი. პირი საკმაოდ ფართო, მაღალი, ზემოთკენ ოდნავ გაფართოებული. ცილინდრული ყელისაგან გამოყოფილია ჰორიზონტალური ზოლით. ტანი – ფართო, მომრგვალებული, ძირი მომადლო, მკვეთრად გამოყოფილი. პატარა ზომის ოვალურგანივკვეთიანი ყურები დაძვრილია ტანის ზედა ნახევარზე. კეცი ყავისფერი, ალაგ-ალაგ მოშავო ლაქებით. შერეულია თეთრი კირქვისებრი წვრილი ნატეხები. ტანის ზედა ნახევარი დაფარულია ორ-ორი ჰორიზონტალური ზოლით შემოფარგლული ბადისებრი ორნამენტით შევსებული სამკუთხა შევრონებით. ყურადღებას იქცევს სამკაულის შესრულების სიზუსტე და თვით ჭურჭლის ცალკეული დეტალების პროპორციულობა და ჰარმონიული შესამება.

ზომორფულყურებიანი დოქი (ტაბ. II, 4). აკლია პირისა და ტანის მცირე მონაკვეთი, დაბალი ყელი ბოლოვდება სადა, გარეთკენ გადაშლილი პირით. ტანი სფეროსებრი, მაღალ კონუსურფეხიანი. ტანი ოდნავ დაფერდებული. პატარა ზომის ზომორფული ყურის ზედა ბოლო მიძვრილია ყელის, ხოლო ქვედა – მხრის არეში. ჭურჭელი მოზრდილია, მდიდრულად ორნამენტირებული: მხრის მონაკვეთი დაფარულია წყვილი ზოლებით შემოფარგლული სამკუთხა შევრონების ორი რიგით, ზედა შევრონები შედარებით პატარა ზომისაა არიან. ყურებთან ახლოს დამატებით თითო დახრილი ხაზია გავლებული. ქვედა რიგის დახრილი ხაზებით შევსებული შევრონები შედარებით უფრო დიდი ზომისაა და უწყვეტ რიგს ქმნის. ტანის ზედა ნახევრის გარკვეული ნაწილი და ქვედა ნახევარი მთლიანად დაფარულია ირიბი კანელურებით. კეცი მუქი ყავისფერი, ალაგ-ალაგ მოყვითალო-მოშავო ლაქების არსებობა შეინიშნება.

თიხის უყურო ქოთნისებრი ჭურჭლის ზედა ნახევარი. მოზრდილი პირი მკვეთრად გარეთკენ მიმართული, გარეთა კალთა შესქელებული, ყელი დაბალი, შერჩენილი ფართო მხრის არე დაფარულია ჭდეებით შემკული სიმეტრიულად განლაგებული რელიეფური ქედების 5 რიგით. კეცი მოყვითალო-მონაცრისფრო.

თიხის სასმისი. პირი არაა შემორჩენილი, ტანი კონუსისებრი, ბოლო მომრგვალებული. ტანის ზედა ნახევარზე ვერტიკალურად მიძვრილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. კეცი მონაცრიფრო-მოყავისფრო.

თიხის პატარა ზომის სამისი (მახვ.111). აფრცქვნილია პირის კიდე. კონუსისებრი. მრგვალგანივკვეთიანი ყურის მხოლოდ ქვედა ბოლოა შერჩენილი.

ტანის გარკვეულ მონაკვეთებზე თითქოსდა უნდა შეინიშნებოდეს სხვასხვა სიგრძის ვერტიკალური ხაზები.

თიხის პატარა ზომის ღიაპირიანი ჭურჭელი. ტანი მომრგვალებული, პირი არაა დაცული. ძირი გამოკვეთილი. მრგვალგანივკვეთიანი, ზემოთკენ აზიდული მარყუქისებრი ყური მიძეწილია მხრის არეში. კეცი მუქი ყავისფერი, მსხვილმარცვლოვანი.

თიხის ჭრაქისებრი ჭურჭელი (ტაბ. II, 3). ღია. ზედა კალთა სწორი, გარეთა – მასიური, მომრგვალებული. შიდა ღრმა კალთა შევიწროვებული, მცირე ტევადობის ტანი კონუსისებრი მოყვანილობისაა. ასეთივე შემოწერილობისაა მაღალი, გარეთკენ მკვეთრად გაფართოებული ძირი. ძირის საყრდენ არეს გააჩნია წრიული ჩაღრმავება. კეცი მუქი ყავისფერი, მსხვილმარცვლოვანი, მინარევებიანი. პირის ზედა კალთაზე მიძერწილია ოვალური პატარა ზომის ყური. მეორე ყურის არსებობა შეინიშნება საპირისპირო მხარესაც. ყური შემკულია წყვილი კოპებით.

თიხის ჭურჭლის ნატეხები. მთლიანადაა შემორჩენილი შევრილიანი მრგვალგანივკვეთიანი ყური, ასევე პირისა და ტანის ნატეხები. ჰქონია ქოთნისებრი ჭურჭლისათვის დამახასიათებელი სადა, ფართო, გარეთკენ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი. მხრის არე შემკულია ყელთან ახლოს ერთი, ხოლო ტანის არეში – წყვილი ზოლით შემოფარგლული ყურის გასწვრივ დატანილი ბადისებრორნამენტის სარტყლით. კეცი მოშავო-მოყავისფრო, თხელკედლიანი.

თიხის ჭურჭლის ტანის ნატეხები. ტანის ზედა ნახევარზე დაცულია წყვილ ღარებს შორის მოქცეული ჯერ სამ-სამი დახრილი და ჯვარედინი ხაზების ორნამენტის ჰორიზონტალური სარტყლის ორი რიგი. გარეთა ზედაპირი მოშავო-მორუხო, შიდა – ყავისფერი.

ღერგისებრი ჭურჭლის პირის ნატეხი (აღმოჩნდა ჰუმუსის ფენაში). პირი საკმაოდ მასიური. სამკუთხაგანივკვეთიანი. დაფარულია მეწამული ანგობით. უადრესი იმპორტი საქართველოში. კეცი მოყვითალო მინარევიანი, კარგად გამომწვარი. არის ასეთივე ჭურჭლის მეორე უსახური ნატეხიც.

თიხის დოქი (მახვ.98). სადა პირი გარეთკენ გადაშლილი. ყელი სფეროსებრი ტანისკენ ოდნავ შევიწროვებული. ზედა ნახევარი მთლიანადაა დაფარული მცენარეული ორნამენტით. ყური სადა, ოვალურგანივკვეთიანი.

დიდი ზომის დოქის პირი, ყელი და მხრის ნატეხი (მახვ.102). პირი მკვეთრად გარეთკენ გადაშლილი. ყელი მაღალი. მხრის არე მთლიანადაა დაფარული მჭიდროდ განლაგებული ჰორიზონტალური ღარებით. მოსდევს ტალღისებრი ორნამენტის მცირე მონაკვეთი. დანარჩენი არაა გადარჩენილი. კეცი მოშავო-მოყავისფრო.

თიხის კვირისტავი. მთლიანად დაცული. პატარა ზომის. ნახევარსფერული. ნახვრეტის გაკეთების მიზნით წვერი ოდნავ მოსწორებულია. კეცი მოშავო-მონაცრისფრო, კარგად გამომწვარი.

თიხის კვირისტავი. მაღალი. წაკვეთილი კონუსისებრი მოყვანილობის ფართო ნახვრეტიანი.

ქვის სალესი. ტიპური. ორხკუთხა განივკვეთიანი. ერთ ბოლოზე, როგორც წესი, გააჩნია წრიული ნახვრეტი. სალესად განკუთვნილი მოპირდაპირე წახნაგები შედარებით ფართოა. დამზადებულია შავი ფიქალისაგან.

საბრძოლო და სამეურნეო იარაღიდან გამოირჩევა ბრინჯაოსა და რკინის ცულები (I ტიპის), ქარქაშიანი რკინის მახვილი, რკინის მოხრილი დანა, დანარჩენი იარაღი ძლიერ კოროზირებულია, ჭირს ფორმების დადგენა. საყურადღებოა, რომ რკინის იარაღი ჭარბობს ბრინჯაოსას, ასევე მნიშვნელოვანია, რომ რკინის ცულები ბრინჯაოს პროტოტიპის მიხედვითაა დამზადებული (ტაბ. III, 1,2,3).

საინტერესოა ბრინჯაოს ანთროპომორფული ქანდაკება, რომელიც მხედარ ქალს გამოხატავს. ქალი მაღალზურგიან და ჩამოშვებულსაფეხურიან ტახტრევანდზე ზის. ფეხები საფეხურზე, ხელები კი გამოყოფილ სახელურებზე აქვს დაწყობილი. ტახტრევანდს თავი ოდნავ გამოყოფილი და მორკალული აქვს, ზურგზე ორი ღარი აღენიშნება. ქანდაკებას აკლია ქალის თავის ფრაგმენტი, ცხენის თავისა და ფეხების ფრაგმენტები, დაფარულია პატინის სქელი ფენით. ქანდაკება ღრუ უნდა ყოფილიყო (ტაბ. III,5). მსგავსი ქანდაკებები დიდი დედის გამოსახულებადაა მიჩნეული (კუფტინი 1949:247; მიქელაძე 1985:62). საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი პარალელური მასალიდან ყველაზე ახლოს მახვილაურის აღმოჩენასთან ცაიშის გვიანბრინჯაო-ადრერკინის №1 კოლექტიურ სამარხში ნაპოვნი მხედარი ქალის ქანდაკებაა (პაპუაშვილი, ესებუა, ჯიქია, პაპუაშვილი 2015:15, 23, ტაბ. 23/4, 73/1).

მძივები. უახლესი აღმოჩენებით საკმაოდ გამდიდრდა მძივსამკაულის კოლექცია. მათი დიდი ნაწილი უცნობი იყო ჩვენს მონაპოვრებს შორის. ისინი შესანიშნავად ეხმაურებიან ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ გემოვნებას. როგორც წესი, წამყვანი ადგილი ნახევრად ძვირფასი ქვებისგან დამზადებულ მძივსამკაულს უკავია. სარდიონის მძივები ორი სახითაა წარმოდგენილი: სფეროსებრი და ე.წ. წვეთისებრი მძივსაკიდებით.

საკმაოდ მრავლადაა გიშრის მძივები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ზომის მძივი, რომლის მსგავსი პირველად აღმოჩნდა ჩვენს არქეოლოგიურ პრაქტიკაში. მისი ზომებია: 2,2X2,6 სმ. არხის დიამეტრიც – 0,4 სმ. არის საშუალო და პატარა ზომის ეგზემპლარებიც. ერთეული ცალებით სხვა ფორმის, რომლებიც და “ბალიშისებრი”, გიშრის მძივებიცაა მოპოვებული.

ცოტაა ქარვის მძივები. სულ სამი ცალი. ერთერთი მათგანი გიშრის მძივის მსგავსად “ბალიშისებრია”, მეორე – მართკუთხა, გვერდებდაწახნაგებული. მესამე მძივსაკიდს უნდა წარმოადგენდეს, დაზიანებული, ფორმის გარკვევა ჭირს.

მომდევნო სახეობაში ფაიანსის მძივები ერთიანდება. ესაა დაბალი, ცილინდრული მძივები, რომლებიც ირგვლივი ღარებითაა შემკული. არის წვრილი მძივებიც – ე. წ. “ბისერი”. ცალკე სახეობას ქმნის ბიკონუსური მძივები, რომელთა კონუსები ალაგ-ალაგ ჭდეებითაა დაფარული. ნაირსახეობას ქმნის პატარა ზომის კოპებიანი მძივები.

გარკვეულ ჯგუფს სადა მონოქრომიული თუ ფერადი მინის მძივები ქმნის. მათ შორის 3 ცალი სადა რგოლისებრია; ერთ-ერთი მათგანი თეთრი გამჭვირვალეა, ორი მუქი ყავისფერი. არის შავი ფერის გოფირებულტანიანი მძივი; ერთი ცალიც შედარებით პატარა ზომის მწვანე ფერის მინისაგანაა დამზადებული; ორი ცალი რგოლისებრი კლასიკურ ხანაში ფართოდ გავრცელებული პას-

ტის მძივების პროტოტიპად გამოიყურება. მწვანე ფერისაა მინის რგოლისებრი მძივები (სულ სამი ცალი, მათ შორის ერთი შეტყუებული).

ერთადერთია მინის პოლიქრომიული მძივი. მრგვალი. ცილინდრულნახერეტიანი. მოცემულია საკმაოდ ფართო ყვითელი ძაფებით შემოფარგლული სამი თვალი. თვალადი მძივი ადრე უცნობი იყო ჩვენს მონაპოვართა შორის ამ ეპოქაში.

ახალი არქეოლოგიური გათხრების უმთავრეს შედეგთა რიცხვს განეკუთვნება ის გარემოება, რომ მკვეთრად გამრავლდა წითელი წერნაქით დაფარული სამეთუნეო ნაკეთობების რიცხვი. მსგავსი ერთეული მონაპოვრები ადრეც ცნობილი იყო იგივე მახვილაურიდან და სოფ. ქობულეთის ნეოლითური ხანის ნამოსახლარიდან. მათი დამზადების ცენტრის ზუსტად განსაზღვრა ჯერჯერობით არ მოხერხდა. აჭარაში ბოლო წლების ბრინჯაოს მეტალურგიის უძველესი კერების აღმოჩენასთან დაკავშირებით გაჩნდა ეჭვი, რომ მათი იმპორტი უკავშირდება ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებს, თუნდაც ანატოლიურ სამყაროს. ამ ტიპის კერამიკის როგორც გარეთა, ისე შიდა ზედაპირი დაფარულია მეწამული ფერის წერნაქით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიქელაძე თ. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბილისი, 1985;
2. რ. პაპუაშვილი, თ. ესებუა, ლ. ჯიქია, ი. პაპუაშვილი, ცაიშის სამაროვანი, თბ. 2015;
3. Брилева О.А. Древняя бронзовая антропоморфная пластика Кавказа (XV в. до н.э. - X в. до н.э.) Москва, 2012;
4. Куфтин Б.А. Материалы к археологии Колхиды, т. I, Тбилиси, 1949

Amiran Kakhidze

Nino Dzneladze

Nargiz Surmanidze

Miranda Turmanidze

Early Iron Age tomb from village Makhvilauri

Summary

Archaeological excavations have revealed sharp increase of pottery merchandise covered with red tsernaki. There manufacturing center has not yet been precisely determined. There is a doubt that their import is connected to the old East countries, even in the Anatolian world. This type of pottery as the outer and the inner surface is covered with purple Tsernaki.



Макка Албогачиева

Грузины

Р е ц е н з и я

(отв. ред. Л.К. Бериашвили, Л.Ш. Меликишвили, Л.Т. Соловьева. М.: Наука, 2015. 814 с.)

Предлагаемая вниманию читателей монография «Грузины» вышла в свет в 2015 г. в издательстве «Наука» при финансовой поддержке Российского гуманитарного научного фонда, который ежегодно выпускает книги этой серии, продолжая традицию энциклопедизма 1950-х – начала 60-х годов, когда Институтом этнографии АН СССР (прежнее название института) была предпринята попытка систематического отображения мировой этнической картины. В серии «Народы мира» в те годы было выпущено 18 томов, в которых публиковались небольшие очерки о конкретных народах. В частности, во второй том – «Народы Кавказа» (1962) – вошла глава «Грузинская Советская Социалистическая республика», в которой отдельными блоками были представлены материалы по истории и этнографии грузин, абхазов, греков. С 1997 г. Институт этнологии и антропологии им. Н.Н. Миклухо-Маклая РАН совместно с профильными научными центрами автономий Российской Федерации и академическими центрами бывших союзных республик в рамках большого исследовательского проекта готовит более содержательные и энциклопедичные издания, чаще всего посвященные конкретному народу. Том «Грузины» стал 25-м томом серии «Народы и культуры», имеющим цель публиковать фундаментальные работы, посвященные народам современной Российской Федерации и ближнего зарубежья.

Рецензируемый труд посвящен исследованиям истории и этнологии грузин, одного из древнейших автохтонных народов Кавказа, внесшего огромный вклад в сокровищницу мировой культуры. Прочитав этот труд, который стал результатом многолетних исследований 69 ученых, из которых 57 докторов наук, можно определить масштабность поставленных задач и глубину исследований грузинских авторов, многие десятилетия изучавших ту или иную проблему в разных регионах Грузии. Значительная часть авторского коллектива – сотрудники Института истории, археологии и этнографии АН Грузии, Музея Грузии, Батумского НИИ и других научных учреждений республики.

Нужно отметить большую работу, проделанную при подготовке издания ответственными редакторами книги – Л.К. Бериашвили, Л.Ш. Меликишвили, Л.Т. Соловьевой, которые контактировали с авторами, давали им соответствующие

рекомендации и вносили правки в тексты (95 статей, разбитых по 11 главам), посвященные самым разным темам. Профессиональная подготовка ответственных редакторов и их огромный труд подтверждается тем, что авторские тексты читаются так же легко, как если бы они были написаны гораздо меньшим количеством авторов.

Серия «Народы и культуры» особенно привлекательна для исследователей конкретных народов и очень востребована, так как этнолокальные исследования интересны возможностью выхода на новые исследовательские рубежи, которые могут стать возможными на основе детального анализа особенностей формирования традиционной культуры этноса. К тому же региональный подход как методологическая позиция исследования народов Российской Федерации и ближнего зарубежья до настоящего времени, имеет неравномерное освещение. В этом плане грузиноведение существенно продвинулось вперед по сравнению с изучением других регионов Кавказа. Во многом этому способствовали научные интересы грузинской элиты, которая начала развивать историко-этнографическую науку значительно раньше других. Известно, что царевич Теймураз Багратиони — ученый-кавказовед, сын последнего грузинского царя Георгия XII — является автором первой критической истории Грузии и популяризатором интереса к истории и культуре Грузии, первый грузин-академик, почетный член Петербургской академии наук; Вахушти Багратиони — грузинский царевич, историк и географ; Дмитрий Захарович Бакрадзе — историк, археолог, этнограф, член-корреспондент Петербургской академии наук; Иван Александрович Джавахишвили — историк, академик АН СССР (1939), основатель Тбилисского университета; Симон Николаевич Джанашиа — историк и общественный деятель, один из учредителей и академиков Академии наук Грузии, лауреат Сталинской премии (1942, 1947); Платон Игнатьевич Иоселиани — историк, исследователь истории Грузии; Георгий Александрович Меликишвили — историк, академик Академии наук Грузинской ССР, автор трудов по истории государства Урарту и др. Благодаря их исследованиям в грузиноведении почти нет белых пятен, труды этих ученых легли в основу многих статей рецензируемого издания, свидетельствуя об их актуальности и важности для современников поныне.

Монография построена по типу предыдущих изданий этой серии, включающих несколько основных тематических блоков. Чтобы отразить охват представленных тем этого огромного тома из 814 страниц, отметим, что рецензируемая монография состоит из 11 глав, глоссария, библиографии и списка архивных источников.

Глава I — «Этническая и политическая история» — рассматривает этнополитические процессы, демографию и антропологию народов, населяющих страну. Глава II — «Письменная культура» — посвящена изучению грузинского языка, рукописной культуре, эпиграфике, богословско-литературным и просветительским центрам. Глава III — «Материальная культура» — охватывает широкий спектр

исследовательских направлений: поселения, жилища, одежда, оружие, система питания, мосты и дороги, транспорт и мореходство. Глава IV – «Хозяйство» – отражает практики традиционного лесопользования, пчеловодства, охоты, рыболовства, земледелия и скотоводства. Глава V – «Промыслы и ремесла» – посвящена организации ремесленного производства, обработке металла, дерева, камня, ткачеству и шелководству. Глава VI – «Семья и семейный быт» – рассматривает семейный быт, системы родства, обряды жизненного цикла. Глава VII – «Общественный быт и экономические отношения» – показывает сложные механизмы территориальной общины, социально-религиозные институты, аманатство, обычное право, мужские сходы, формы взаимопомощи, гостеприимство, застолье и торговые отношения. Глава VIII – «Религиозные представления» – отражает народные верования, историю Грузинской православной церкви, христианские конфессии и ислам в Грузии. Глава IX – «Духовная культура» – рассматривает традиционный праздничный календарь, астральную символику в орнаменте, фольклор, народную и инструментальную музыку, хореографию, традиционные виды спорта, народную медицину и гигиену. Глава X – «Профессиональная культура» – посвящена литературе, изобразительному искусству, театру и кино. Глава XI – «Грузинские диаспоры» – рассматривает грузинскую эмиграцию и диаспоры в Турции, Иране, России.

Беглый обзор содержания монографии позволяет отметить масштабность указанного научного труда, его новизну и практическую значимость не только для грузинской этнологической науки, но и для кавказоведения в целом. Профессиональная подача такого объемного материала позволяет под различным углом зрения рассмотреть разнообразные тематические блоки, представленные в данном издании.

Данный труд подготовлен большим коллективом ученых, проделавшим поистине титаническую работу по выявлению, систематизации и освещению собранного материала. Несомненным достоинством данного издания является то, что авторскому коллективу удалось избежать идеологической ангажированности, свойственной не только многим историографическим работам недавнего прошлого, но и некоторым исследованиям 1990-х годов. В монографии корректно и объективно освещены наиболее сложные темы (в первую очередь вопросы этнической истории, а также современные политические процессы), касающиеся осетино-грузинского и абхазского конфликта.

Значительным достоинством рецензируемого издания можно назвать то, что в нем нашли отражение оригинальные материалы, собранные авторами в период полевых исследований в различных уголках Грузии, наряду с внушительным корпусом научной литературы, включающей общетеоретические культурологические труды, статьи в периодических и печатных изданиях и нарративные публикации ученых дореволюционного, советского и современного периодов, архивные документы, данные по грузинской истории, археологии,

антропологии, лингвистике, топонимике и культуре. Такая солидная источниковая база позволила документально проанализировать и проследить этапы развития этнической истории и культуры грузинского народа, показать высокий уровень историко-этнографических знаний грузинских авторов по различным областям знаний.

Наличие сильной научной школы позволило грузинским ученым продвинуться далеко вперед в изучении этносов, проживающих на территории Грузии. Этому в значительной степени способствовали широкие научные контакты, сложившиеся между учеными Грузии и России. Обращаясь к историческому прошлому науки, хочется отметить большую роль советского кавказоведения в формировании научной школы, легшей в основу историко-этнографического изучения народов, населявших огромную державу. Москва и Петербург, являясь традиционными центрами отечественного кавказоведения, наладили постоянные и плодотворные контакты столичных специалистов с исследователями и научными центрами Кавказа. Еще в 1917 г. в Тбилиси по инициативе Н.Я. Марра был организован Кавказский институт археологии и истории Академии наук Союза Советских Социалистических Республик, в работе которого активно участвовали ученые Грузии, всего Кавказа, Ленинграда и Москвы, что позволило установить тесные творческие контакты с научной элитой грузинского народа [Страницы отечественного кавказоведения 1992: 19].

В различные годы в стенах Института этнологии и антропологии им. Н.Н. Миклухо-Маклая представляли к защите свои научные изыскания грузинские ученые С.И. Макалатия (1948), Р.Л. Харадзе (1955), М.Г. Абдушелишвили (1964), Г.В. Цулая (1989), Н.М. Абдушелишвили (1990) и др. [Страницы отечественного кавказоведения 1992: 206–208]

Институт этнологии и антропологии им. Н.Н. Миклухо-Маклая и Музей антропологии и этнографии РАН регулярно организовывали научные экспедиции, экспедиционные отряды в различные регионы Кавказа для сбора полевых материалов, которые легли в основу научного архива и широко используются современниками. Хочется отметить весомый вклад в изучение социально-бытового и культурного уклада грузинского народа, внесенный участниками Грузинского отряда Н.Г. Волковой, Г.Н. Джавахишвили, В.Д. Итонишвили, Л.Т. Соловьевой и др. [Страницы отечественного кавказоведения 1992: 203]. Примечательно, что после распада СССР научные исследования в Грузии продолжает старший научный сотрудник ИЭА РАН, один из ответственных редакторов тома «Грузины» Л.Т. Соловьева. Она единственная среди авторов этой монографии представляет научное сообщество РФ и приглашена к написанию статьи и подготовке книги.

Исследования названных выше авторов нашли широкое освещение в библиографическом списке, что ярко иллюстрирует актуальность их научных достижений и в настоящее время.

Нельзя не отметить и богатый видеоряд книги (более 300 цветных и черно-белых фотографий). Наряду с фотографиями из архивохранилищ и частных собраний Грузии в монографии достойно представлены экспедиционные фотоматериалы из коллекционных собраний Российского этнографического музея и Музея антропологии и этнографии, привезенные из экспедиционных поездок по различным районам Грузии. Ценные, а порой и уникальные снимки принадлежат Л.Б. Панек и Е.М. Шиллингу. Оба ученых провели достаточно много времени, изучая грузинский народ. Так, Е.М. Шиллинг специально занимался этнографией народов Кавказа начиная с 1916 г. и вел систематическое изучение отдельных этнических групп, в особенности Северного Кавказа, а также Грузии (преимущественно в горных регионах) [Махмудова 2015: 87]. В 1928 г. Е.М. Шиллинг и художник С.И. Фомин совершили поездку в Верхнюю и Нижнюю Сванети и Аджарию, откуда была привезена фотоиллюстративная коллекция МАЭ РАН [Захарова 2015: 67]. Объектом исследований Л.Б. Панек стали районы Грузии – Мтиулет, Хеви, Хевсурети. В отчете за 1927 г. говорится, что ею сделаны 15 планов жилищ, привезены 70 фотографий и 12 рисунков [Страницы биографии 2015: 13]. Некоторые фотографии этих авторов заняли достойное место в видеоряде монографии «Грузины». В книге имеются фотографии и из коллекции известного российского фотографа С.М. Прокудина-Горского (начало XX в.).

Исследование сопровождается богатым картографическим материалом, охватывающим период с VI в. до н.э. до конца XX в. Помещенные в монографии карты (авторы Д. Мухелишвили и М. Сулханишвили) позволяют наглядно представить расселение грузинских племен в глубокой древности, расположение государственных образований грузин в разные периоды истории, а также те народы и государства, которые находились на сопредельных территориях. Отметим также весьма информативную карту современного расселения грузин по регионам Российской Федерации, составленную ведущим научным сотрудником ИЭА РАН В.В. Степановым.

Большим достоинством монографии следует считать и то, что сводные характеристики тех или иных явлений и обрядов культуры грузин дополнены терминологией на грузинском и русском языке. Весь терминологический аппарат вынесен в отдельный блок в виде обширного глоссария, что является несомненным подспорьем для русскоязычных читателей, желающих лучше узнать специальные термины грузинского языка.

Как и любое многоаспектное научное исследование, монография имеет отдельные недостатки. К одним из существенных относится отсутствие во многих разделах книги материалов по современности, позволяющих рассмотреть происходящие в Грузии процессы в исторической динамике, а также недостаточное освещение многообразных этнокультурных контактов грузин с соседними народами. Однако указанные замечания не меняют общей высокой оценки рецензируемой

работы, тем более что рассмотрение этих вопросов потребовало бы значительного увеличения объема книги.

В заключение необходимо отметить: ценность этого научного труда состоит еще и в том, что после распада СССР в издательствах Российской Федерации не так уж часто публиковались материалы, касающиеся кавказских народов, некогда объединенных общей историей и культурой. Выход рецензируемой коллективной монографии позволит всем заинтересованным исследователям получить достоверные и разнообразные сведения о этнографии грузинского народа. Монографию «Грузины», опубликованную на русском языке и в силу этого доступную достаточно широкому кругу ученых, можно считать ценным научным вкладом в российское кавказоведение и в мировую этнологическую науку.

Литература

Захарова 2015 — *Захарова Е.Ю.* Аджарская коллекция негативов Е.М. Шиллинга через призму современных полевых данных: опыт работы с локальной памятью // Сборник МАЭ. Т. LX. Народы Кавказа: музейные коллекции, исследования объектов и явлений традиционной и современной культуры. — СПб.: МАЭ РАН, 2015. С. 64–84.

Zakharova 2015 — *Zakharova E.Ū.* Adzharskaia kolleksiia negativov E.M. Shillinga cherez prizmu sovremennykh polevykh dannykh: opyt raboty s lokal'noi pamiat'iu // Sbornik MAĖ. T. LX. Narody Kavkaza: muzeinye kolleksiï, issledovaniia ob"ektov i iavlenii traditsionnoi i sovremennoi kul'tury. — SPb.: MAĖ RAN, 2015. pp. 64–84.

Махмудова 2015 — *Махмудова З.У.* Дагестан на переломе эпох: этнографические экспедиции Е.М. Шиллинга // Сборник МАЭ. Т. LX. Народы Кавказа: музейные коллекции, исследования объектов и явлений традиционной и современной культуры. — СПб.: МАЭ РАН, 2015. С. 85–102.

Makhmudova 2015 — *Makhmudova Z.U.* Dagestan na perelome epoch: etnograficheskie ekspeditsii E.M. Shillinga // Sbornik MAĖ. T. LX. Narody Kavkaza: muzeinye kolleksiï, issledovaniia ob"ektov i iavlenii traditsionnoi i sovremennoi kul'tury. — SPb.: MAĖ RAN, 2015. pp. 85–102.

Страницы биографии этнографа Л.Б. Панек / Г.А. Генко, Е.Н. Груздева. — СПб., 2015.

Stranitsy biografii etnografa L.B. Panek / G.A. Genko, E.N. Gruzdeva. — SPb., 2015.

Страницы отечественного кавказоведения. — М., 1992.

Stranitsy otechestvennogo kavkazovedeniia. — М., 1992.

ს ა ა რ ქ ი ვ ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ო

ამონაწერი. –

ხულოს სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომისა ოქმი - №13-დან.-

„14“ მაისი 1927 წელი. –

თავმჯდომარეობდა ამხ. ხოზრევანიძე. – მდივნობდა: ჯობაჯი. –

მ ო ი ს მ ი ნ ე ს . -	დ ა ა დ გ ი ნ ე ს . -
9. ხულოს რაიონის საბჭოს პრეზიდიუმის სახლ. ოქმი №3 მუხ.1-ლი ქალის ყიდვა გაყიდვის შესახებ. –	დაისვას სათემო საბჭოთა ყრილობაზე ძველებურ ფორმებში ქალის ყიდვა-გაყიდვა აღმოფხვრის მიმართ სათანადო დადგენილების გამოსატანად ცხოვრებაში გატარება დაეკადონ ადგილობრივ თემ-აღმასკომებს. -
/მომხ. ხოზრევანიძე/. –	

დედანი სათანადო ხელმოწერილია:
სწორია საქმის მწარმოებელი. -

/ჭელიძე/

ფონდი რ-75, საქმე 30, ფურც. 34

ამონაწერი

ხულოს თემის ღარიბთა და მცირე საშუალო გლეხების ყრილობის ოქმი №3, 1927 წ. 4 თებერვლის მიმდინარე საკითხების 1.

მოისმინეს	დაადგინეს
<p>1. მიმ. საკ. პირადი განცხადება მოქ. (ქაზიმ მესხის) რომელიც მოითხოვს. ჩვენს მხარეებში ხდება ქალის გათხოვება, ისეთ, რომ ქალის მამასთან მივა ვინმე მაჭანკალი და ეტყვის, რომ შენი ქალი მიათხოვე ამა თუ იმ კაცს და 500-1000 ლირას აგაღებოფო. ქალმა არავითარი არ იცის მამა მას მისცემს პირობას თუ ის კი აიღებს მის ქალიშვილში ბევრ ფულს, როდესაც ქალს წაიყვანებენ მერმედ ბიჭი არ მოსწონდება ქალს ან რჩება და ხდება ერთი აურზაური და ბოლოს თოფზეც კი წავა საქმე ამ საკითხზე ამხ. ვანიძემაც მრავალი მაგალითები მოუყვანა. ყრილობას აუხსნა ყოველივე ამ საკითხის ირგვლივ რის შემდეგ ყრილობამაც საკითხს კარგათ შეხვთა და დაადგინა</p>	<p>ეთხოვოს მაზრ-აღმასკომს რათა ამ საკითხზედ გამონახული იქნას რაიმე დირექტივები რათა ქალის ასეთს გაყოღვას ბოლოს მოედოს ერთხელ და სამუდამოთ. აგრეთვე დაევალოს სოფლის სახსაბჭოებს, რომ ასეთი ქალის გაყიდვას ადგილი არ დაურჩეს მომავალში ვინაიდან ასეთს მრავალი საფრთხე მოაქვს ფუხარა გლეხობისადმი. რათა თვალყური ადევნოს ასეთს თუ ვინმე ასეთს განიმეორებას ეცნობიდა სათანადო ორგანოს.</p>

ამონაწერი სწორია

თავმჯდომარე: (არ იკითხება)

მდივანი: ხელმოწერილია

ხულოს თემადმასკომის მდივანი: (არ იკითხება)

ფონდი რ-75, საქმე 30, ფურც.35

სია. –

ხულოს მაზრის, ბაზრის ვაჭრებისა. –

№	სახელი გვარი და მამის სახელი	გადანაწილება მანეთებში	რა მოხელეა	შენიშვნა
1.	მისტი კოსტიძე	15	კაფენია	
2.	პაჯო ყუსიდი	20	რკ. მჭედელი	
3.	პანჯო კუსიდი	20	სპ. მჭედ.	
4.	წითელი სასადილო	30	არ იკითხება	
5.	სატრაკ ადამიანი	10	ვაჭარი	
6.	ნური ჯაყელი	30	ვაჭარი	
7.	ლია ფოგა	20	ვაჭარი	
8.	კაცაძე სეფე	10	მოს.მეწ	
9.	პაპანდოპულო	15	ვაჭარი, თერძი	
10.	მისა კუსიდი	70	ვაჭარი	
11.	კოსტი პაპანდოპულო	30	თერძი	
12.	ანესტი კოსტიძე ვასილიდი	10	ვაჭარი	
13.	იოლიკა ვასილაძე	10	ვაჭარი	
14.	ყაიალი ქედელიძე	12	კაფენია	
15.	აბუსტოლ	10	რკ. მჭედ.	
16.	კოპერატივი			
17.	დურსუნ მელაძე	7	რკ. მჭედ.	
18.	არესტიდი	30	მეფურნე, ვაჭარი	
19.	არმენაკ	20	მოხელე მეჭულე, მეფურნე და კერძო ტყავქარ.	
20.	ოვანეს ბულბულიანი	20	სასადილო	
21.	საკრედიტო ამხანაგობა	30	საწყობი	
22.	მეომართა კოოპერატივი	30	კოოპერატ.	
23.	მილიდი სპანიკსი	5	დალაქი	
24.	კოსტა	5	ზაბოშნიკი	
25.	დიმო ფოგა	15	ვაჭარი და თერძი	
26.	ვსტავრო	15	მეფურნე	
27.	სოფლოროს ვაბანჯირი	15	სპ. მჭედ.	
28.	ტასვახანა	25		
	სულ:	521		

ხულოს ბაზრის კომისია: (ხელწერა არ იკითხება)

ფონდი რ-75, საქმე 30, ფურც.46

ხულოს მაზრის შენობების. -

№	სახელი გვარი და მამის სახელი	რამდენი თვალი	საერთო	შენიშვნა
1.	ასან ალის-ძე ქონიაძე	2	15	
2.	შუქრია	4	30	
3.	შუქრი კეკელიძე	5	37-50 კაპ.	
4.	ეუბ ნაკაიძე	4	30 მან.	
5.	ქელეშ ცეცხლაძე	2	30 მან.	
6.	დევრიშ ლომანისძე	5	34-50 კაპ.	
7.	გლეხკომი	4	30 მან.	
8.	ქაზიმ ბოლქვაძე	1	5	
9.	იუნუს ჯაყელი	14	105 მან.	
10.	დურსუნ მელაძე	2	7 მან.	
11.	ქამილ რიუვაძე	3	12 მან.	
12.	ზეირალი რიუვაძე	3	12 მან.	
13.	კოოპერატივი	7	52 მ. 50	
14.	ქელეშ ჯობინაძე	5	37 მ. 50	
15.	ოსმან შირინისძე	9	67 მ-დან	
16.	სულია ბოლქვაძე	6	35 მან.	
17.	ახმედ ბოლქვაძე	6	35 მან.	
18.	აღალი ქემალის-ძე ბოლქვაძე	4	30 მან.	
19.	ესედოღლი		30 მან.	
	სულ	86	635	

ხულოს მაზრის კომისია:

1. აღალი ბოლქვაძე
2. დურსუნ მელაძე

ფონდი რ-75, საქმე 30, ფურც.47

ს.ს.ს.რ.
აჭარისტანის ავტონომ. ს.ს.რ.
იუსტიციის სახალხო
კომისარიატი
30 სექტემბერი, 1925 წ.
№4243
ქ. ბათუმი

**ყველა სახ. სასამართლოებს და სახ. გამომძიებლებს
ასლი – მაზრის აღმასკომებს**

ხულოს მაზრის აღმასკომს

იუსტიციის სახ. კომისარიატამდე მოაღწია ცნობამ იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მაზრებში პასუხის მგებელი ამხანაგები, - მაზრის აღმასკომების თავმჯდომარე და პრეზიდიუმის შემადგენლობა, - ხშირად ერევა სასამართლოს ორგანოების ფუნქციებში. ზოგიერთი ამხანაგები კი იმ ზომამდე მიდიან, რომ ათავისუფლებენ პატიმრობიდან სასამართლოს მიერ დაპატიმრებულ პირებს.

ვინაიდან ასეთი საქციელი ზოგიერთი პასუხის მგებელ ამხანაგებისა ძალზე სცემს პრესტიჟს სასამართლოს ორგანოებისას, წინადადებას გაძღვეთ ამიერიდან არ დაუშვათ ასეთი ჩარევა აღნიშნულ პირებისა სასამართლოს საქმეებში.

წინააღმდეგ შემთხვევაში მე იძულებული ვიქნები მივიღო სათანადო ზომები.

იუსტიციის სახ. ომისარი და რესპ. პროკურ. – ხ. ქადაგიძე
სასამ. მომწყ. და ზედამხ. განყ. გამგე – მომფორია

დედანთან სწორია

საქმის მწარმოებელი (ჯაყელი)

ფონდი რ-75, საქმე 23, ფურც. 65

საქართველო
ს.ს.რ.
სახალხო კომისართა
საბჭოს
1925 წ. ივლისის 13. –
№ 6559
ქ. ტფილისის სასახლე. –

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი. –

საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანს შეადგენს მშრომელთა ყოველმხრივი კულტურული განვითარების უზრუნველყოფა, რისთვისაც ყოველი ნაშთი, რომელი ააშკარავებს ჩვენი ქვეყნის ნივთიერ და გონებრივ მისაღწევად და გამოდგება მაღალი კულტურის შესაქმნელად, უნდა სათანადო ყურადღებით იქნეს მოვლილი და გამოყენებული.

საქართველოს მშრომელთა გათვინებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი იშვიათი რევოლუციონური წარსულის გაშუქებასა და შესწავლას, იგი არის ჩვენი ახალგაზრდა რიგების პოლიტიკური აღზრდის და მათში ლენინიზმის დიადი საფუძველთა განმტკიცების საუკეთესო სკოლა.

ჩვენი მდიდარი რევოლუციონური წარსულის შესწავლა უპირველეს ყოვლისა მოითხოვს რევოლუციონური მოძრაობის მასალების მოვლას და შეგროვებას. უიმისოთ შეუძლებელია სათანადო გაშუქებულ იქნეს თვითმპყრობელური და ბურჟუაზიული წესწყობილებების წინააღმდეგ ჩვენი მუშათა კლასის ბრწყინვალე ბრძოლა. –

ამიტომ წინადადება გეწლევათ მიიღოთ ენერგიული ზომები რათა:

1. აღმოჩენილ იქნეს დაკარგული არქივები ქუთაისში ჟანდარმთა სამმართველოს. მენშევიკური სამინისტროების და მათივე საგნებო რაზმის და სხვა.
2. შეწყვეტილ იქნეს დაუფონებლივ ყოველგვარი საარქივო მასალების გაყიდვა.
3. ჩამოერთვას კერძო პირებს მათ ხელში აღმოჩენილი საარქივო მასალები.
4. მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ძველი პოლიტიკური ხასიათის ლეგალური და არალეგალური მასალების (ბროშურები) პროკლამაციები, გაზეთები, სურათები, დროშები, ხელნაწერები და სხვა) აღმოჩენას და შეგროვებას.

ყოველი თქვენ მიერ შეგროვილი რევოლუციონური ხასიათის მასალები უნდა სასწრაფოდ გამოგზავნოთ საქართველოს სარევოლუციო მუზეუმში (ტფილისი, არსენ ჯორჯიაშვილის ქ. №8) სადაც ყურადღებით იქნება დაცული და სათანადოთ გამოყენებული. –

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე – (ს. ჯუღელი)
საქმეთა მმართველი – აღ. სალარიძე
სწორია: საქმის მწარმოებელი (ხელმოწერილია)

ფონდი რ-75, საქმე 23, ფურც. 74

თემადმასკომებს ხულოს რაიონულ საბჭოს და მაზრის უფროსს. –

თანახმად შრომის სახკომის განკარგულებისა დადგენილება №8 გაცნობებთ, რომ **ზაფხულის სეზონში დაწესებულებებში მუშაობა უნდა სწარმოებდეს დილის 8 საათიდან ნაშუადღევს 2 ნახევარ საათამდე.**

7 თებერვალი 1926 წელი.

ფონდი რ-75, საქმე 14, ფურც. 60

დადგენილება №8

საქ. შრომსახკომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს აჭარისტანში 22 აპრილი 1926 წ.

სახელმწიფო საზოგადო და კერძო დაწესებულების მუშაობის წარმოების შესახებ (ზაფხულის განმავლობაში).

შესაცვლელად საქ. შრომსახკომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს დადგენილებისა 1925 წ. 22 სექტემბრის თარიღით №19. სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებში მუშაობის წარმოების შესახებ, საქ. შრომის სახკომისარიატის რწმუნებული აჭარისტანში ადგენს:


1. ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებში, ა.წ. 1-ლ მაისიდან მუშაობა უნდა სწარმოებდეს დილის 8 საათიდან ნაშუადღევს 2 ნა. საათამდე.

ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების თვალ-ყურის დევნება ევალება შრომის ინსპექციას.

საქ. შრომსახკომის რწმუნებული აჭარისტანში ბრელიძე.
საქმეთა მმართველი: თევზაძე.

"ფოლიანტები"

წარმოგიდგენთ საუკუნის დოკუმენტ - ბათუმის "პოლონური სახლის" მიმართვას ქალაქის გამგეობისადმი - ბათუმის სათათბიროში სამი ძველი პოლონელი ხმოსნის ახლით ჩანაცვლებასთან დაკავშირებით.




* * *

მკითხველის წინაშეა მოწმობა, რომელიც გასცა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათის ორკლასიანმა სასწავლებელმა 1913 წელს. მოწმობა, გარდა სიძველისა, მნიშვნელოვანია ჩიბათის სკოლის ისტორიის შესწავლის კუთხითაც. სოფელ ჩიბათის სასწავლებელი, 1913 წელს, ექვემდებარებოდა სახალხო განათლების სამინისტროს. როგორც ირკვევა, სასწავლებლის ხელმძღვანელი იყო ჯორბენაძე. მოწმობა ეკუთვნის ვასილ კუნჭულიას. დოკუმენტზე კარგად იკითხება სკოლის საკუთარი ბეჭედი. ფოლიანტი მთლიანობაში წარმოადგენს მაღალპროფესიონალურ საბუთს საქმის წარმოების თვალსაზრისითაც



* * *



საარქივო სამმართველოში ჩატარებული ღონისძიებების დაიჯესტი (2016 წლის იანვარ-ნოემბერი)

2016 წლის 19 ოქტომბერს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს ეწვია აჭარის მთავრობის თავმჯდომარე - ზურაბ პატარაძე. იგი გაეცნო არქივის თანამშრომლებს, საარქივო სამმართველოში დანერგილ სიახლეებსა და ინოვაციურ წამოწყებებს, დაათვალიერა საარქივო სამმართველოში მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ესაუბრა არქივისტებს საარქივო დარგის შემდგომი განვითარების, სახელმწიფოს მხრიდან მზრუნველობასა და გაძლიერებული ყურადღების აუცილებლობაზე.



ღირსსახსოვარი დღეების აღნიშვნა

2016 წლის 4 მარტს, აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში გაიმართა დედის, ქალთა დღისა და არქივისტთა პროფესიული დღესასწაულისადმი მიძღვნილი საღამო. ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად საარქივო სამმართველოს სტუმრობდნენ: ავთანდილ ბერიძე - აჭარის არ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, რამაზ სურმანიძე, პროფესორი, ბათუმის საკრებულოს დეპუტატი, ამირან კახიძე, პროფესორი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი.

საღამო გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი. მოხსენება - „არქივისტთა პროფესიული დღესასწაულის ისტორიისათვის“ გააკეთა საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსმა მაია რურუამ.

დედის, ქალთა და არქივისტის დღე მიულოცეს და მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: ავთანდილ ბერიძე, ამირან კახიძე, რამაზ სურმანიძე და თამაზ ფუტკარაძე.

მისასალმებელი სიტყვების შემდეგ გაიმართა არქივისტთა დაჯილდოების ცერემონიალი. საარქივო სამმართველოს უფროსმა მაია ივანიშვილმა წლის საუკეთესო არქივისტის საპატიო სიგელი გადასცა არქივისტ ნაზი ნაგერვაძეს, ხოლო წლის საუკეთესო ფონდის მცველის საპატიო სიგელი გადაეცა ცირა თავართქილაძეს. საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ არქივისტები: იამზე ზოიძე, ეთერ ნათელაძე, ნინო შავაძე, ინგა პატარიძე, ჟუჟუნა ტაკიძე, ნათია ბერიძე, მედეა გორგილაძე, ნატო ქიქავა, მზია სურმანიძე, ამირან გაგუა, ნატო ჟვანია, ნინო მარდალავიშვილი, ჯილდა ვერუღიძე, ირმა ჭყელიძე, მარინა ბოლქვაძე, ნარგიზ გვარიშვილი, მზია კეკელიძე, შორენა ფარტენაძე, შორენა ბაჯელიძე, მარინა გოგიტიძე, თინათინ ქონიაძე, მზექალა გირიხილი, მადონა ცხადაძე, ავთანდილ ლეონიძე, მაია რურუა, ავთანდილ ჩახვაძე, ქეთევან მიქელაძე.

საარქივო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და დაბადებიდან 50, 55, 60 და 65 წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე: მურმან ბერიძე, მარინა კუცია, მზია ჯღარკავა, დოდო შუშანიძე, ნათია კუტალაძე, ზურაბ დარჩიძე, ნინო გოგიტიძე და გუგული პატარიძე.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძემ ფასიანი საჩუქრები გადასცა არქივისტებს: ნინო გოგიტიძეს, მზია სურმანიძეს, ეთერ ნათელაძეს, ელგუჯა ჩაგანავას.

დასასრულს, ღონისძიების მონაწილეებმა დაათვალიერეს ფოტოგამოფენა „ხელოვნება და კულტურა აჭარაში (1921-2015 წწ.)“.



* * *

9 აპრილის ცრემლთან

9 აპრილს, საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა პატივი მიაგეს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას. ღონისძიების მონაწილეებმა გვირგვინით შეამკეს მემორიალი „9 აპრილის ცრემლი“, და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.



* * *

თამარობა 2016

2016 წლის 17-18 მაისს, აჭარის საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანოებში-ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს არქივებში,- ჩატარდა წმინდა თამარ მეფის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

საჯარო ლექციები თამარ მეფის ეპოქის საქართველის შესახებ წაიკითხეს ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორებმა, ციური ქათამაძემ, ირაკლი ბარამიძემ და საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსმა, პრო-

ფესორმა თამაზ ფუტკარაძემ. ღონისძიებებს ესწრებოდნენ საარქივო სამმართველოს წარმომადგენლები. მუნიციპალიტეტების გამგეობების, საკრებულოების, რესურსცენტრების თანამშრომლები, საჯარო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები. ღონისძიების დასასრულს გადაღებული იქნა სამახსოვრო სურათები.



* * *

26 მაისი - დღესასწაული არქივში

2016 წლის 25 მაისს საარქივო სამმართველოში გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

დამსწრე საზოგადოებას 26 მაისი მიულოცა და ღონისძიება გახსნა საარქივო სამმართველოს უფროსმა, ქალბატონმა მაია ივანიშვილმა.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ასოცირებულმა პროფესორმა, ბატონმა ირაკლი ბარამიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია, რომელშიც კარგად აისახა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიული პერიპეტეიები.

აღნიშნული დღის მნიშვნელობაზე ისაუბრეს აგრეთვე საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივის სამსახურის უფროსმა ელგუჯა გოგიბერიძემ, საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, პუბლიკაციის და გამოყენების განყოფილების უფროსმა თამაზ ფუტკარაძემ.

დამოუკიდებლობის აღდგენის დღის აღსანიშნავად ასევე მოეწყო საარქივო სამმართველოში დაცული ფოტო და წერილობითი დოკუმენტების გამოფენა,

ნახვენები იქნა დოკუმენტური ფილმი და მუსიკალური ნომერი- აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლასთან არსებულ ბავშთა ვოკალურ ანსაბლ „ჰანგების“ შესრულებით.



* * *

იუნკრების მემორიალთან

2016 წლი 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად იუნკრების საფლავი ყვავილებით შეამკეს.

მემორიალთან შეკრებილმა საზოგადოებამ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპული გმირები, მათი ღვაწლი და თავდადება გაიხსენა.



* * *

ბავშვთა დღე - ბავშვთა სახლში

1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებოდაწესებულება - საარქივო სამმართველოს უფროსი, ქალბატონი მაია ივანიშვილი, საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივის სამსახურის უფროსი ელგუჯაგოგიბერიძე და სამმართველოს თანამშრომლები იმყოფებოდნენ ბათუმის განათლების და დასაქმების ცენტრთან არსებულ საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში.

საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს მიულოცეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, საჩუქრად გადასცეს ტელევიზორი დატკბილუული. გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.



* * *

სამეცნიერო მუშაობა

VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

2016 წლის 15-16 სექტემბერს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში ჩატარდა VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - "სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია ეთნოლოგია)".

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად საორგანიზაციო კომიტეტში შემოვიდა 50-მდე განაცხადი. კონფერენციის მუშაობის დღეებში საარქივო სამმართველოს სტუმრობდნენ: უკრაინის (ბერდიანსკის უნივერსიტეტი), თურქეთის (ინეგოლის კულტურის ცენტრი) და საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილიას უნივერსიტეტი, ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, აჭარის საარქივო სამმართველო, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, გონიო-აფსაროსის მუზეუმი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარიტონ ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმი) წარმომადგენლები.

კონფერენციის ფარგლებში მოეწყო ექსკურსია ბორჯომში, ახალციხესა და ვარძიაში.



* * *

სამეცნიერო პუბლიკაციები:

ა. გამოცემები:

1. მომზადდა და გამოიცა საარქივო სამმართველოს გაზეთი „აჭარის არქივი“ – ს პირველი ნომერი (2016 წ. მარტი);
2. გამოიცა „არხეონის“ მეოთხეტი ნომერი;
3. გამოსაცემად მომზადდა ბუკლეტი „აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში“.
4. გამოსაცემად მომზადდა მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

* * *

ბ. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

1. ელგუჯა ჩაგანავა, აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, „არხეონი“, N 11, თბ. 2016;
2. თამაზ ფუტკარაძე, პაციფიზმი საქართველოში, „არხეონი“, N 11, თბ. 2016;
3. გუგული პატარიძე, რევაზ ბოლქვაძე საარქივო დოკუმენტებში, „არხეონი“ N 11, თბ. 2016;
4. თენგიზ პარმაქიზიშვი, ლიაკაკის იუბილუ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეში, „არხეონი“ N 11, თბ. 2016;
5. თამაზ ფუტკარაძე, საცხოვრებელი ნაგებობანი არტაანში, „არხეონი“ N 11, თბ. 2016;
6. ფრ. ქარდავა, როცა ლეგენდას ეხები, „არხეონი“ N 11, თბ. 2016;
7. ნ. ქიქავა, თ. ფუტკარაძე, „მებრძოლ უღმერთთა კავშირის“ საოლქო საბჭოს საქმიანობა აჭარაში 1930-1940-იან წლებში, „ჩვენი სუფლიერების ბალავარი“, VIII, ბათუმი, 2016 წ.

გ. მომზადებულია დასაბუჯდად

1. საქართველო-უნგრეთის ურთიერთობები საარქივო სამმართველოში დაცული მასალების მიხედვით (ნ. ქიქავა, თ. ფუტკარაძე);
2. საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები საარქივო სამმართველოში დაცული მასალების მიხედვით (ნ. ქიქავა, თ. ფუტკარაძე);
3. დიდი შენაძენი (ე. ჩაგანავა);
4. ბათუმის ქალთა გიმაზიის ისტორიიდან (თ. ფუტკარაძე);
5. ქართველები საბარძნეთში (თ. ფუტკარაძე);
6. ერთი შენობის ორი ისტორია (მ. რურუა);

7. მამია ვარშანიძის ცხოვრება და ღვაწლი (საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით) (ნ. ბასილაძე);
8. „პორტ - არტური“ და ინჟინერი კაპიტანი მიხეილ ზედგინიძე (ელ. ჩაგანავა);
9. აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული ვიდეო მასალები (გ. პატარიძე);
10. „ბათუმის უმაღლესი დაწესებითი სასწავლებელის ისტორიიდან (საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით) (ნ. გოგიტიძე)“.

* * *

პოლონელი მეცნიერები აჭარის საარქივო სამმართველოში

სექტემბრის დასაწყისში აჭარის საარქივო სამმართველოს სამუშაო ვიზიტით ეწვივნენ: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები პოლონეთიდან - ქალბატონი ირენა ბოროვი და ბატონი გრიგორი რიჟევსკი. მათ საკვლევ თემას წარმოადგენდა "პოლონელები ბათუმში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე".

მკვლევარები კმაყოფილები დარჩნენ საარქივო სამმართველოს თანამშრომელთა მიერ გაწეული დახმარებით. პოლონელი მკვლევარები კვლავაც ეწვევიან საარქივო სამმართველოს პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის ამსახველი დოკუმენტების შესასწავლად.



* * *

საზოგადოებასთან ურთიერთობა

საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელები სტუმრად არქივში

მიმდინარე წლის 30 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს სტუმრობდნენ განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის - მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელები. მათი მიზანი იყო საარქივო სამმართველოს თანამშრომლებთან შეხვედრა და ვიდეორგოლის გადაღება. ბავშვები მიიღო და ფასიანი საჩუქრები გადასცა საარქივო სამმართველოს უფროსმა მაია ივანიშვილმა. საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა ბავშვებთან ერთად გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.



* * *

მილოცვა ვეტერან არქივისტს

2016 წლის 6 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს თანამშრომლები: ელგუჯა ჩაგანავა (აპარატის უფროსი), თამაზ ფუტყარაძე (საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასშედიასთან ურთიერთობის, პუბლიკაციის და გამოყენების განყოფილების უფროსი), ციცი ცნინცაძე, ნინო მარდალეიშვილი და გიორგი გოზალიშვილი ესტუმრნენ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს, ცნობილ არქივისტს და საზოგადო მოღვაწეს ბატონ სერგო ტაბაღუას. მიულოცეს ფაშიზმზე გამარჯვების დღე, გადასცეს ფასიანი საჩუქრები და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.



* * *

გამოთხოვება

აჭარის საარქივო სამმართველო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, საპატიო პროფესორის, ქალბატონ **ფერიდე აცამბას** გარდაცვალების გამო.

არქივის თანამშრომლებს გვექონდა პატივი ახლო და თბილი ურთიერთობა გვექონდა ქალბატონ ფერიდესთან: შარშან აგვისტოში, საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელი, ქალბატონი მაია ივანიშვილი და არქივის თანამშრომლები ოჯახში ესტუმრნენ ღვაწლმოსილ მეცნიერს და მადლობა გადაუხადეს ქართულ- აფხაზურ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისათვის; მაშინ დამსახურებული მეცნიერი საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. საბედნიეროდ დაჯილდოების შემდეგ არქივის თანამშრომლებმა ქალბატონ ფერიდე აცამბასთან გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

გვწამს, ქალბატონი ფერიდეს მოღვაწეობა- ჩვენს ერებს შორის დროებით ჩამომდგარი მწუხრის გასაფანტავად- მისი გარდაცვალების შემდგომაც ფასდაუდებელ სიკეთეს მოგვიტანს.

* * *

დაჯილდოება ბათუმის მერიაში

2016 წლის 8 ივნისს ქ. ბათუმის მერიაში გაიმართა ფორუმის „აქტიური მოქალაქეობიდან გმირობამდე“ დასკვნითი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი და არქივის თანამშრომლები. დასკვნით ღონისძიებაზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს მათ მიერ შედგენილი პროექტები და გადაღებული ვიდეო-რგოლები. ვიდეორგოლებში წარმოდგენილი იყვნენ რეგიონის აქტიური პირები. მათ შორის აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი, რომელიც დაჯილდოვდა სერთიფიკატით - „მომავლის თაობის“ მხარდაჭერისა და აქტიური მოქალაქეობისათვის.



* * *

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

მემორანდუმი გენდერის მედიაცენტრთან

2016 წლის 30 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს თანამშრომლებსა და გენდერის მედიაცენტრს შორის გაფორმდა მემორანდუმი.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს საარქივო სამმართველოს უფროსმა მაია ივანიშვილმა და ბათუმის გენდერის მედიაცენტრის დირექტორმა თამილა დოლიძემ.



მემორანდუმის მიზანად ისახავს ქალთა უფლებებისა და განვითარების ხელშეწყობას, ერთობლივი პროგრამებისა და პროექტების დაგეგმვას და განხორციელებას და ემსახურება საარქივო, საგანმანათლებლო საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აჭარის საარქივო სამმართველოსა და გენდერის მედიაცენტრს შორის

აჭარის საარქივო სამმართველოს წარმომადგენელი, ხელმძღვანელ მარია ივანიშვილისა და გენდერის მედიაცენტრისა და გენდერული თანასწორობის ქსელის ხელმძღვანელ თამილა დოლიძის სახით. ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ რა ურთიერთთანამშრომლობის სურვილს დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს ერთობლივ ჩართულობას ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროექტებში სამეცნიერო, საარქივო და საგანმანათლებლო სფეროებთან დაკავშირებული მიმართულებით.

2. მემორანდუმის მიზანი

2.1 წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ქალთა უფლებებისა და განვითარების ხელშეწყობა;

2.2 ერთობლივი პროგრამებისა და პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მიმართულია საგანმანათლებლო საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობისაკენ.

2.3 კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში ქალთა უფლებების დაცვა;

2.4 სხვადასხვა ერთობლივი პროექტების ორგანიზება სტუდენტებისა და მოსწავლეების ჩართულობით..

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 საარქივო სამმართველო კისრულობს ვალდებულებას:

3.2 დაეხმაროს გენდერის მედიაცენტრს ადამიანური რესურსით, საჭიროების შემთხვევაში ჩაერთოს მის მიერ ორგანიზებულ ღონიძირებებში და პირიქით.

3.1.4 ორგანიზაცია არ განხორციელებს ისეთ ქმედებასა თუ აქტივობას, რაც საზიანო იქნება მხარეებისათვის.

3.2 გენდერის მედიაცენტრი კისრულობს ვალდებულებას:

3.4 უზრუნველყოს პარტნიორი ორგანიზაციის ჩართულობა პროექტებში.

3.5 მხარეთა შეთანხმებით განახორციელოს სხვა სახის თანამშრომლობა თუ ეს არ ეწინააღმდეგება მათ შინაგანაწესსა და წესდებას.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს უვადოთ. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

აჭარის ა/რ არ მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება

საარქივო სამმართველო

ბათუმი, გორგასალის ქ. 126.

ტელ.: (+995) 591 01 01 18

მმართველი მაია ივანიშვილი

ბათუმის გენდერის მედიაცენტრი

მის.: ქ.ბათუმი,მემედ აბაშიძის გამზირი, 57.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის

ტელევიზია და რადიო

ტელ.: (+995) 577 222 804

დირექტორი თამილა დოლიძე

აჭარის საარქივო სამმართველო

მაია ივანიშვილი

გენდერის მედიაცენტრი


თამილა დოლიძე



მემორანდუმი ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმთან

მიმდინარე წლის 12 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოსა და ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმს შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს საარქივო სამმართველოს უფროსმა მათა ივანიშვილმა და არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორმა ამირან კახიძემ. ხელმოწერის ცერემონიალს ესწრებოდნენ საარქივო სამმართველოსა და არქეოლოგიური მუზეუმის თანამშრომლები.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -
საარქივო სამმართველოსა და ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმს შორის
ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. ბათუმი

5 ივლისი, 2016

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მხარეები“, ითვალისწინებენ რა საერთო ინტერესებს, თავიანთი საქმიანობის სფეროებიდან გამომდინარე, მხედველობაში იღებენ რა სამეცნიერო-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ასპექტში მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობას საარქივო, სამუზეუმო მასალების დაცვისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. მიზნები და ამოცანები

- 1.1. საარქივო და სამუზეუმო სფეროში მხარეები თანამშრომლობენ ინფორმაციის გაცვლისა და პროგრესული გამოცდილების გაზიარებაში, მიუკერძოებლობის, თანაზიარობის და საერთო სარგებლის საფუძველზე, მხარეების კანონმდებლობის შესაბამისად ხელს უწყობენ არქივსა და მუზეუმში დაცული საარქივო მასალების, ისტორიული ძეგლებისა თუ უნიკალური დოკუმენტების პოპულარიზაციას;
- 1.2. მხარეები ერთმანეთს მიაწვდიან საარქივო დოკუმენტებს, გამოცემებს, სამეცნიერო და მეთოდურ ლიტერატურას, აწყობენ პროფესიულ და სამეცნიერო შეხვედრებსა და საარქივო-სამუზეუმო გამოფენებს;
- 1.3. მოიპოვებენ დოკუმენტებს და ერთმანეთში გაცვლიან დეტალურ ინფორმაციას. ფონდებისა და კოლექციების გამდიდრების მიზნით ერთმანეთს აწვდიან ორივე მხარისათვის ღირებულ საარქივო-სამუზეუმო დოკუმენტების ასლებს (წერილობითი, კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტები და ა. შ.).

მუხლი 2. თანამშრომლობის ფორმები

2.1. საინფორმაციო გაცვლა :

მხარეები ერთმანეთს გაუზიარებენ ინფორმაციას თავიანთი საქმიანობის შესახებ და სარგებლობენ ერთმანეთის ფონდებით, რომელიც ხორციელდება მხარეთა შორის კონსულტაციების დროს და შეიძლება შეიცავდეს არაკონფიდენციალური ხასიათის ოფიციალური დოკუმენტებისა და სხვა საინფორმაციო ხასიათის მასალების გაცვლას;

2.2. ერთობლივი ღონისძიებანი:

მხარეები ჩაატარებენ ერთობლივ კონფერენციებს, სემინარებს, სამუშაო თათბირებს და სხვა ღონისძიებებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი ნამდვილად მიზანშეწონილია ორივე მხარისათვის. ყოველი მხარე ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს მეორე მხარის მიწვევით და ორივე ორგანიზაციის კანონმდებლობის და მუშაობის წესების შესაბამისად;


2.3. ერთობლივი პროექტები:

მხარეები განახორციელებენ ერთობლივ პროექტებს, რომელთა მიზანია დასახულ ამოცანათა განხორციელება და რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის პირველი მუხლით.

მუხლი 3. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

- 3.1. ინფორმაციის გაცვლისას, მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ არსებული კანონმდებლობა, მხარის უფლებები და საერთაშორისო მოთხოვნები. დახურული ან დახურვისათვის განკუთვნილი ინფორმაციის გამოყენება უნდა დაექვემდებაროს ცალკე შეთანხმებას;
- 3.2. წინამდებარე მემორანდუმის არცერთი პირობა არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ ზიანი მიაყენოს მხარეთა შორის არსებულ შეთანხმებას. მხარეთა შორის დავის წამოჭრის შემთხვევაში სადაო საკითხები მოგვარდება მოლაპარაკების გზით;
- 3.3. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, სანამ ერთი მხარე ერთი თვით ადრე წერილობითი ფორმით არ განაცხადებს, რომ სურს შეწყვიტოს მისი მოქმედება გარკვეული მიზეზების გამო;
- 3.4. მხარეთა წერილობითი დასტურის საფუძველზე ნებისმიერ დროს შესაძლებელია მემორანდუმში ცვლილებების შეტანა;
- 3.5. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისათვის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის საქველმოქმედო დაწესებულება
საარქივო სამმართველოს უფროსი


მაია ივანიშვილი
ბათუმი, ვ. გორგასალის ქ.126



ბათუმის არქეოლოგიური
მუზეუმის დირექტორი


ამირან კახიძე
ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. 77



საარქივო ფონდების შემოტანა

აჭარის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოში კუნსტკამერის (პეტერბურგი) მეცნიერ-თანამშრომლის, პროფესორ მაკა ალბაგანიევას დახმარებით შემოვიდა **რუსეთის იმპერიის 1897 წლის იანვრის პირველი საყოველთაო აღწერის მასალები, რომელიც ეხება ისტორიული საქართველოს, საკუთრივ ყარსის ოლქის მოსახლეობის შესახებ დემოგრაფიულ მონაცემებს.**

2016 წლის 24 ივნისს აჭარის საარქივო სამმართველოში გაიმართა აღნიშნული მასალების პრეზენტაცია. შემოტანილი დოკუმენტების მნიშვნელობაზე ისაუბრეს: საარქივო სამმართველოს უფროსმა ქალბატონმა მათა ივანიშვილმა და საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსმა თამაზ ფუტკარაძემ.



2016 წლის განმავლობაში შემოტანილი იქნა აგრეთვე შემდეგი საარქივო მასალები:

1. პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორის **ელგუჯა მეძმარიაშვილის** ცხოვრებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ამსახველი მონოგრაფია და ვიდეომასალები (24-25 თებერვალი, 2016). მიმდინარეობს მოლაპარაკება მისი პირადი ფონდის შესაქმნელად (თ. ფუტკარაძე);
2. პროფ. **ამირან კახიძის პირადი ფონდი** (აპრილ-მაისი, 2016. თ. ფუტკარაძე);
3. ზვიად გამსახურდიას პირადი ფოტოგრაფის გივი ნახუცრიშვილის მიერ გადაღებული **ფოტოდოკუმენტები და ვიდეო ფილმები** (ივნისი, 2016. თ. ფუტკარაძე)
4. ოჯახიდან შემოტანილი იქნა დამატებითი მასალები **შოთა შოთა რყვას პირადი ფონდის** შესავსებად;
5. **ჯემალ ნოღაიდელის** პირადი წერილები.

* * *

რეკონსტრუქცია-განახლება აჭარის საარქივო სამმართველოში

2016 წლის 3 ივნისს აჭარის საარქივო სამმართველომ გამოაცხადა ტენდერი ახალი ფონდსაცავების (პირველი სართული), დიგიტალიზაციისა და პირადი შემადგენლობის ფონდსაცავების, ტექნიკური, პარტიული, კინო-ფოტოფონო ფონდსაცავების, თანამშრომელთა სამუშაო კაბინეტების (მესამე და მეექვსე სართული), ტერიტორიული ორგანო - ქობულეთის არქივის-წყალსადენი ღარების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესასრულებლად. ტენდერში გაიმარჯვა შპს „კაბადოკიამ“ (დირექტორი გიანუშარაძე), რომელმაც ტენდერით გათვალისწინელი სამუშაოები, ხელშეკრულების შესაბამისად დაიწყო 2 აგვისტოს.

უკვე დასრულდა პირველ სართულზე ორი ფონდსაცავის მოწყობა; რეკონსტრუქცია გაუკეთდა სამმართველოს ეზოში არსებულ სველ წერტილს.

მოეწყო დიგიტალიზაციისა და ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის, ინფორმაციისა და გამოყენების განყოფილებების თანამშრომელთა სამუშაო კაბინეტები.

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ტექნიკური, პარტიული, კინო-ფოტო-ფონო საცავების სარეაბილიტაციო სამუშაოები მეექვსე სართულზე. უახლოეს დღეებში დაიწყება ქობულეთის არქივის შენობის სახურავის წყალსადინი ღარების სარემონტო სამუშაოებიც.



* * *

კინოფირების ექსპერტიზა

კინო და ფონო დოკუმენტების ვარგისიანობის დადგენი კომისიის 2015 წლის 18 ნოემბრის სხდომის საფუძველზე აჭარის საარქივო სამმართველომ საქართველოს კინო არქივს ექსპერტიზისათვის გადასცა 9487 კინოფირი, რომლებიც თბილისში გადატანილი იქნა გადამზიდავი კომპანია შპს „დარი“-ს მიერ. ეროვნული არქივის გამოცდილი სპეციალისტები უკვე მუშაობენ ფირების ვარგისიანობის დასადგენად.

კინოფირების პროფესიული დამუშავების შემდეგ, საქართველოს ერვნული არქივი საარქივო სამმართველოს გადმოსცემს კინოფირების სრულ ციფრულ ვერსიას, ასევე ეროვნულ არქივში აჭარასთან დაკავშირებულ კინომასალას.



* * *

სამოქმედო გეგმის განხილვა

2016 წლის 5 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში გაიმართა საარქივო სამმართველოს 2017-2020 წლების საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმის განხილვა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: გიორგი მასალკინი, ალექსანდრე ჩიტიშვილი, სვეტლანა კუდბა, პეტრე ზამბახიძე. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი რამაზ ბოლქვაძე, უმაღლესი საბჭოს პრესამსახურის უფროსი ბესარიონ შარაშიძე. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს რესპუბლიკური ბიუჯეტის ფორმირებისა და შესრულების ანალიზის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნაირა აბაშიძე. არქივის თანამშრომლები, საზოგადოებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები ღონისძიება გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოსთქვა საარქივო სამმართველოს უფროსმა მიაი ივანიშვილმა. მოხსენებით გამოვიდა და 2017-2020 წწ საშუალო ვადიანი გეგმა წარმოადგინა სამმართველოს აპარატის უფროსმა ელგუჯა ჩაგანავამ.

* * *

პროგრამული ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობი საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოში 2016 წლის 6 სექტემბერს გაიმართა 2017-2020 წლების პროგრამული ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალექსანდრე ჩიტიშვილი. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი ნაირა აბაშიძე, პრესისა და მედიის წარმომადგენლები, საარქივო სამმართველოს თანამშრომლები.

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი. მოხსენებით „2017-2020 წლების ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა“ - გამოვიდა სამმართველოს აპარატის უფროსი ელგუჯა ჩაგანავა.

განსახილველად წარდგენილი დოკუმენტის თანახმად მომდევნო 3 წლის განმავლობაში საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელობა საცავების რეაბილიტაციას, შტატების გაზრდასა და შენობა ნაგებობების გაფართოებას გეგმავს. გაგრძელდება დოკუმენტების გაციფრის პროცესიც.



* * *

ჩვენი ავტორები:

1. **თეა ქათამაძე** – ქუთაისის ცენტრალური არქივი, ესფ დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების უფროსი;
2. **ალექსანდრე მოსიაშვილი** – იაკობ გოგებაშვილი სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი;
3. **რევაზ უზუნაძე** – სამედიცინო აკადემია, დირექტორი; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;
4. **მერაბ უზუნაძე** – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, მეცნიერთანამშრომელი.
5. **თამაზ ფუტკარაძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო, განყოფილების უფროსი; შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი;
6. **ნატალია ლაზბა** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი;
7. **ციური ქათამაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი;
8. **ქეთევან ფუტკარაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი;
9. **ელზა ფუტკარაძე** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აკადემიური დოქტორი;
10. **ნაილე მიქელაძე** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი;
11. **ამირან კახიძე** – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, დირექტორი, ემერიტუსი პროფესორი;
12. **ნინო ძნელაძე** – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, აკადემიური დოქტორი;
13. **ნარგიზ სურმანიძე** – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, აკადემიური დოქტორი;
14. **მირანდა თურმანიძე** - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი აკადემიური დოქტორი.

Our authors:

1. **Tea Katamadze** – head of National Archives preservation, registration and scientific-informational department fo Central Archives of Kutaisi;
2. **Aleksandre Mosiashvili** – Iakob Gogebashvili Telavi State University, professor;
3. **Revaz Uzunadze** – Medical Academy, director; candidate of historical sciences;
4. **Merab Uzunadze** – Batumi Archaeological Museum, research fellow;
5. **Tamaz Phutkaradze** – Sub-department of Ajara Autnomous Republic Government – Archives Administration, head of department; Shota Rustaveli State University, professor;
6. **Natalia Lazba** - Shota Rustaveli State University, professor;
7. **Tsiuri Katamadze** - Shota Rustaveli State University, professor;
8. **Ketevan Phutkaradze** - Shota Rustaveli State University, PhD student;
9. **Elza Phutkaradze** – Niko Berdzenishvili scientific-research institute, academic doctor;
10. **Naile Mikeladze** – Niko Berdzenishvili scientific-research institute, research fellow;
11. **Amiran Kakhidze** – Batumi Archaeological Museum, dicector; professor;
12. **Nino Dzeladze** – Batumi Archaeological Museum, academic doctor;
13. **Nargiz Surmanidze** – Batumi Archaeological Museum, academic doctor;
14. **Miranda Turmanidze** – Batumi Archaeological Museum, academic doctor.

ს ა რ ჩ ე მ ი:

თეა ქათამაძე – თავადაზნაურთა ბანაკში დაგირავებული მამულები ქალაქ ბათუმში (საქართველოს დედეგაციის მიერ ოსმალეთისადმი 1918 წლის 8 ივნისს წარდგენილი ნუსხა)..... 3

ალექსანდრე მოსიაშვილი – 1989 წლის 26 მაისი საქართველოში.....11

რევაზ უზუნაძე / მერაბ უზუნაძე – ბათუმის საფორტიფიკაციო ნაგებობების ისტორიიდან (XVII-XVIII სს.)..... 16

თამაზ ფუტყარაძე – ქართული ემიგრაცია საბერძნეთშინატალია ლაზბა – აფხაზთა მუჰაჯირობა: მიგრაციული და სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები 34

Наталия Лазба – Махаджирство абхазов: миграционные и социально-политические аспекты41

თამაზ ფუტყარაძე / ციური ქათამაძე / ქეთევან ფუტყარაძე – ძველი ნასოფლარი ჰანაკის რაიონიდან (ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის (AK/196/12-105/14) „არტაანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები“-ს ფარგლებში)46

ელზა ფუტყარაძე / ნაილე მიქელაძე – ტაო-კლარჯეთში ეროვნული მესხიერების ზოგადი ასპექტი..... 52

ამირან კახიძე / ნინო ძნელაძე / ნარგიზ სურმანიძე / მირანდა თურმანიძე – ადრე რკინის ხანის სამარხი სოფელ მახვილაურიდან 58

რეცენზია 65

საარქივო დოკუმენტები 71

ფოლიანტები..... 78

საარქივო სამმართველოში ჩატარებული ღონისძიებების დაიჯესტი..... 81